ევროკავშირი
საქართველოსთვის

ონლაინ სასწავლო კურსი
სოფლის მომავლის ხედვა - სოფლის განვითარების საფუძვლები



სასწავლო კურსი შექმნილია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, კომპანია Nextep-სა და Skap Studio-სთან თანამშრომლობით. სასწავლო კურსის ავტორების მიერ გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.

2024

კურსის შესავალი

„ჩვენი სოფლები (...) ჩვენი საზოგადოების გულისცემაა. ლანდშაფტის მრავალფეროვნება, კულტურა და მემკვიდრეობა ევროპის ყველაზე არსებითი და ღირსშესანიშნავი მახასიათებლებია. სწორედ ისინია ჩვენი იდენტობის ძირეული ნაწილი და ჩვენი ეკონომიკის პოტენციალი.“

გვ.1 – ციტატა

ურსულა ფონ დერ ლაიენი
ევროკომისიის პრეზიდენტი

„სოფლის გრძელვადიანი ხედვა“ ივლისი, 2019 წელი

§3.2 – წინასიტყვაობა

მსოფლიო სწრაფი ტემპით იცვლება, მეცნიერებისა და ტექნოლოგიური შესაძლებლობების განვითარებასთან ერთად იზრდება გამოწვევების მასშტაბურობა და კომპლექსურობაც, მათი ზემოქმედების შედეგები კი, სულ უფრო მკვეთრად ვლინდება, ხოლო სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის შემცირების მცდელობებს აფერხებს კლიმატური ცვლილებები და სათანადო ცოდნისა და მათზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა.

კოვიდ-19-ის პანდემიამ განსაკუთრებული სიცხადით წარმოაჩინა ხალხისათვის სოფლის განვითარებისა და მისი კეთილდღეობის მნიშვნელობა, აგრეთვე ის, რომ მათი წვლილი ქვეყნის წინსვლაში სულ უფრო მეტ დატვირთვას შეიძენს, როდესაც მოგვიწევს კლიმატურ კრიზისთან შეჭიდება, „მწვანე“ განვითარებაზე გადასვლა და ციფრულ რეალობასთან ადაპტირება.

ცხადია, იმისათვის, რომ გავუმკლავდეთ დღეს არსებულ პრობლემებს, უნდა გავცდეთ მხოლოდ სოფლის მეურნეობის ან ნებისმიერი სხვა ცალკე აღებული პოლიტიკის ფარგლებს. მომავლის სოფლის ხედვა თავის თავში გულისხმობს დამკვიდრებული შეხედულებების შეცვლას და ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც უფრო მეტად უპასუხებს ხალხის პრობლემებსა და მრავალმხრივ მოთხოვნებს.

პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული კონტექსტის გათვალისწინებით, ეს არის მთელი ევროპის და, მათ შორის, საქართველოს მომავალი 20 წლის სამუშაო პროცესის დასაწყისი. ეს უდავოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია. თუმცა ჩვენ უკვე უამრავი რამის გაკეთება შეგვიძლია, რადგან გვაქვს ათწლეულების განმავლობაში ევროკავშირის „სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის“ (CAP) მუშაობის შედეგად დაგროვებული ცოდნა. ეს ცოდნა საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ შეცდომები და შეძლებისდაგვარად შევამციროთ სასოფლო არეალის განვითარების ხანგრძლივი პროცესი, აგრეთვე, დროულად ვუპასუხოთ იმ გამოწვევებს, რომლებიც უკვე მწვავედ დგას საქართველოს წინაშეც.

იმედი გვაქვს, ეს სასწავლო კურსი თავის წვლილს შეიტანს საქართველოში სოფლის განვითარების სწორი მიმართულებით წარმართვის საქმეში. გისურვებთ წარმატებას.

მ3.3 – მიზნები

მოგესალმებით, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სასწავლო კურსზე - „მომავლის სოფლის ხედვა: საფუძვლები“.

აღნიშნული კურსის მიზანია სოფლის განვითარების კუთხით ცნობიერების ამაღლება და ამ მიმართულებით საქართველოში გადასადგმელ ნაბიჯებთან დაკავშირებული თანამშრომლობის ხელშეწყობა. ასევე განვიხილავთ სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაციის მნიშვნელობას, ევროკავშირის მიდგომებს, სოფლის განვითარებაში დაგროვებულ გამოცდილებას და ამ კუთხით საქართველოში მიმდინარე პროცესებს.

სოფლად ცხოვრების დონის ამაღლება სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის მიგვაჩნია, რომ საჭიროა სწრაფად შეივსოს ცოდნისა და გამოცდილების ის დანაკლისი, რომელიც საქართველოს საჯარო სექტორში, სამოქალაქო საზოგადოებასა და მოქალაქეებს შორის არსებობს. შესაბამისად, კურსი განკუთვნილია:

- საჯარო სექტორში დასაქმებულ იმ პირთათვის, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული გამოცდილება და სურთ მიღწეული შედეგების გაუმჯობესება;
- სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის, აკადემიური წრეებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის, რომლებსაც აქვთ ამ მიმართულებით ცოდნის გაღრმავების სურვილი;
- დამწყები სპეციალისტებისთვის, რომლებსაც არა აქვთ პრაქტიკული გამოცდილება და გეგმავენ ამ მიმართულებით საქმიანობას;
- სამოქალაქო საზოგადოების აქტორებისა და დაინტერესებული მოქალაქეებისათვის, რომლებსაც სურთ სოფლის განვითარების საფუძვლების ცოდნა.

ამ კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, თქვენ:

- გაერკვევით სოფლის განვითარების ძირითად ასპექტებში და შეძლებთ უკეთესად შეაფასოთ სოფლად განვითარებული მოვლენები და მათთან დაკავშირებული კონტექსტი;
- დაეუფლებით ცოდნას იმ ინიციატივების შესახებ, რომლებიც პროპორციულად პასუხობს ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის მიზნებს;
- მიღებული ინფორმაციის გამოყენებით, შეძლებთ ჩაერთოთ სოფლის მეურნეობასა და, ზოგადად, სოფლის განვითარების სფეროში მიმდინარე რეფორმების განხორციელებაში;
- გაერკვევით სექტორებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების გზებსა და აუცილებლობაში, აგრეთვე იმაში, თუ როგორ უნდა უზრუნველყოთ ადგილობრივი რესურსების მობილიზება;
- საუკეთესო მაგალითებით შეძლებთ სოფლად არსებულ პრობლემატიკასთან დაკავშირებით ეფექტიან კომუნიკაციას, ასევე პრობლემებისა და სირთულეების გადაჭრისათვის შეგეძლებათ დასახოთ თანამიმდევრული მოქმედებები ან ალტერნატიული მეთოდები.

გ3.4 – კურსის ძირითადი ელემენტები

კურსის ავტორები ყურადღებას ამახვილებენ მომავლის სოფლის ოთხ მთავარ ასპექტზე - (1) სოფლად ეკონომიკური შესაძლებლობების დივერსიფიკაციის მნიშვნელობაზე, (2) ციფრული ტექნოლოგიებითა და უნარებით აღჭურვილი „ჭკვიანი სოფლის“ კონცეფციაზე, (3) მდგრადი განვითარებისა და სოფლად „მწვანე“ გარდაქმნის ხელშეწყობის განახლებულ ხედვასა და (4) უფრო სამართლიანი, ურთიერთდაკავშირებული და ინკლუზიური მომავლის სოფლის ფორმირებაზე, კერძოდ:

პირველ მოდულში განვიხილავთ სოფლის განვითარების მიმართულებით ევროკავშირში განხორციელებულ და მიმდინარე გარდაქმნებს, განვმარტავთსოფლად ეკონომიკური დივერსიფიკაციის განახლებულ ხედვას, სოფლებსა და ქალაქებს შორის კავშირების მნიშვნელობასდა აღწერ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის პრიორიტეტებსა და სტრატეგიულ მიზნებს.

მეორე მოდული წარმოგიდგენთ ხედვას ციფრული ტექნოლოგიებით აღჭურვილ და ურთიერთდაკავშირებულ მომავლის სოფელზე, „ჭკვიანი სოფლის“ კონცეფციაზე, რომელშიც ტექნოლოგია, ინფრასტრუქტურა და უნარები პასუხობს ადგილობრივ და გლობალურ გამოწვევებს. გარდა ამისა, გვთავაზობთ სოფლის ტერიტორიების მდგრადობის ძირითადი ელემენტების მიმოხილვას, მათ შორის, სხვადასხვა მაგალითებს.

მესამე მოდულში ავხსნით ხედვას „მწვანე სოფლის“ მომავალზე, რომლის მიხედვითაც სასოფლო არეალები აკმაყოფილებენ „ევროპის მწვანე შეთანხმების“ მიზნებს და იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს დაბალნახშირბადიან, ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასასვლელად. განვიხილავთ აგრეთვე საქართველოში ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს.

მეოთხე მოდულში განვიხილავთ მომავლის სოფელს, რომლის მიხედვითაც „ქვემოდან ზემოთ“ მიდგომით მიღებული გადაწყვეტილებები ხელს უწყობს თანაბარი შესაძლებლობების გაჩენასა და დამკვიდრებას, და ასევე აერთიანებს მომავლის სოფლის გრძელვადიანი ხედვის ძირითად ელემენტებს ინკლუზიური, ურთიერთდაკავშირებული, მდგრადი და მედეგი სოფლის მომავლისთვის.

მ3.5 – დამხმარე მასალები

„მომავლის სოფლის ხედვის“ სასწავლო კურსი შემუშავებულია ევროკავშირის სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის ქსელის (CAP Network) პუბლიკაციებზე და ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ანალიტიკურ მასალებზე დაყრდნობით. კურსი ასევე მოიცავს სხვადასხვა სფეროსა და ქვეყნის ექსპერტთა საინტერესო ხედვებს, რომლებმაც ღირებული წვლილი შეიტანეს მის შედგენაში.

სასწავლო კურსი წარმოადგენს მულტიმედიაპროდუქტს, რომელიც შექმნილია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, კომპანია Nextep-სა და Skap Studio-სთან თანამშრომლობით. სასწავლო კურსის ავტორების მიერ გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.

I-მ3.6 – ტესტი

კურსის ბოლოს მსმენელები მიიღებენ კურსის გავლის დამადასტურებელ სერტიფიკატს. სერტიფიკატი ავტომატურად ხელმისაწვდომი იქნება მათთვის, ვინც სწორად უპასუხებს საბოლოო ტესტის შეკითხვების 50%-ს.

საბოლოო ტესტი შედგება 65 მრავალჯერადი არჩევანისაგან შემდგარი კითხვისაგან, რისთვისაც გამოყოფილია 60 წუთი. 65 კითხვიდან 5 კითხვა ექსპერიმენტულია და არ ახდენს გავლენას საბოლოო შედეგზე. ტესტის მიმდინარეობისას არ არის მითითებული, რომელი მათგანია ექსპერიმენტული. ტესტის წარმატებით გასავლელად სწორად უნდა უპასუხოთ 60-იდან 30 ან მეტ კითხვას, ანუ მინიმუმ 50%-ს.

სასწავლო კურსის მსვლელობისას თქვენ გექნებათ კითხვებზე პასუხების გასაცემად პრაქტიკის მიღების არაერთი შესაძლებლობა.

მ3.7 – საგამოცდო ტესტის პრაქტიკა

მ3.8 – საგამოცდო ტესტის პრაქტიკა



მოდული 1: სოფლის განვითარების განახლებული ხედვა და მისი მნიშვნელობა

მ1-გ3.1 - შესავალი

დღევანდელ მსოფლიოში სულ უფრო იზრდება გეოპოლიტიკური ვითარებითა და ეკოლოგიასთან დაკავშირებული რისკებით გამოწვეული საფრთხე. ასეთი რყევების პირობებსა და მიმდინარე ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის ფონზე, სასოფლო დასახლებები მთელი ევროპის მასშტაბით მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. ქალაქსა და სოფელს შორის მზარდ სოციალურ-ეკონომიკურ უთანასწორობასა და მიგრაციული პროცესების მატებასთან ერთად, აქტუალური გახდა სოფლის მოსახლეობის დაბერებასთან დაკავშირებული გამოწვევები და მასთან გამკლავება.

მომავლის სოფლის ფორმირების მიდგომები საჭიროა პასუხობდეს 21-ე საუკუნის როგორც გამოწვევებს, ისე შესაძლებლობებს იმისათვის, რომ მივაღწიოთ რეალისტურ და, ამავე დროს, უფრო ამბიციურ მიზნებს. სოფლად ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ სოფელმა წარმოაჩინოს თავისი მდიდარი მემკვიდრეობა და განვითარების უზარმაზარი პოტენციალი.

სოფლად უმუშევრობისა და სიღარიბის შემცირებაში უმთავრესი ადგილი უჭირავს კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო სექტორების განვითარებას, თუმცა კლიმატური ცვლილებები უპრეცედენტო ზეგავლენას ახდენს წყლისა და მიწის რესურსების ხელმისაწვდომობაზე და ზემოქმედებს მის ყველა ასპექტზე. სოფლის მეურნეობის სექტორში არსებული სირთულეების მდგრადი გადაწყვეტა აუცილებელია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს სოფლად ცხოვრების პირობები და ხარისხი.

სოფლად მცხოვრები ადამიანების კეთილდღეობა დამოკიდებულია სხვა ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა: ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების განვითარება; საბაზისო სერვისების ხარისხისა და მათზე წვდომის გაუმჯობესება სხვადასხვა სფეროში (ჯანდაცვა, განათლება, ტრანსპორტი); შემოსავლის ალტერნატიული წყაროების შექმნის შესაძლებლობები; არასასოფლო-სამეურნეო ეკონომიკური აქტივობის წახალისება; ფინანსურ ინსტრუმენტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ახალგაზრდა მეწარმეების, სოფლის ტურიზმისა და სოციალური ინოვაციების ხელშეწყობა; კულტურული მემკვიდრეობისა და აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნება; პროფესიული უნარებისა და ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება; ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება; ენერგოეფექტიანი და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა; შრომის სტანდარტების დაცვა და სამუშაო პირობების გაუმჯობესება; ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის გაძლიერება.

მ1-გ3.2 – მიზნები

ამ მოდულში აღვწერთ და განვიხილავთ:

- დარგობრივი სტრუქტურის საფუძვლებსა და ძირითად მახასიათებლებს;
- სოფლის განვითარების მიმართულებით ევროკავშირში განხორციელებულ და მიმდინარე გარდაქმნებს;
- სოფლად ეკონომიკური დივერსიფიკაციის განახლებულ ხედვას;
- საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს.

მ1-გ3.3 – დარგობრივი სტრუქტურის საფუძვლები და ძირითადი მახასიათებლები

სოფლის მეურნეობის ტრადიციულ მნიშვნელობასა და სოფლის განვითარების განახლებულ ხედვას შორის ღრმა და მრავალმხრივი კავშირი არსებობს.

საქართველოს სოფლის მეურნეობას მდიდარი ტრადიცია აქვს, რაც ქვეყნის ისტორიის, ცნობიერებისა და კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. ეკონომიკის ამ ფუნდამენტური დარგის სისტემურ გააზრებაში გვეხმარება საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია. ეს სტრატეგია ეყრდნობა სოფლის მეურნეობის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული საერთაშორისო დარგობრივი კლასიფიკაციისა (ISIC, Rev.4) და ევროკავშირის მიერ შემუშავებული ეკონომიკის დარგობრივი კლასიფიკაციის (NACE, Rev.2) განსაზღვრებებს.

ეკონომიკურ აქტივობათა დარგობრივი სტრუქტურის თანახმად, სოფლის მეურნეობა გულისხმობს ცხოველური და მცენარეული, მათ შორის, მერქნიან სახეობათა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი წარმოების მიზნით. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა მოიცავს მცენარეული კულტურების მოყვანას ღია ან სასათბურე მეურნეობაში, სამასალე მერქნის მოპოვებას, თევზის მოშენებას, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების შექმნას და ცხოველთა მოვლა-მოშენებას ფერმერულ მეურნეობაში ან მათ ბუნებრივ საბინადრო გარემოში.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ასევე განეკუთვნება პროდუქციის მომზადება პირველადი ბაზრისთვის, რაც გულისხმობს აღებული მოსავლის შემდგომ დამუშავებას, მაგალითად, როგორიცაა გაგრილება, დასუფთავება, შემოწმება მექანიკურ, სოკოსმიერ ან მწერებისგან დაზიანებაზე, დეზინფექცია, დახარისხება ზომის, სიმწიფისა და ვარგისიანობის მაჩვენებლების მიხედვით, გაციება, შენახვა და მიწოდება.

სოფლის მეურნეობის განვითარება ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მხარდაჭერას, მათ შორის ისეთების, როგორიცაა პირველადი წარმოებისა და შენახვა-რეალიზაციის რგოლების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა, აგროსექტორში დაზღვევის განვითარების ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაგებობების, ტექნიკისა და აღჭურვილობის მხარდაჭერა, მაგალითად, წარმოების მექანიზაციის საშუალებების, აგროტექნიკის,

დანადგარებისა და საირიგაციო აღჭურვილობის ოპერირება, ასევე, სანერგე მეურნეობის მოწყობისა და მრავალწლოვანი კულტურების თანამედროვე ბაღების გაშენების ხელშეწყობა.

სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტებია: კვლევებზე დაფუძნებული მდგრადი („მწვანე“ და კლიმატმედეგი) პრაქტიკისა და ინოვაციების დანერგვა; მაღალი ეფექტიანობის საირიგაციო და ენერგოეფექტიანი ფერმერული სისტემების გამოყენება; ორგანული (ბიო) წარმოება და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების რისკის მინიმუმამდე შემცირება წარმოებისთვის კარგი გარემო პირობების შესანარჩუნებლად.

სოფლის მეურნეობა მიზნად ისახავს დღევანდელი და მომავალი თაობების უზრუნველყოფას პირველადი მოხმარების, უვნებელი და ხარისხიანი პროდუქციით, რომლის ხარისხის დაცვა განსაზღვრულია სასურსათო ნედლეულისა და კვების უსაფრთხოების სანიტარული წესებით, ნორმებითა და ჰიგიენური ნორმატივებით.

მ1-გ3.4 – დამატებული ღირებულება

აგროგადამუშავება ერთ-ერთი ინსტრუმენტია სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებისა და დამატებული ღირებულების შექმნისათვის.

დამატებული ღირებულება არის საქონლის ან მომსახურების ღირებულების ზრდა, რომელიც მიიღება ეკონომიკური საქმიანობის შედეგად. მაგალითად, ფერმერმა წისქვილს მიჰყიდა 100 ლარის ხორბალი. წისქვილმა დაფქვა ეს ხორბალი და მისი ღირებულება გაზარდა 150 ლარამდე. სწორედ დაფქვის შედეგად მომატებული 50 ლარი არის დამატებული ღირებულება. დავუშვათ, ეს ფქვილი იყიდა პურის საცხობმა და დაამზადა 200 ლარის პური. საცხობმაც შექმნა 50 ლარის დამატებული ღირებულება და ა.შ. დამატებული ღირებულება იქმნება წარმოების ყველა ეტაპზე მანამ, სანამ პროდუქტი არ მივა საბოლოო მომხმარებლამდე.

ტერმინი „აგრობიზნესი“ მოიცავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ღირებულებათა მთლიან ჯაჭვს პროდუქტის წარმოებიდან პირველად ბაზრებამდე.

საქართველოს მთლიანი ექსპორტის ფართო ეკონომიკური კატეგორიების განხილვისას ვხედავთ, რომ შემოსავლის ზრდა, როგორც წესი, განპირობებულია არა პირველადი პროდუქტების, არამედ გადამუშავებული სურსათისა და სასმელების, მაგალითად, ქართული ღვინის, წვენისა და წყლის ექსპორტის ზრდით. საკვები პროდუქტებისა და სასურსათო ნედლეულის გადამუშავება და დამატებული ღირებულების ზრდა მნიშვნელოვან როლს ასრულებს შემოსავლის წყაროს გაჩენის თვალსაზრისით და ხელს უწყობს სოფლად ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას.

სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების სექტორში მიღწეულ შედეგებზე დაყრდნობით, მოსავლის აღების შემდეგ სასაწყობო საშუალებების გამოყენება, სამეცნიერო-ტექნოლოგიური შესაძლებლობების განვითარება, ინოვაციების ხელშეწყობისა და აგროსასურსათო გადამმუშავებელი მეწარმეობის მხარდაჭერა შესაძლებელს ხდის, რომ ფერმერული საქმიანობა აგრობიზნესად გარდაიქმნას და ისეთი ბაზრები აითვისოს, რომლებიც ითხოვენ გარემო-მეგობრული გზითა და ხარისხის მაღალი სტანდარტის შესაბამისად წარმოებულ აგროსასურსათო პროდუქტებს.

მ1-გ3.5 – ტესტის პრაქტიკა

მ1-გ3.6 – სოფლად ეკონომიკური დივერსიფიკაციის კონცეფცია

არსებული სახელმწიფო პოლიტიკა ეფუძნება სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფას, რომელიც ფოკუსირებულია დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებსა და მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე. აღნიშნული პოლიტიკა მიზნად ისახავს ეკონომიკური საქმიანობის ვიწრო მიმართულებით სოფლის ეკონომიკის დამოკიდებულების შემცირებას და დაბალანსებული დარგობრივი სტრუქტურის შექმნას, რომელიც იძლევა დამატებით შემოსავლებს, ზრდის დასაქმებას და ამცირებს საბაზრო რისკებს.

სოფლის მეურნეობის პრაქტიკაში დივერსიფიკაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონცეფციაა სოფლის ეკონომიკის განვითარებისა და ზრდის პოტენციალის სრულად ათვისებისათვის. ეკონომიკური დივერსიფიკაცია ხელს უწყობს დარგთაშორისი პროცესების ფორმირებას, წარმოების (ან მომსახურების) რამდენიმე, ურთიერთდაკავშირებული მიმართულებით განვითარებას, ასორტიმენტის გაფართოებას, ბაზრის ახალი სეგმენტის ათვისებას და სხვ., რაც მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის ეკონომიკური განვითარებისათვის. პროდუქციის დივერსიფიკაცია უფრო მეტად ტექნიკური პროცესია, თუმცა ის მნიშვნელოვანია ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისითაც.

უფრო ფართო გაგებით, დივერსიფიკაცია გულისხმობს ეკონომიკური საქმიანობის გამრავალფეროვნებას და გაფართოებას ახალი სფეროების მიმართულებით. დივერსიფიკაციის მნიშვნელობასა და თავისებურებებზე მსჯელობისას ყურადღებას ამახვილებენ ბიზნესის განვითარების სპეციალურ სტრატეგიაზე. ეს მოიცავს საწარმოს კონკურენტუნარიანობის ამაღლებას გრძელვადიან პერსპექტივაში ბაზრის ახალ სეგმენტზე შეღწევის გზით ან იმ შემთხვევას, როცა ბიზნესი ვერ ვითარდება არსებულ ბაზარზე მოცემული პროდუქტით.

დივერსიფიკაცია ასოცირდება წარმოებული პროდუქციის ფართო გამოყენებასთან, მის ეფექტიანობას განსაზღვრავს პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი. თუ პროდუქტს აქვს ვიწრო გამოყენება (მისია), მაშინ ის სპეციალიზებულია, თუ ის ექვემდებარება ფართო გამოყენებას, ეს დივერსიფიკაციის წინაპირობაა. დივერსიფიკაცია მიიღწევა არსებული საწარმოო რესურსით ან სხვა, უფრო მსხვილ ან მცირე ზომის საწარმოსთან ალიანსით.

არსებობს დივერსიფიკაციის შესაძლებლობის ორი ტიპი. არჩევანი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზეზები უბიძგებს სუბიექტს დივერსიფიკაციისკენ. მაგალითად, ბაზრის ტენდენციების გათვალისწინებით, ფერმერს შეუძლია გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომლებიც გაამრავალფეროვნებს მისი გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზებს.

- ვერტიკალური დივერსიფიკაცია გულისხმობს ინოვაციების დახმარებით არსებული პროდუქციის დამატებული ღირებულების გაზრდას, რაც მიიღება ძირითადი წარმოების სასაქონლო პროდუქციის გადამუშავებით. მას ახასიათებს განშტოება და გაფართოება, რასაც მოჰყვება ახალი მისიების შეძენა ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით.

- ჰორიზონტალური დივერსიფიკაციის მახასიათებელი შეიძლება იყოს სრულიად ახალი პროდუქტის შემოღება, რომელიც შესაძლოა მთლიანად განსხვავდებოდეს არსებული პროდუქციის ასორტიმენტისგან და ამავე დროს შეიძინოს ისეთი მისია, რომელიც ეყრდნობა ბიზნესის გამოცდილებას ახალ ტექნოლოგიაში, ფინანსებსა და მარკეტინგში.

ამ ორივე შემთხვევაში იცვლება პირველადი სექტორის ელემენტები, ის ხდება ბაზრის ახალ სეგმენტზე ორიენტირებული, იზრდება შემოსავალი ან მცირდება სასაქონლო ფასების ცვალებადობის ეფექტი. დივერსიფიკაცია ხელს უწყობს წარმოების ტექნოლოგიური ბაზის პროგრესსა და გაფართოებას, ზრდის ბაზრის სეგმენტების დაფარვის შესაძლებლობებს, ასევე გაყიდვების წილს ან, ეკონომიკური ვარდნის შემთხვევაში, აბალანსებს გაყიდვებს.

მ1-გ3.7 – მაგალითი (1)

თინათინის ოჯახი 25 წელია მეფუტკრეობას მისდევს. მისი მშობლების ფერმაში შენარჩუნებულია ფუტკრებისათვის ბუნებრივი გარემო, რაც ფერმას შესაძლებლობას აძლევს აწარმოოს მაღალი ხარისხის მეფუტკრეობის პროდუქტი. თინათინს ყოველთვის განსაკუთრებულად აინტერესებდა ფუტკრები, მათი შრომისუნარიანობა და ამტანობა. ბუღალტრად 12-წლიანი მუშაობის შემდეგ, 2020 წელს მან გადაწყვიტა წამოსულიყო სამსახურიდან და საოჯახო ფერმისთვის მიეხედა.

თინათინმა მიზნად დაისახა, გაეძლიერებინა საწარმოს კონკურენტუნარიანობა იმით, რომ აამაღლებდა პროდუქტის ხარისხს, გაამრავალფეროვნებდა პროდუქციას და დაამატებდა მომსახურების კომპონენტს. მან საკუთარი სახსრებით შეიძინა ახალი სკები და სათანადოდ გამართა ის ოთახი, რომელშიც იწრიტება და ინახება თაფლი. სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში კი, შეიძინა ახალი აღჭურვილობა. იგი დაუკავშირდა ახლოს მდებარე ჯანჯაფილის ფერმას და საწარმოო ძალების გაერთიანებით დაიწყო ბებიის ტრადიციული რეცეპტით თაფლაკვერის, მოგვიანებით კი, ჯანჯაფილის პურის ცხობა.

თინათინმა აიხდინა ოცნება და გახდა წარმატებული საოჯახო მეფუტკრეობის ფერმის ხელმძღვანელი. ერთ წელიწადში მისმა წარმოებამ 600 კგ თაფლიდან დაახლოებით ორ ტონას მიაღწია, ხოლო ჯანჯაფილის პურის ცხობა 150-იდან 450 კგ-მდე გაიზარდა. ამ პურს მან თავისი უფროსი ქალიშვილის სახელი დაარქვა. ფერმას მინიჭებული აქვს ორი ხარისხის ნიშანი.

თინათინის ფერმა გაიზარდა ფუტკრისა და თაფლზე დაფუძნებული პროდუქტების ბაზაზე. ფერმას აქვს ახალი მაღაზია, სადაც მყიდველებს სტუმართმოყვარე გარემო ხვდებათ, მწვანე სივრცე კი დადებითად მოქმედებს ვიზიტორებზე. აქ იმართება სემინარები ყველასთვის, ვინც დაინტერესებულია თაფლის სანთლის ჩამოსხმით, საპნის წარმოებითა თუ თაფლაკვერისა და ჯანჯაფილის პურის ცხობით. ფერმაში სულ უფრო მატულობს სტუმრების რაოდენობა და დღეს ყოველთვიური სტუმრების რიცხვი ხუთიდან 125-მდე გაიზარდა. თინათინი ჩაბმულია ისეთ ტრენინგებში, როგორიცაა თაფლის დაგემოვნება და „ოსტატი მეფუტკრე“. ის რეგულარულად მონაწილეობს გამოფენებსა და სადღესასწაულო ბაზრობებში და ავითარებს კავშირებს ადგილობრივ ტურიზმთან მეტი სტუმრის მოსაზიდად. ამავე დროს, ის თანამშრომლობს საგანმანათლებლო და კულტურულ ორგანიზაციებთან და დარგობრივ ასოციაციებთან იმისათვის, რომ დანერგოს ახალი პროდუქტები და მომსახურება. თინათინი გეგმავს ონლაინმაღაზიის გაკეთებასაც, რამაც კიდევ მეტად უნდა გაზარდოს სტუმრების რაოდენობა.

მ1-გ3.8 – ტესტის პრაქტიკა

მ1-გ3.9 – ევროკავშირის სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის ევოლუციის ეტაპები

დღეს ევროკავშირი ასოცირებულია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ცხოვრების მაღალ დონესა და სასურსათო უსაფრთხოებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უმაღლეს სტანდარტთან. ეს სულაც არ არის შემთხვევით - ევროპაში ექვს ათწლეულზე მეტი ხანი

მიმდინარეობდა ამ საკითხებზე მუშაობა. ევროკავშირში დღესაც ხორციელდება მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელიც პასუხობს ჩვენი დროის გლობალურ გამოწვევებს და მიზნად ისახავს სასოფლო დასახლებების ეკონომიკური, სოციალური და გარემოს მდგრადობის გაძლიერებას.

ევროკავშირის სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის განვითარებასა და ევოლუციას განაპირობებს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მოლაპარაკებები, ისტორიული მოვლენები, ცვალებადი პრიორიტეტები და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო გამოწვევებთან გამკლავების კომპლექსური ურთიერთქმედება. სოფლის განვითარების განახლებული ხედვისა და მისი მნიშვნელობის სწორად გაგებისათვის აუცილებელია, გავაანალიზოთ ევროკავშირის სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის ევოლუცია. ეს დაგვეხმარება, უკეთ დავინახოთ მისი როლი სოფლად მცხოვრები საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში.

1962 წელი. სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის დაბადება

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ევროპის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის სექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის აღსადგენად, ექვსმა დამფუძნებელმა სახელმწიფომ (ბელგია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, საფრანგეთი), რომლებიც იმ დროისთვის ევროპულ თანამეგობრობას წარმოადგენდნენ, წამოიწყო მსჯელობა აგრარული პოლიტიკისადმი საერთო მიდგომის შემუშავებაზე.

140-საათიანი დისკუსიის შემდეგ, ევროპული თანამეგობრობის ექვსი დამფუძნებელი სახელმწიფოს მინისტრებმა გააფორმეს შეთანხმება, რომელიც იურიდიულ ძალას ანიჭებდა ევროპის სოფლის მეურნეობის პირველ საერთო პოლიტიკას. მისი თავდაპირველი მიზნები ესადაგება რომის 1957 წლის ხელშეკრულებას და დღესაც ევროკავშირის სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს. კერძოდ, ესენია:

- პროდუქტიულობის გაზრდა;
- სოფლის მეურნეობის პროდუქციით მომარაგების უზრუნველყოფა;
- ბაზრების სტაბილიზაცია;
- მომხმარებლებისთვის საკვების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა გონივრულ ფასებში;
- სოფლად მცხოვრები მოქალაქეებისთვის ცხოვრების თანაბარი სტანდარტების უზრუნველყოფა.

1970 წელი. მანსჰოლტის გეგმა: მოდერნიზაცია.

წლები გადიოდა და იზრდებოდა სურსათის წარმოების პროდუქტიულობა და ხელმისაწვდომობა, თუმცა, მიუხედავად საერთოევროპული პოლიტიკით მიღებული ხელშეწყობისა, ფერმერების შემოსავალი სტაგნაციას განიცდიდა. ჭარბი წარმოებისა და ფასების შენარჩუნების პირობებში, სოფლის მეურნეობის საკითხებში მაშინდელმა ევროკომისარმა სიკო მანსჰოლტმა იწინასწარმეტყველა ბაზრის დისბალანსი და წამოაყენა წინადადება, რომელიც ითვალისწინებდა სოფლის მეურნეობის სექტორის ფართომასშტაბიან მოდერნიზაციას. მისი გეგმის მიზანი იყო ფერმერების ცხოვრების დონის გაუმჯობესება და საბაზრო წონასწორობის რღვევის შეჩერება. სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის პირველ რეფორმად მიჩნეული „მანსჰოლტის გეგმა“ მიზნად ისახავდა:

- დამუშავებული მიწის ფართობის ოპტიმიზაციას
- ფერმების შერწყმას წარმოების უფრო დიდი ერთეულების შესაქმნელად.

1984 წელი. მიწოდების მართვა ბაზრის საჭიროებების შესაბამისად

1970-იანი წლების ბოლოს და 1980-იანი წლების დასაწყისში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებამ (მიწოდებამ) მნიშვნელოვნად გადააჭარბა ევროპულ ბაზარზე არსებულ მოთხოვნას. ჭარბმა ნამატმა სურსათის „დამპინგის“ ფენომენი გამოიწვია - სურსათი იყრებოდა ან მსოფლიო ბაზარზე გაცილებით დაბალ ფასად იყიდებოდა (გაჩნდა ჭარბი პროდუქციის აღმნიშვნელი ტერმინები - „კარაქის გორები“, „ღვინის ტბები“ და სხვ.).

ფერმერთა შემოსავლების ვარდნის თავიდან ასაცილებლად, 1984 წელს ევროკავშირმა შემოიღო რძესა და სხვა პროდუქტებზე კვოტირების სისტემა, რომლის მიზანიც იყო ჭარბი წარმოების შეზღუდვა და მარაგების უკეთესი მართვა. კვოტის გადაჭარბების შემთხვევაში მწარმოებელს ეკისრებოდა დამატებითი გადასახადი. მიღებული ზომების გამო, საერთაშორისო პარტნიორები ევროპულ თანამეგობრობას ზედმეტ პროტექციონიზმში ადანაშაულებდნენ და ბაზრის ლიბერალიზაციისკენ მოუწოდებდნენ.

1992 წელი. მაკშარის რეფორმა: ბაზრის მხარდაჭერიდან მწარმოებლების მხარდაჭერამდე

სოფლის მეურნეობის საკითხებში მაშინდელი ევროკომისრის რეი მაკშარის რეფორმა სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ რეფორმად ითვლება. რეფორმის მიზანი იყო გარანტირებული ფასების სისტემიდან გამოსვლა, ბაზრის მხარდაჭერიდან ფერმერების პირდაპირი შემოსავლის მხარდაჭერაზე გადასვლა და გარემოს დაცვის ვალდებულებებისა და სურსათის ხარისხის გაუმჯობესების სტიმულირება. პირველად დაინერგა ფერმერებისთვის პირდაპირი გადახდები, რაც იანგარიშებოდა დამუშავებული მიწის ფართობისა და საქონლის რაოდენობის მიხედვით.

1999 წელი. ევროკავშირის სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის ახალი საყრდენი - სოფლის განვითარება

დაარსებიდან თითქმის 40 წლის შემდეგ სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის ბიუჯეტი ევროკავშირის მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 50%-ს შეადგენდა. ამასობაში, ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად, სოფლის მეურნეობის სექტორი სულ უფრო ნაკლებ შესაძლებლობებს იძლეოდა, ვიდრე სხვა, უფრო მზარდი, მათ შორის, მომსახურების სექტორი. სოფლის მეურნეობა აღარ იყო ერთადერთი ეკონომიკური აქტივობა სოფლად, თუმცა ალტერნატიული დასაქმების შესაძლებლობების ნაკლებობა მნიშვნელოვნად ამცირებდა ევროპის სასოფლო დასახლებების განვითარების პოტენციალს. დივერსიფიკაცია როგორც საკუთრივ სოფლის მეურნეობის სექტორში, ისე მის ფარგლებს გარეთ, სოფლის მდგრადი განვითარების აუცილებელ პირობად იქნა მიჩნეული.

ამ ვითარებაში და ევროკავშირის 2004 წლის გაფართოების ახალი ტალღის გათვალისწინებით, შეიქმნა „დღის წესრიგი 2000“, რომლის მიზანი იყო სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის მეორე საყრდენის - სოფლის განვითარების შექმნა. სოფლის მეურნეობა და მასთან დაკავშირებული აგროგადამმუშავებელი სექტორი უმთავრეს ადგილს ინარჩუნებდა წარმოებისა და პროდუქტიულობის ზრდაში, სურსათის უსაფრთხოებაში, დასაქმებასა და სიღარიბის დაძლევაში. თუმცა სოფლის განვითარების მრავალმხრივი მიზნების მისაღწევად და ცხოვრების დონის ასამაღლებლად საჭირო იყო მრავალსექტორული, ინტეგრირებული პოლიტიკის განხორციელება, რომელიც შესაძლებელს გახდიდა სოფლად შემოსავლის ალტერნატიული წყაროების გაჩენასა და სოციალური ერთობის გაძლიერებას.

2003 წელს ეს ხედვა საბოლოოდ გამყარდა - ზალცბურგში გამართული სოფლის განვითარებისადმი მიძღვნილი მეორე ევროპული კონფერენციის დასკვნით, სასოფლო დასახლებების განვითარება აღარ შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ სოფლის მეურნეობას.



2013 წელი. პირველი რეფორმა ჩვეულებრივი საკანონმდებლო წესით

ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ევროკავშირის „სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის“ რეფორმა განხორციელდა ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცედურით, ევროპული საბჭოსა და ევროპარლამენტის თანამშრომლობით „ლისაბონის ხელშეკრულების“ შესაბამისად.

საზოგადოების განვითარებისთვის აუცილებელი ხელმისაწვდომი სურსათით უზრუნველყოფის გარდა, ახალმა ათასწლეულმა „სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკას“ ახალი საზრუნავი გაუჩინა. ამ პოლიტიკამ 21-ე საუკუნეში უნდა უპასუხოს ისეთ გამოწვევებს, როგორიცაა კლიმატური ცვლილებები, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, სურსათის უსაფრთხოება და ცხოველთა კეთილდღეობა. 2013 წლის რეფორმის შედეგად გაიზარდა სოფლის განვითარების პროექტების დაფინანსება (პოლიტიკის II საყრდენი). ევროკავშირის 2014-2020 წლების სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკაში შემდეგი ცვლილებები განხორციელდა:

- შემოღებულ იქნა ე.წ. „მწვანე გადახდები“ სოფლის მეურნეობაში მდგრადი პრაქტიკის მხარდაჭერის გასაძლიერებლად;
- ბიუჯეტი შეეზღუდათ მსხვილ ფერმებს დახმარების უფრო თანაბარი განაწილებისთვის;
- შემოსავლების გაუმჯობესებული ოპტიმიზაციით, დამატებითი ფინანსური მხარდაჭერა გამოეყოთ მცირე ფერმებს;
- წახალისდა ახალგაზრდების ჩართვა ფერმერულ საქმიანობაში.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა არსებითად მნიშვნელოვანი გახდა სურსათის წარმოებისა და სოფლად ცხოვრების ხარისხის შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

M1-G3.10 – ტესტის პრაქტიკა

M1-G3.11 – ტესტის პრაქტიკა

I-G3.12 – ევროკავშირის უფრო სამართლიანი, უფრო „მწვანე “და შედეგზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკა 2023-2027

ევროკავშირის ინსტიტუტებსა და წევრ ქვეყნებში სოფლის განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი გამოცდილება დაგროვდა. ეს გულისხმობს როგორც სოფლად განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებების შემუშავებას, დამტკიცებასა და განხორციელებას, ისე მათ მონიტორინგსა და შეფასებას, ასევე, მიღებული შედეგების გაანალიზებას, რომლის მიზანია არსებული ნაკლოვანებების გამოსწორება და შემდგომი პროგრამების უკეთესად დაგეგმვა. განსაკუთრებით ღირებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნების ის გამოცდილება, რომელიც უზრუნველყოფს სოფლად ეკონომიკური განვითარების პროცესებში მოსახლეობის ფართო ჩართულობას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სოფლად ეკონომიკური განვითარების პროექტების შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამიზნე სასოფლო დასახლებების გეოგრაფიულ, სოციალურ და ეკონომიკურ მახასიათებლებს.

ევროკავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ინტეგრირებულ და კონკრეტულ ადგილზე მორგებულ მიდგომებს, რაც საშუალებას იძლევა დეტალურად გაანალიზდეს სექტორები ადგილობრივი რესურსებისა (აქტივების) და შეზღუდვების გათვალისწინებით. იმისათვის, რომ ვიცოდეთ სასოფლო დასახლებების განვითარების დინამიკა, კვლევითი საქმიანობისას გათვალისწინებული უნდა იყოს ის ძირითადი ტენდენციები, რომლებიც ეკონომიკურ და სოციალურ გავლენას ახდენს სასოფლო დასახლებებზე. ასევე მნიშვნელოვანია არეალებს შორის არსებული განსხვავებების შესწავლა მათი გეოგრაფიული მდებარეობისა და გარემო პირობების მიხედვით. ეს განსხვავებები შეიძლება იყოს: დემოგრაფიული ტენდენციები (დაბერება, მიგრაცია ქვეყნებს შორის და ქვეყნის შიგნით, ქალებისა და ახალგაზრდების შერჩევითი მიგრაცია, ცხოვრების წესი); ბაზრის დინამიკა (დაფინანსება სოფლად, ბაზრის თავისებურება, კონცენტრაცია აღმავალ და დაღმავალ ინდუსტრიებში); მიწის ფლობა და დასაქმების მოდელები (განსაკუთრებით ფერმერულ საქმიანობაში); კლიმატური ცვლილებები; მომსახურებისა და ციფრული განვითარების ტენდენციები და მათი გავლენა პირველადი სექტორის მიმზიდველობაზე.

„მომავლის სოფლის ხედვას“ აუცილებლად სჭირდება ისეთი დოკუმენტი, რომელიც გააძლიერებს სოფლის მოსახლეობას არა მარტო სიღარიბის აღმოფხვრის კუთხით, არამედ უზრუნველყოფს მათ მიერ ახალი ეპოქისთვის დამახასიათებელი გამოწვევების დაძლევასაც. სასოფლო დასახლებებთან საჭიროა მოქნილი მიდგომა, კერძოდ, პოლიტიკისა და რესურსების შეჯერება, რაც საშუალებას მისცემს მათ, შექმნან დოვლათი და უზრუნველყონ საკუთარი კეთილდღეობა. ეს იქნება მდგრადი მომავალი, როდესაც კეთილდღეობა ისეთივე ღირებული იქნება, როგორც ინოვაცია, ადამიანები კი ისეთივე მნიშვნელოვანი - როგორც მიწა. ევროკავშირმა წევრ ქვეყნებთან ერთად სწორედ ეს „ხედვა“ დაუდო საფუძვლად მოქმედებას და ამით შესაძლებელი გახადა გაეტარებინა კონკრეტული ინიციატივების მხარდამჭერი ღონისძიებები.

2007-2013 წლებში ევროკავშირის სოფლის განვითარების პოლიტიკის მთავარი მიზანი იყო სოფლად ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიკაცია. ამ მიმართულებით ევროკავშირმა მხარი დაუჭირა არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დივერსიფიკაციას, ბიზნესის შექმნასა და განვითარებას, ტურისტული აქტივობების წახალისებას, სწავლებასა და ახალი უნარების ათვისებას და სოფლად არსებული კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციასა და განახლებას.

2014-2020 წლებში ევროკავშირის სოფლის განვითარების პოლიტიკა მოიცავდა 6 მთავარ მიმართულებას, ესენია:

- ცოდნის გადაცემა და ინოვაცია;
- ფერმების სიცოცხლისუნარიანობა და კონკურენტუნარიანობა;
- საკვების ღირებულებითი ჯაჭვის ორგანიზაცია და რისკების მართვა;
- ეკოსისტემების აღდგენა, დაცვა და წახალისება;
- რესურსების დამზოგველი და კლიმატის ცვლილებებისადმი მდგრადი ეკონომიკა;
- სოციალური ინკლუზია და ეკონომიკური განვითარება.

მე-6 მიმართულება - სოციალური ინკლუზია და ეკონომიკური განვითარება მიზნად ისახავდა სოფლად სიღარიბის შემცირებას, რისი მიღწევაც შესაძლებელია დივერსიფიკაციით, მცირე საწარმოების შექმნითა და განვითარების წახალისებით, აგრეთვე, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაზრდით. სოფლის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებებად მიიჩნიეს არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესწამოწყებების ხელშეწყობა და ამ სფეროში ინვესტიციების განხორციელება.

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა 2023-2027 წლების ევროკავშირის სოფლის მეურნეობის ახალი საერთო პოლიტიკა. ევროკავშირის 27 წევრ ქვეყანაში ფერმერებისა და სოფლად მცხოვრები დაინტერესებული მხარეების ხელშეწყობა დაეფუძნება საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკის ახალ საკანონმდებლო ჩარჩოს და აგრეთვე ევროკომისიის მიერ დამტკიცებულ და დეტალურად გაწერილ შესაბამის ეროვნულ სტრატეგიულ გეგმებს.

სოფლის განვითარების მხარდაჭერაში იგულისხმება მიწის მართვა გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილებების გათვალისწინებით, ცხოველთა უფლებების დაცვა, არახელსაყრელი პირობებით გამოწვეული ხარჯის კომპენსაცია, ინვესტიციები, ასევე ცოდნის დაგროვება, ინოვაცია და თანამშრომლობა. კლიმატის ცვლილების, გარემოსდაცვითი გამოწვევებისა და ბუნებრივი კატასტროფების მიმართ საზოგადოების მზარდი მგრძნობელობის კვალდაკვალ, ევროკავშირის ახალი „სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკა“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გარემოსთვის უსაფრთხო, „მწვანე“ მოთხოვნებს. დაფინანსება, ისევე როგორც მანამდე, დამოკიდებულია ევროკავშირის გარემოსდაცვით და კლიმატის კანონებთან შესაბამისობაზე. ამასთანავე, რეფორმით გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის ჯილდო/პრემია ეკოლოგიურად უფრო „მწვანე“ პრაქტიკისთვის როგორც პირდაპირი გადახდების სახით, ისე სოფლის განვითარების ფარგლებში.

სოფლის მეურნეობასა და სასოფლო დასახლებებს უმთავრესი ადგილი უჭირავს „ევროპის მწვანე შეთანხმებაში“ (European Green Deal). 2023-2027 წლების სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკა საკვანძო ინსტრუმენტი გახდება იმ ამოცანების გადასაჭრელად, რომლებსაც ითვალისწინებს სტრატეგია - ფერმიდან ჩანგლამდე (Farm to Fork) და სტრატეგია - ბიომრავალფეროვნება (Biodiversity).

გარდა ამისა, პრიორიტეტი ენიჭებათ მცირე ფერმებსა და ახალგაზრდა ფერმერებს პირდაპირი გადახდების მიღებისას. „სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის“ კიდევ ერთი სიახლეა მშრომელთა უფლებების დაცვის ვალდებულება.

ახალი პოლიტიკა ევროკავშირის დონეზე ადგენს:

- საერთო მიზნებს, რომლებითაც მკაფიოდ არის განსაზღვრული, რისი მიღწევაა შესაძლებელი ამ პოლიტიკით ფერმერებისთვის, მოქალაქეებისა და კლიმატისათვის;

- ინტერვენციების ფართო სპექტრს, რომლებიც განსაზღვრავს, რისი გაკეთება შეუძლიათ წევრ ქვეყნებს სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად;

- შედეგების ინდიკატორთა საერთო ნაკრებს, რამაც უნდა უზრუნველყოს „თამაშის თანაბარი წესები“ იმისათვის, რომ შეფასდეს ღონისძიებების ეფექტიანობა.

რეფორმის საკვანძო მიმართულებებია: უფრო „მწვანე“ და უფრო სამართლიანი „სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკა“.

უფრო „მწვანე“ სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკა ითვალისწინებს, რომ:

- ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა ვალდებულია, იმაზე მეტი ამბიცია გამოავლინოს გარემოს დაცვისა და კლიმატური ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლაში, ვიდრე ეს წინა პროგრამული ციკლის (2014-2020) მოქმედებისას შეძლო (არანაირი „თავის დაძვრენა!“). ამით მათ საკუთარი წვლილი უნდა შეიტანონ „ევროპის მწვანე შეთანხმების“ მიზნების მიღწევაში;

- გაძლიერებულია პირობითობა - „სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის“ ბენეფიციართა მიერ ფინანსური დახმარების მიღება დამოკიდებული იქნება სავალდებულო მოთხოვნების ზედმიწევნით შესრულებაზე;

- პრიორიტეტი ენიჭება ეკოსქემებს - როგორც ეკოლოგიურად სუფთა წარმოების ბიომრავალფეროვნებას, გარემოს დაცვასა და ცხოველთა კეთილდღეობის მხარდაჭერას, ისე ცირკულარულ ბიოეკონომიკასა და მდგრად სატყეო მეურნეობას.

უფრო სამართლიან სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკაში იგულისხმება:

ფინანსური შემოსავლის მხარდაჭერის გადანაწილება: „სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკა“ დახმარებას გაუწევს მათ, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. მხარდაჭერის გადანაწილება გულისხმობს მცირე და საშუალო ზომის ფერმების შემოსავლის საჭიროებების დაკმაყოფილებას პირდაპირი გადახდების გზით;

აქტიური ფერმერები: ახალი კანონმდებლობით განსაზღვრულია „აქტიური ფერმერის“ სავალდებულო და ამავე დროს მოქნილი დეფინიცია, რომელიც უნდა დაადგინონ ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა ობიექტური და არადისკრიმინაციული კრიტერიუმების საფუძველზე (შემოსავალი, სამუშაო ადგილების რაოდენობა და სხვ.). ევროკავშირის მხარდაჭერის მიღებას შეძლებენ მხოლოდ აქტიური ფერმერები;

სოციალური პირობითობა: „სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკით“ გათვალისწინებული მხარდაჭერის მიღება დაკავშირებულია შრომის სტანდარტებისა და უფლებების დაცვასთან. ამით ხდება ბენეფიციარების წახალისება, რათა მათ გააუმჯობესონ სამუშაო პირობები თავიანთ მეურნეობებში;

ახალგაზრდა ფერმერების მხარდაჭერა: ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა უნდა გაუნაწილონ მათი პირდაპირი გადახდების ბიუჯეტის მინიმუმ 3 % ახალგაზრდა ფერმერებს შემოსავლის ან საინვესტიციო მხარდაჭერის, ანდა „სტარტ-აპ“ დახმარების სახით;

გენდერული ბალანსის გაუმჯობესება: ფერმერულ მეურნეობაში გენდერული თანასწორობა და ქალთა მონაწილეობის გაზრდა პირველად აისახა „სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის სტრატეგიული გეგმების“ მიზნებში. ევროკავშირის ქვეყნებმა უნდა შეაფასონ ამ სფეროში ქალთა მონაწილეობის კუთხით არსებული ვითარება და დაგეგმონ საჭირო ღონისძიებები გამოვლენილი სირთულეების დასაძლევად.

I-მ3.13 – 2023-2027 წლების ევროკავშირის „სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის“ ათი კონკრეტული მიზანი.

2023-2027 წლების ევროკავშირის „სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკა“ მოიცავს ათ მთავარ მიზანს და მიმართულია სოფლის მეურნეობაში და სოფლად სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველყოფისაკენ. სწორედ ამ მიზნების საფუძველზე შეიმუშავეს წევრმა ქვეყნებმა „სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის“ „ეროვნული სტრატეგიული გეგმები“ - CAP Strategic Plans.

ეს მიზნებია:

- ფერმერების უზრუნველყოფა სამართლიანი შემოსავლით;
- კონკურენტუნარიანობის გაძლიერება;
- ფერმერების პოზიციის გაუმჯობესება სურსათის ჯაჭვში;
- მოქმედება კლიმატის ცვლილებების მიმართ;
- ზრუნვა გარემოზე;
- ლანდშაფტებისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება;
- თაობათა განახლების მხარდაჭერა;
- დინამიკური სასოფლო დასახლებები;
- სურსათისა და ჯანმრთელობის ხარისხის დაცვა;
- ცოდნისა და ინოვაციის ხელშეწყობა.

ევროკავშირის „სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის“ 2020 წლის შემდგომი რეფორმის მიზანი იყო ახალი სტრატეგიული მიდგომის დანერგვა. ამით წევრ ქვეყნებს მიენიჭათ ავტონომია, შეედგინათ ეროვნული სტრატეგიული გეგმები, რომლებიც იქნებოდა საკუთარი საჭიროებებისა და პოლიტიკის საერთო მიზნების შესაბამისი. ამდენად, ევროკავშირის ეს ახალი პოლიტიკა მეტად მოქნილია და უზრუნველყოფს არჩევანის ფართო სპექტრს თითოეული წევრი ქვეყნის უნიკალური საჭიროებებისა და პრიორიტეტების დასაკმაყოფილებლად.

ახალი პოლიტიკის ძირითად ასპექტებს შორის ასევე აღსანიშნავია შესრულებაზე დაფუძნებული მიდგომა, რომლის მიხედვითაც წევრი ქვეყნები ვალდებული არიან ყოველწლიურად წარადგინონ ანგარიში. ინდიკატორების მონიტორინგი ხდება აღსრულების წლიური ანგარიშებისა და „სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის სტრატეგიული გეგმების“ შესრულების ყოველწლიური მიმოხილვის საფუძველზე. სწორედ ასე ფასდება ევროკავშირის წევრი ქვეყნების პროგრესი საერთო მიზნების მიღწევის საქმეში.

ევროკავშირის „სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკა“ ითვალისწინებს, რომ ყველა რეგიონს აქვს თავისი უნიკალური თვისებები, გარემოებები და გამოწვევები. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საერთო პოლიტიკის ფარგლებში, სხვადასხვა ქვეყანაში მსგავსი ღონისძიებები ერთნაირად მაღალი ხარისხით ხორციელდება. ამ მსგავსების მიზეზი შეიძლება იყოს პოლიტიკისა და რეგულაციების ჰარმონიზების ტრადიცია და სურვილი ევროკავშირის მასშტაბით.

მ1-გ3.14 – ტესტის პრაქტიკა

მ1-გ3.15 – ტესტის პრაქტიკა

მ1-გ3.16 – საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის არსებული პრიორიტეტები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა 3,736,4 ადამიანია, მთელი მოსახლეობის 39.6% კი (1,480.6 ადამიანი) სოფლად ცხოვრობს (2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით). გაეროს მსოფლიო ურბანიზაციის პერსპექტივების პროგნოზით, საქართველოში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის წილი 2050 წლისთვის 27%-მდე შემცირდება. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე 65,2 ადამიანს შეადგენს (2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით). 2018 წელს საქართველო ევროკავშირის წევრი ქვეყანა რომ ყოფილიყო, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით 22-ე ადგილზე აღმოჩნდებოდა, მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით კი, ქვეყანა ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად მჭიდროდ დასახლებული იქნებოდა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის 24-ე ადგილს დაიკავებდა.

საქართველოში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სამუშაო ძალის 40% თვითდასაქმებულია, ძირითადად, სოფლის მეურნეობის სექტორში. ამასთან, 2022 წელს ქვეყანაში სულ დასაქმებულთა 17.9% მუშაობდა სოფლის მეურნეობის, ნადირობისა და მეტყევეობის, თევზჭერისა და მეთევზეობის სექტორებში. მათი წილი მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) 7%-ს შეადგენდა.

ცხოვრების დონის მიხედვით, მნიშვნელოვანი განსხვავებებია სოფლისა და ქალაქის ტიპის დასახლებებს შორის. მაგალითად, 2022 წელს სოფლად მცხოვრებ შინამეურნეობებთან შედარებით, ქალაქად მცხოვრები შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავალი 54 %-ით მაღალი იყო. იმავე წელს აბსოლუტური სიღარიბე სოფლად 20.6 %-ს, ხოლო ქალაქად 12.3.0 %-ს შეადგენდა. თბილისში შექმნილი დამატებული ღირებულება ქვეყანაში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების 50.68%-ია (2022).

საქართველოსთვის ევროკავშირის მხარდაჭერა ეფუძნება მშვიდობის, თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის საერთო ღირებულებებს. მხარდაჭერის მიზანია არა მარტო

ინსტიტუციური ინტეგრაცია ევროპასთან, არამედ საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებაც.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-10 თავის - „სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება“ თანახმად, საქართველომ უნდა უზრუნველყოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება ევროკავშირის პოლიტიკისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. საქართველომ თავისი კანონმდებლობა უნდა დაუახლოოს ევროპულს, ასევე ხელი უნდა შეუწყოს როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლებების შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა პოლიტიკის დაგეგმვა და შეფასება შეესაბამებოდეს ევროპულ ნორმებს. „მხარეები ითანამშრომლებენ, რათა ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებას, კერძოდ, პოლიტიკისა და კანონმდებლობის თანამიმდევრული დაახლოების გზით“.

საქართველოსთვის 2023 წლის 14 დეკემბერს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭება ისტორიული შესაძლებლობაა. საქართველოს წინსვლის დასაჩქარებლად პრიორიტეტს წარმოადგენს ევროკავშირთან დარგობრივი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ინტეგრაცია. ამ მხრივ აღსანიშნავია „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მნიშვნელობა, რომელიც მოაწესრიგებს სფეროს პრიორიტეტებსა და პოლიტიკის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. ეს არის დარგობრივი საკანონმდებლო ჰარმონიზაციის მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

აშკარაა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობას აქვს იმის პოტენციალი, რომ ხელი შეუწყოს „მწვანე“, მდგრად და ინკლუზიურ ეკონომიკურ განვითარებას. წლების განმავლობაში, მიზანმიმართული პოლიტიკის ფარგლებში, ამ სექტორში განხორციელებულმა ინვესტიციებმა თავისი ნაყოფი გამოიღო. საქართველოს აგრობიზნესში ბოლო დროს მიმდინარე პროცესები და მისი მდიდარი ისტორია ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა, რომ სამომავლოდ ამ დარგს მდგრადი ზრდის პოტენციალი ექნება. თუმცა, წარმატებებისა და შესაძლებლობების მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევა არსებობს. საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი და სოფლის მოსახლეობის უმეტესობა კვლავაც დაბალპროდუქტიულ სასოფლო-სამეურნეო სფეროებში საქმიანობს, რაც განაპირობებს სოფლად სიღარიბისა და სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის მაღალ დონეს.

ევროკავშირთან შედარებით, საქართველოში ბოლო დრომდე არ არსებობდა სოფლის განვითარებისა და ეკონომიკური დივერსიფიკაციის პოლიტიკა. ახლა კი, აქტიურად მიმდინარეობს შესაბამისი ცოდნის დანაკლისის შევსება. სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე სოფლის განვითარების მიმართულებით მუშაობა 2017 წელს დაიწყო. საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა 2017-2020 წლების საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია და 2017 წლის სამოქმედო გეგმა, რაც წინგადადგმული ნაბიჯი იყო საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების გზაზე. ამ პროცესში აღსანიშნავია ევროკავშირის მხარდაჭერა, რომელიც ხორციელდებოდა ევროკავშირის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში.

2017-2020 წლების საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგიაში გათვალისწინებული იყო საქართველოს მთავრობის პრიორიტეტები და ყველა იმ სექტორული თუ მულტისექტორული განვითარების მიმართულება, რომლებიც კავშირშია სოფლის განვითარებასთან. სტრატეგიას სამი პრიორიტეტული მიმართულება ჰქონდა:

- ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა;
- სოციალური პირობები და ცხოვრების დონე;
- გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა.

2021-2027 წლების სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია შეიქმნა არსებული სტრატეგიების განხორციელების შედეგების, გატარებული რეფორმებისა და ევროკავშირის გამოცდილების მიხედვით. სტრატეგია შემუშავებულია საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორისა და სოფლად არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე და მასში ასახულია შეფასებები და ადგილზე განხორციელებული და მიმდინარე პროგრამები. სტრატეგია ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებსა და სექტორული თუ მულტისექტორული განვითარების მიმართულებებს, რომლებიც კავშირშია სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებასთან.

2021-2027 წლების სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია საქართველოს სოფლის მომავლის ფორმირების უმთავრეს ინსტრუმენტს წარმოადგენს. მისი ამოცანაა სოფლის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა ისეთი სტრატეგიული მიზნებით, როგორიცაა:

- კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობისა და არასასოფლო-სამეურნეო სექტორების განვითარება;
- ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემის შენარჩუნება და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია;
- სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტიანი სისტემების შემუშავება.

აღსანიშნავია, რომ 2021-2027 წლების სტრატეგიაში პრიორიტეტი მიენიჭა არასასოფლო-სამეურნეო სექტორების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. სტრატეგიის ამოცანებია:

- ფერმერთა და მეწარმეთა ცოდნის/ინფორმირებულობის ამაღლების უზრუნველყოფა;
- სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, რომელიც ფოკუსირებულია დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციასა და მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე;

- ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

- ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია;

- სოფლად ახალგაზრდა ფერმერებისა და მეწარმეების სტიმულირება;

- ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;

- ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება;

- სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება.

სოფლის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებული მართვის პრაქტიკის დანერგვა. კერძოდ, ტყის რესურსების მდგრადი მართვა უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პირდაპირი თუ არაპირდაპირი სარგებლისა და რესურსების უწყვეტ მიწოდებას, ასევე ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ფუნქციონირებას, ადამიანების კეთილდღეობას, სიღარიბის აღმოფხვრასა და ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას.

საქართველო, როგორც კავკასიის ნაწილი, აღიარებულია ბიომრავალფეროვნების მხრივ ერთ-ერთ განსაკუთრებულ რეგიონად - ბიომრავალფეროვნების „ცხელ წერტილად“, რომლის ბუნებაც გამოირჩევა სახეობრივი მრავალფეროვნებით, ენდემიზმის მაღალი დონითა და გლობალური მნიშვნელობის მქონე ეკოსისტემებით. ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასთან, ეკოსისტემების შენარჩუნებასა და კლიმატის ცვლილებებთან მიმართებით პრიორიტეტი ენიჭება შემდეგ ამოცანებს:

- გარემოსთან ადაპტირებული, კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავრცელება;

- ბიო/ორგანული წარმოების განვითარების ხელშეწყობა;
- ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;

- ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება;

- ენერგოეფექტიანი და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა;

- აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

სტრატეგიის უმთავრეს პრიორიტეტებში აგრეთვე სათანადოდაა ასახული ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ისეთი მიმართულებები, როგორიცაა სურსათის უსაფრთხოება და ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტიანი სისტემების განვითარება. ამისათვის პრიორიტეტი მიენიჭა ისეთ ამოცანებს, როგორიცაა:

- ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს იმ მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება, რომელიც სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სფეროს ეხება;

- ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრებისთვის მიწოდებული პროდუქციის შესაბამისობის უზრუნველყოფა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სტანდარტებთან;

- ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერება;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების ხარისხის უზრუნველყოფა.

მ1-გ3.17 – ტესტის პრაქტიკა

მ1-გ3.18 – ტესტის პრაქტიკა

მოდული 2: „ჭკვიანი სოფლის“ კონცეფცია და შესაძლებლობები

მ2-გ3.1 – შესავალი

დღეს ჩვენ დიდი გამოწვევებისა და ამავე დროს უნიკალური შესაძლებლობების ეპოქაში გვიწევს ცხოვრება. ინფრასტრუქტურისა და ციფრული ტექნოლოგიების განვითარება, ინოვაციები და კრეატიული მიდგომა უფრო აახლოებს სოფელსა და ურბანულ ცენტრებს. სულ უფრო იზრდება მათი ურთიერთკავშირი, რაც განვითარების პროექტების სინერგიის საშუალებას იძლევა. მათთვის, ვინც სოფლის განვითარების პოლიტიკას შეიმუშავებს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ეკონომიკის დივერსიფიკაცია. ამ ხედვის წარმატებას მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს. მის ხორცშესხმაში ჩართული უნდა იყოს დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრი. როგორც ეროვნულმა, ისე ადგილობრივმა მმართველობებმა უნდა შექმნან ხელშემწყობი გარემო, რათა წახალისდეს სხვადასხვა გაერთიანებასა და სექტორს შორის თანამშრომლობა. უნდა შეიქმნას გარემო, სადაც მოსახლეობას შეეძლება ინიციატივის საკუთარ ხელში აღება, რათა გამოავლინოს განვითარებისთვის ხელშემშლელი ბარიერები და გამოიყენოს არსებული შესაძლებლობები მის გადასალახად. სოფლის განვითარების ხედვის მთავარი ფიგურანტია ადამიანი, რომელიც აცნობიერებს საკუთარ როლს. ადამიანები, ერთი მხრივ, უნდა აღიარებდნენ, რომ მთავარი როლი ეკისრებათ ცვლილებებში და, მეორე მხრივ, უნდა ზრუნავდნენ საკუთარი კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე.

სოფლის ეკონომიკა ეგზოგენური ზრდიდან, ანუ გარე ფაქტორებით წარმართული პროცესიდან, ენდოგენურ ზრდას დაეფუძნება. ეს მიზნად ისახავს სასოფლო დასახლებების ბუნებრივი, ადამიანური და სოციალური კაპიტალის გამოყენებას ისე, რომ უარი არ ითქვას გარედან მომდინარე პოტენციურ მხარდაჭერასა და სინერგიაზე. სწორედ ადგილობრივი სიმდიდრისა და მხარდაჭერის გონივრულად გამოყენება, ასევე, განვითარების სხვადასხვა პროექტს შორის წარმოქმნილი სინერგიის წახალისება და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ჩართულობა უნდა გახდეს სოფლად ეკონომიკური დივერსიფიკაციისა და განვითარების მამოძრავებელი ძალა.

მ2-გ3.2 – მიზნები

ამ მოდულში განვიხილავთ:

- ციფრულად აღჭურვილი და ურთიერთდაკავშირებული მომავლის სოფლის ხედვას „ჭკვიანი სოფლის“ კონცეფციის შესახებ, როდესაც ტექნოლოგია, ინფრასტრუქტურა და უნარები ადგილობრივ და გლობალურ გამოწვევებს პასუხობს;
- სოფლებსა და ქალაქებს შორის კავშირების მნიშვნელობას;
- ზრდის პოლუსების ცნებასა და მიზანშეწონილობას.

მ2-მ3.3 – „ჭკვიანი სოფლის“ ცნება

„ჭკვიანი სოფლის“ ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია ახალი გადაწყვეტის გზების მოძიება და მათი განხორციელება ადგილობრივი გამოწვევების გადასაჭრელად. განმარტების თანახმად, „ჭკვიანი სოფელი“ ნიშნავს „ინოვაციური გადაწყვეტის საშუალებების გამოყენებას სხვადასხვა ტიპის ნეგატიური გავლენისა და კრიზისის მიმართ მედეგობის გასაუმჯობესებლად, ახალი უპირატესობებისა და შესაძლებლობების შექმნას და არსებულის სრულად ათვისებას“. „ჭკვიანი სოფლის“ კონცეფცია ითვალისწინებს კონკრეტულ ტერიტორიებს, რადგან ეფუძნება სწორედ ამ ტერიტორიების საჭიროებებსა და პოტენციალს.

„ჭკვიანი სოფელი“ გულისხმობს სოფლის შიგნით და მის გარშემო არსებული შესაძლებლობების კარგად გააზრებას, ყველა ხელმისაწვდომი მხარდაჭერისა და საშუალების გამოყენებას, ახალი პარტნიორების მოძიებასა და ახალი ალიანსების ჩამოყალიბებას, კავშირს ურბანულ დასახლებებსა და დიდ ქალაქებთან, აგრეთვე, ახალი ცოდნის დაუფლებას, არსებულის გამოყენებას და, რაც მთავარია, მოქმედებას. „ჭკვიანი სოფელი“ ასევე მოიცავს მოსახლეობის საკეთილდღეოდ ყველა იმ შესაძლებლობის გამოყენებას, რაც მოაქვს საჯარო ინვესტიციებს ინფრასტრუქტურაში, საყოველთაო ინტერნეტიზაციას, ციფრულ ტრანსფორმაციას, ნახშირბადის დაბალ შემცველობასა და ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლას.

„ჭკვიანი სოფლის“ ფარგლებში ინოვაცია შეიძლება სხვადასხვა სფეროში განსხვავებული მიდგომებით განხორციელდეს იმის გათვალისწინებით, თუ რა გამოწვევები და შესაძლებლობები აქვს კონკრეტულ სოფელს. სოფლად ცხოვრების სტანდარტის ამაღლება შეუძლებელია, თუ არ გაუმჯობესდება განათლების, ჯანდაცვის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ნარჩენების მართვისა და სხვა ძირითადი საჯარო სერვისების ხარისხი და მათზე წვდომა. ამ პროცესში კარგ მმართველობას, მოქალაქეების ჩართულობასა და საჯარო-კერძო თანამშრომლობას უმთავრესი ადგილი უჭირავს. სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი გარემოს შექმნის პირობებში, კერძო სექტორს უაღრესად მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია, რადგან კერძო კომპანიები ხშირად უფრო მოქნილები და ნოვატორულები არიან. სასოფლო დასახლებებში, განსაკუთრებით, მცირე ზომის დასახლებებში „ჭკვიანი სოფლის“ კონცეფცია შეიძლება გახდეს განმსაზღვრელი ფაქტორი. „ჭკვიანი“ გულისხმობს შემოქმედებით მიდგომას მთელ რიგ საკითხებთან მიმართებით.

მ2-გ3.4 – „ჭკვიანი სოფლის“ ოთხი მამოძრავებელი ნიშანი:

დემოგრაფიულ ცვლილებებზე რეაგირება და საჯარო სერვისებზე არათანაბარი წვდომის საპასუხოდ ადგილობრივი გადაწყვეტის მოფიქრება „ჭკვიანი სოფლის“ იდეის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა. 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოში სოფლად ცხოვრობდა მოსახლეობის 39.6%. მსოფლიო ბანკის განვითარების ინდიკატორებისა და გაეროს მსოფლიოს ურბანიზაციის პერსპექტივის მიხედვით, 2050 წლისთვის საქართველოში სოფლად მცხოვრები მოსახლეობა 27 %-მდე შემცირდება. დეპოპულაცია მიიჩნევა ხან „უკუსვლის“ სიმპტომად, ხან კი - მიზეზად. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ზრდის პირობებშიც კი, მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვე და ლოგისტიკური სირთულეები აფერხებს საბაზისო მომსახურებებზე წვდომას და ზრდის მათ ღირებულებას. ეს განსაკუთრებით შეინიშნება ისეთ სფეროებში, როგორიცაა განათლება, ჯანდაცვა, ტრანსპორტი და სხვა. დღეს რომ საქართველო ევროკავშირის წევრი ქვეყანა იყოს, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით 22-ე ადგილს დაიკავებდა, მოსახლეობის სიმჭიდროვით კი, ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა იქნებოდა და წევრ ქვეყნებს შორის 24-ე ადგილზე აღმოჩნდებოდა.

სასოფლო დასახლებებში ციფრული ტრანსფორმაციის ხელშეწყობა - ციფრულ ტექნოლოგიებს შეუძლია რადიკალურად შეცვალოს არახელსაყრელი ვითარება, რომელიც ხშირად გამოწვეულია სასოფლო დასახლებების სიშორისა და მოსახლეობის სიმჭიდროვის დაბალი მაჩვენებლის გამო. სწორედ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება იძლევა იმის საშუალებას, რომ მყისიერი გახდეს ვირტუალური კომუნიკაცია და ელექტრონულ სერვისებზე წვდომა. ხშირად სასოფლო დასახლებები ვერ სარგებლობენ ციფრული მიღწევებით იმის გამო, რომ არა აქვთ (1) ინტერნეტზე წვდომა, (2) სათანადო უნარები და (3) ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა-ათვისების შესაძლებლობა.

ქალაქებთან კავშირების განვითარება - სასოფლო დასახლებებს ქალაქებთან სიმბიოზური ურთიერთობა აქვთ. ეს ურთიერთობა ისტორიულად შეიძლება ყოფილიყო კონკურენციაც, როდესაც ერთის მოგება აუცილებლად ნიშნავდა მეორის წაგებას. თუმცა, ქალაქებსა და სასოფლო დასახლებებს შორის კავშირების რთული სქემის გაანალიზების შემდეგ, ცხადი გახდა, რომ წინდახედული მართვის პირობებში შესაძლებელია ორივე მხარისათვის მომგებიანი ურთიერთობა. „ჭკვიანი სოფლისთვის“ ეს არა მარტო ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავებების გადალახვაა, არამედ ეს არის თითოეულის უნიკალური პოტენციალის გამოყენება ორივეს სასარგებლოდ.

ნახშირბადის დაბალი შემცველობისა და ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში სასოფლო დასახლებების როლის გაზრდა - ნახშირბადის დაბალი შემცველობის ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში სასოფლო დასახლებებს მოწინავე და წამყვანი როლი აქვთ. გარემოსა და ბუნებრივ რესურსებთან სიახლოვე ხშირად მათი კონკურენტუნარიანი უპირატესობის ქვაკუთხედს წარმოადგენს. შესაბამისად, კლიმატის ცვლილებისა და გარემოს დაბინძურების საფრთხეები მათზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს.

მ2-გ3.5 – ტესტის პრაქტიკა

მ2-გ3.6 – სოფლის ციფრული აღჭურვის უზრუნველყოფა და მზაობა მომავლისათვის

ჯერ კიდევ კოვიდ-19-ის პანდემიის დაწყებამდე, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ციფრული ინფრასტრუქტურა, ტექნოლოგია და მომსახურება მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. პოსტპანდემიურ პერიოდში ციფრული ტექნოლოგია გასაოცარი სისწრაფით ვითარდება. დღეს უკვე თითქმის შეუძლებელია ციფრული ინფრასტრუქტურისა და ციფრული ტექნოლოგიების გარეშე ცხოვრება და მუშაობა.

არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომლებსაც შეუძლია გააძლიეროს სასოფლო დასახლებების უნარები და ტექნოლოგიური განვითარებით სარგებლობის შესაძლებლობები. ეს ფაქტორებია:

- ადამიანზე ორიენტირებული ციფრული ტექნოლოგიების საყოველთაო და თანასწორი ხელმისაწვდომობა, რაც უზრუნველყოფს საჯარო და კერძო მომსახურებების ხარისხის გაუმჯობესებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა განათლება, ტრანსპორტი, ჯანმრთელობის დაცვა, ენერგეტიკა, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, სოციალური და გარემოს დაცვა;

- უწყვეტი სწავლება, კვალიფიკაციის ამაღლება და მოსახლეობის აღჭურვა ციფრული და შემეცნებითი უნარებით;

- ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება კლიმატის ცვლილების ზემოქმედებათა მონიტორინგისთვის, მისი შერბილებისა და ადაპტაციისათვის, ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირებისა და გარემოს დაცვისთვის;

- სოფლად ციფრული ეკოსისტემების განთავსება ტექნოლოგიური გარდაქმნის მხარდაჭერის, ადაპტირებისა და დაჩქარებისათვის;

- ქმედითი პლატფორმებისა და მომსახურებების განვითარება ახალი ბიზნესმოდელებისა და სოციალური ინოვაციის ხელშეწყობისათვის.

როდესაც საქმე ეხება ციფრულ ტექნოლოგიაზე გადასვლას, უნდა გავითვალისწინოთ ორი ელემენტი: კავშირი და ციფრული უნარები.

- ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურისა და ქსელის თვალსაზრისით, ევროკავშირის სასოფლო დასახლებები მუდამ ჩამორჩებოდნენ ქალაქებს. 2015 წელს, მას შემდეგ, რაც ევროკავშირში დაინერგა „ერთიანი ციფრული ბაზრის სტრატეგია“, გაიზარდა ქსელური დაფარვა და ფართო სიხშირის ქსელთან წვდომა, სასოფლო დასახლებები სულ უფრო ეწევიან ქალაქებს;

- კავშირი არ არის ერთადერთი, რაშიც სასოფლო დასახლებები ჩამორჩებიან თანამედროვე მსოფლიოს ციფრული ტრანსფორმაციის პროცესს. ციფრული უნარები მიიჩნევა არსებით ფაქტორად გლობალური კონკურენტუნარიანობისთვის, ხოლო ციფრული უნარების არქონა სარკისებურად ასახავს უთანასწორობას სოფელსა და ქალაქს შორის.

კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი საკითხია ცნობიერების ამაღლება ციფრული ტექნოლოგიების შესაძლებლობების მიმართულებით. ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რა სიკეთე მოაქვს ამას მათთვის, ბიზნესებისა და ადგილობრივი მმართველობისთვის. ამასთან, საჭიროა გაძლიერდეს ნდობა მათი მოხმარების მიმართ. რაც უფრო ნაკლებია ციფრული განათლება, მით მეტია მათი გამოყენების მიმართ უნდობლობა ან შიში, რაც, როგორც ცნობილია, უფრო გავრცელებულია სოფლად, ვიდრე ქალაქებში. მნიშვნელოვანია ადამიანების, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდების ჩაბმა შუამავლებად, ერთგვარ „ციფრულ ბროკერებად“ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტად მოხდეს ტექნოლოგიებთან სოფლის მოსახლეობის, ფერმერების, ბიზნესებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების დაახლოება. სოფლებმა უნდა შეძლონ გაზარდონ მიმღეობა და გადავიდნენ აქტიურ და თამამ მოქმედებებზე. არ შეიძლება უბრალოდ წინსვლის ლოდინი, ისინი თავად უნდა იქცნენ ციფრული გარდაქმნის „ჭკვიან მოთამაშეებად“. ამისთვის საჭიროა საჯარო, სამოქალაქო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის ახალ საფეხურზე გადასვლა.

მხოლოდ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება არ განსაზღვრავს „ჭკვიან სოფელს“ და ეს არ არის სოფლის განვითარების მისაღწევად ერთადერთი საშუალება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სწორედ ციფრული ტექნოლოგიები ხდება ხშირად „ჭკვიანი სოფლის“ მიზნების მიღწევის ეფექტიანი და ქმედითი საშუალება. მაგალითად, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებამ დადებითი გავლენა შეიძლება იქონიოს დეპოპულაციის პრობლემაზე, რადგან მისი საშუალებით შეიძლება დასაქმების ისეთი შესაძლებლობის შექმნა, რომ დასაქმების ასაკის ადამიანებს აღარ უწევდეთ თემის დატოვება (e-work).

„ჭკვიანი სოფლის“ სხვა კომპონენტების მსგავსად, ციფრული საშუალებების გამოყენების დაწყებისას წარმატების აუცილებელი პირობაა მოქალაქეების მონაწილეობა. მათ უნდა შეეძლოთ ციფრული ტექნოლოგიების სრული შესაძლებლობების გამოყენება და ამავე დროს კარგად უნდა ჰქონდეთ გაცნობიერებული მისი მნიშვნელობა საკუთარი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში. ადგილობრივმა მოსახლეობამ (მათ შორის, ადგილობრივმა თვითმმართველობებმა) უნდა იცოდეს, რა შესაძლებლობას სთავაზობს მათ ტექნოლოგიური მიღწევები.

ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით „ჭკვიანი სოფელი“ შეიძლება გახდეს უფრო მოქნილი და ამოძრავებული. მან უკეთ უნდა გამოიყენოს საკუთარი რესურსები და გაიუმჯობესოს ცხოვრების ხარისხი ინოვაციების დანერგვისა და მუდმივი ადაპტაციის გზით.

მ2-მ3.7 – ტესტის პრაქტიკა

მ2-მ3.8 – მაგალითი (2)

სასოფლო დასახლებაში კერძო და საჯარო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის გზით განხორციელდა პროექტი, რომელმაც მთლიანად შეცვალა სოფლის მაღაზიათა მუშაობის მოდელი. რამდენიმე სოფლის მაღაზია, რომელიც 400 კვადრატულ მეტრზე ნაკლებ ფართობზე იყო განთავსებული, იმავდროულად გახდა ერთ-ერთი არხი მრავალმხრივი კერძო და საჯარო სერვისების მიწოდების ქსელში ადგილობრივი მცხოვრებლებისა და სხვა მომხმარებლებისთვის (დამსვენებლებისთვის).

ეს მაღაზიები ადრეც სთავაზობდნენ მოსახლეობას დამატებით სერვისებს - ამანათების მიწოდებისა და კაფეების სახით, თუმცა არასდროს ჰქონიათ შესაძლებლობა, გაეწიათ ისეთი საჯარო სერვისები, როგორიცაა სოციალურად დაუცველ პირთათვის მუნიციპალური ყოველდღიური ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა და საფოსტო მომსახურება. ერთ სივრცეში რამდენიმე სერვისის თავმოყრამ და ადმინისტრაციული დანაყოფების შემოღებამ განაპირობა ინტერნეტთან წვდომის წერტილების განთავსება. ამით შესაძლებელი გახდა ამომრჩევლებს, სოციალურად დაუცველ და სხვა პირებს ესარგებლათ ისეთი მუნიციპალური სერვისებით, როგორიცაა რეგისტრაცია, მოქალაქეთა განცხადებების მიღება, ადმინისტრაციული დოკუმენტაციის გაცემა და სხვ.; გარდა ამისა, აღნიშნულ მაღაზიებში განთავსდა ელექტრონული საინფორმაციო დაფები მუნიციპალური და კომერციული სიახლეებისა და უმუშევართა დახმარების ადგილობრივი პროგრამების გასაცნობად.

ინტერნეტისა და კომუნიკაციის ქსელის ხელმისაწვდომობამ განაპირობა საერთო სამუშაო სივრცის შექმნა, რამაც საშუალება მისცა სხვადასხვა სექტორში მომუშავე მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს, გაემართათ ვირტუალური შეხვედრები და სოფლის დატოვების გარეშე ემუშავათ კომფორტულ გარემოში. საერთო სამუშაო სივრცეები მიზნად ისახავდა სოფლად დასაქმების ახალი შესაძლებლობების შექმნას, მოსახლეობის შენარჩუნებას და ისეთი პროფესიონალების დაინტერესებას, რომლებსაც ხიბლავდათ სოფლის ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ცხოვრება და/ან მუშაობა, ხარისხიანი სურსათი და ცხოვრების შედარებით ნაკლები ხარჯი.

თავიდან სოფლის მოსახლეობა საერთო სამუშაო სივრცის მიმართ განსაკუთრებული თავშეკავებულობით გამოირჩეოდა, თუმცა დამოკიდებულება სწრაფად შეიცვალა მას შემდეგ, რაც ამოქმედდა სხვადასხვა სფეროში ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამოყენების, ციფრული უნარების განვითარებისა და დისტანციური დასაქმების ონლაინპლატფორმა. ადგილობრივ მცხოვრებლებში კუთვნილებისა და ჩართულობის ახალი განცდა გაჩნდა. რამდენიმე თვეში მოთხოვნამ იმატა. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო ზაფხულისა და ზამთრის პერიოდში, როდესაც დასახლებას დამსვენებლები სტუმრობდნენ. საჭირო გახდა საბავშვო სივრცის მოწყობა გასართობი, შემეცნებითი და შემოქმედებითი აქტივობებისთვის, სადაც მათ მხიარული ანიმატორები დახვდებოდათ. საერთო სამუშაო სივრცემ და სათანადო სერვისების არსებობამ შესაძლებელი გახადა, მეტი დრო გაეტარებინათ ადამიანებს სოფლად - გაცილებით მშვიდ და სუფთა გარემოში.

აღსანიშნავია, რომ სერვისების გაერთიანებამ და უკვე შემდეგ, საერთო სამუშაო სივრცის მოწყობამ განაპირობა ის, რომ, სოფლის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიების ფარგლებში, ადგილობრივმა მეწარმემ შეიძინა ელექტრო-მინიავტობუსი. მან მოსახლეობას შესთავაზა წელიწადის ოთხივე სეზონზე შედარებით დაშორებული ადგილებიდან მგზავრთა გადაყვანის მომსახურება. ამან დადებითი გავლენა იქონია მცირე სასოფლო დასახლებებს შორის მობილობის გაუმჯობესებაზე.

M2-G3.9 – ტესტის პრაქტიკა

M2-G3.10 – „ჭკვიანი სოფლის“ სტრატეგიები

„ჭკვიანი სოფლის“ სტრატეგია არ უნდა გავიგოთ, როგორც კიდევ ერთი ფორმალური, ყოვლისმომცველი ტერიტორიული სტრატეგიის დოკუმენტი. ასეთი სტრატეგიის მიზანი არ არის კიდევ ერთი ფართომასშტაბიანი მონაწილეობითი დაგეგმვის პროცესი, რომელიც ხშირად ადგილობრივი და მუნიციპალური განვითარების სტრატეგიების შემუშავებისას გამოიყენება.

„ჭკვიანი სოფლის“ სტრატეგიის მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის ენერგიის, ხედვისა და პასუხისმგებლობის მიმართვა კონკრეტული პრობლემების გადაჭრისაკენ. სტრატეგია იქმნება უკვე არსებული პრობლემების ახალი ან ალტერნატიული გადაწყვეტის გზების მოსაძიებლად, რაც ადგილობრივად არსებული ძლიერი მხარეების/აქტივების მობილიზაციით იქნება შესაძლებელი. სტრატეგიების მიზანი შეიძლება იყოს: მომსახურებაზე წვდომის გაზრდა (ისეთ სფეროებში, როგორიცაა ჯანდაცვა ან ტრანსპორტი), ბიზნესის შესაძლებლობის გაძლიერება და სამუშაო ადგილების შექმნა, კვების მიწოდების მოკლე ჯაჭვებისა და ფერმერული საქმიანობის გაუმჯობესება, ცირკულარული ეკონომიკის განვითარება, ბუნებრივი რესურსების უკეთ გამოყენება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირება, გარემოსა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია ტურისტების მოსაზიდად და სხვ. ეს შეიძლება მოიცავდეს, მათ შორის, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას, განახლებადი ენერგიის განვითარებას, სოციალურ ინოვაციებს სოფლის მომსახურების მიწოდების პროცესში და ქალაქსა და სოფელს შორის კავშირების გაღრმავებას.

„ჭკვიანი სოფლის“ სტრატეგია შეიძლება შეიქმნას სასოფლო დასახლებების, მუნიციპალიტეტების ან სხვა მცირე ზომის გეოგრაფიულად დაშორებული ტერიტორიული ერთეულების დონეზე, რაც ყველაზე მეტად შეეფერება და შეესაბამება ტერმინის - „სოფელი“ - ადგილობრივ გაგებას. როგორც წესი, „ჭკვიანი სოფლის“ სტრატეგიის სივრცითი მასშტაბი იწყება მცირედით და იზრდება სხვა ტერიტორიებთან თანამშრომლობის გზით. „ჭკვიანი სოფლის“ სტრატეგია შეიძლება დაიწყოს ძალიან პატარა სოფელში ან დასახლებაში. მისი წარმატება ხშირად დამოკიდებულია ახლომდებარე სოფლებსა და ქალაქებთან თანამშრომლობაზე.

„ჭკვიანი სოფლის“ სტრატეგია წარმოადგენს ადგილობრივი ინიციატივების განხორციელებისა და დაკმაყოფილების საშუალებას. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ „ჭკვიანი სოფლის“ სტრატეგია არ არის თვითმიზანი, ის არის მხოლოდ საშუალება, რომ სოფელმა თავად წარმართოს და ეფექტიანად დაუჭიროს მხარი ადგილობრივ ინიციატივებს. მეორე მხრივ კი, იგი უფრო მეტია, ვიდრე ადგილობრივი აქტორების ცალკეული მოქმედებები. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს ადგილობრივ მოსახლეობას, რათა მათ იპოვონ და გამოცადონ ახალი გზები არსებული პრობლემების გადასაჭრელად.

მსგავსი „ქვემოდან ზემოთ“ ინიციატივების წარმატება ასევე გულისხმობს შესაბამისი დაინტერესებული მხარეების პლატფორმებისა და მათი პარტნიორობის განვითარებას, ასევე ადგილობრივი და ეროვნული ხელისუფლების აქტიურ ჩართულობასა და მხარდაჭერას. იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივი კონტექსტი და სტრატეგიის შემუშავების მიზეზები განსხვავდება, არ არსებობს ერთიანი მიდგომა, თუმცა, სტრატეგიების უმრავლესობას აქვს საერთო ელემენტები, კერძოდ, სამი ხელშემწყობი გარემოება, რომლებიც აუცილებელია სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელებისათვის:

- **პირველი ნაბიჯი უნდა იყოს კარგი მმართველობის სტრუქტურებისა და კვალიფიკაციის შექმნა/გაუმჯობესება -** პროცესი შეიძლება დაიწყოს არსებული სტრუქტურების გამოყენებით, მას ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს აქტიური მოქალაქეების ადგილობრივმა სამოქმედო ჯგუფმა. პროცესი უნდა იყოს ღია და ინკლუზიური, მასში მონაწილეობას უნდა იღებდნენ შესაბამისი დაინტერესებული პირები/ორგანიზაციები, რათა გადაწყვეტილებების მიღებისას ყველას მოსაზრება იყოს გათვალისწინებული. ასეთ დროს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრიათ, რადგან სწორედ მათ შეუძლიათ დაინტერესებულ მხარეთა დაკავშირება და კოორდინაცია. გადამწყვეტია შეიქმნას ისეთი გარემო, რომელიც საშუალებას აძლევს საჯარო მოხელეებს, გაიღრმაონ ცოდნა და გამოცდილება;

- **აქტიური და ჩართული ადგილობრივი საზოგადოება უმნიშვნელოვანესია წარმატებისთვის -** წარმატებული „ჭკვიანი სოფლის“ მახასიათებელია ადგილობრივების აქტიური ჩართულობა არა მარტო დაგეგმვის, არამედ განხორციელების პროცესშიც. ადრეულ ეტაპზე მოქალაქეების ჩართვა ხელს უწყობს საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესახებ საერთო ხედვის ჩამოყალიბებას, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ განვითარების სტრატეგია დაეფუძნოს მომავლის საერთო ხედვას. გარდა ამისა, მონაწილეობა ქმნის კუთვნილების განცდასაც, რაც შეიძლება გახდეს განხორციელების ეტაპის მთავარი მამოძრავებელი ძალა.

- **სტრატეგია უნდა იყოს მარტივი -** სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს საჭიროებების საერთო აღქმას და წარმოადგენდეს თანამიმდევრული აქტივობების ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია დასახული

ამოცანისა და მიზნის მიღწევისაკენ. მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგია არ იმეორებდეს სხვა ეროვნულ, რეგიონულ ან ადგილობრივ სტრატეგიებში ასახულ ღონისძიებებს. სტრატეგია უნდა კონცენტრირდეს უფრო პატარა მასშტაბის ამოცანებზე, რომლებიც პასუხობს იმ ადამიანების (ადგილობრივი საზოგადოების) ყველაზე საჭირო მოთხოვნებს, ვისთვისაც არის შემუშავებული ეს სტრატეგია. სტრატეგიის განხორციელებისთვის აუცილებელი პირობაა როგორც არსებული პოლიტიკის ინსტრუმენტებთან კავშირი, მათ შორის, ადგილობრივი განვითარების დაფინანსებისა და სოფლის განვითარების მიზნობრივი ღონისძიებების (მაგ., სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების) გათვალისწინება, ისე დაფინანსების სხვა წყაროების მხედველობაში მიღება.

მ2-გ3.11 – ტესტის პრაქტიკა

მ2-გ3.12 – სოციალური ინოვაცია

„ჭკვიანი სოფლის“ ინიციატივები, როგორც წესი, შეეხება სოფლის განვითარების ერთ ან რამდენიმე საკითხსა და გარემოებას, რისთვისაც საჭიროა თანამშრომლობა. ადგილობრივი პირობების, რესურსებისა და მოტივაციის გათვალისწინებით. ამ ინიციატივების პრიორიტეტი შეიძლება იყოს ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი საკითხები ან მათი კომბინაცია. არ არის აუცილებელი ყველა საკითხზე ერთდროულად მუშაობა. მეორე მხრივ, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არსებული ისეთი პრობლემები, როგორიცაა მომსახურების ხარისხი სოფლად (მაგ., ჯანდაცვა, განათლება და გადაადგილება) და ბუნებრივი რესურსების მართვა (მაგ., წყლის ხარისხი) ადგილობრივი მოსახლეობის მამოძრავებელი ძალაა, რათა გაერთიანდნენ და იმოქმედონ თავიანთი ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ორივე შემთხვევაში სოციალური ინოვაცია ხშირად „ჭკვიანი სოფლის“ კონცეფციის საფუძველს წარმოადგენს. ახალი პრობლემის გადაჭრის გზებსა და მიდგომებს, როგორც წესი, მოჰყვება ახალი იდეები. სოციალურ ინოვაციას უამრავი განმარტება აქვს, მაგრამ, „ჭკვიანი სოფლის“ კონტექსტში, იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც „სოციალური პრაქტიკის ხელახალი კონფიგურაცია საზოგადოებრივი გამოწვევების საპასუხოდ. აღნიშნული მიზნად ისახავს საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესებას და აუცილებლად მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების აქტორების მონაწილეობას“. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, სოციალური ინოვაცია ნიშნავს ადგილობრივი მოსახლეობისა და მათი საჭიროებების პირველ ადგილზე დაყენებას. ამასთან, რთული საზოგადოებრივი გამოწვევების გადაწყვეტა საჭიროებს შემოქმედებით მიდგომებს.

სოფელში სოციალური ინოვაციის მრავალი ისეთი მაგალითი არსებობს, რომლებიც არ არის ციფრული მაშინაც კი, როდესაც „ჭკვიანი სოფლის“ სტრატეგიის ძირითადი საკითხია ციფრული ინოვაცია. მისი მთავარი ფოკუსი ყოველთვის არის ადამიანი. სოციალური ინოვაცია იწყება საერთო პრობლემისა და საერთო ხედვის გარშემო ადგილობრივი მოსახლეობის, საზოგადოების ინტერესთა ჯგუფებისა და აქტიური მოქალაქეების გაერთიანებით.

„ჭკვიანი სოფლის“ მიდგომისა და საჭიროების განსაზღვრის მსგავსად, სოციალური ინოვაციის გზით პრობლემების გადაჭრის ხერხების მოძიებაშიც საჭიროა არსებობდეს ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ჩართვის მექანიზმები. „ჭკვიანი სოფლის“ კონცეფციის განხორციელება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები აღიარებენ მის სარგებელს.

ევროკავშირში „ჭკვიანი სოფლის“ კონცეფციის პრაქტიკული დანერგვის პროცესის ხელშეწყობა ხორციელდება სპეციალიზებული ცოდნისა და ექსპერტიზის გამოყენებით. ეს ხდება სხვადასხვა პლატფორმის, მათ შორის, სოფლის განვითარების ეროვნული ქსელების, „ჭკვიანი სოფლის“ მრჩეველთა ქსელების, ციფრული ინოვაციის ცენტრებისა და სხვა პლატფორმების მეშვეობით. პროცესში ექსპერტების ჩართვა იძლევა მეტ შესაძლებლობებს იმისათვის, რომ გაზიარებული იყოს საუკეთესო პრაქტიკა და გაუმჯობესდეს თემებს შორის თანამშრომლობა. ეს კი, აჩქარებს გამოცდილების გაცვლის პროცესს სასოფლო დასახლებებს შორის როგორც მუნიციპალიტეტის შიგნით, ისე მათ შორის.

მ2-მ3.13 – მაგალითი (3)

„ჭკვიანი სოფლის“ კონცეფციით განხორციელებულმა ინიციატივებმა შეიძლება შთამაგონებლად იმოქმედოს მეზობელ და სხვა მუნიციპალიტეტებზე. ამის ნათელი დადასტურებაა კიდევ ერთი პროექტი, რომელიც მაღალმთიან დასახლებაში განხორციელდა. მაღალმთიან დასახლებებში საბაზისო მომსახურების გაწევის სირთულეს განსაკუთრებით გრძნობენ ხანდაზმულები, რომლებიც სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ და ნაკლებად მობილური არიან. მაგალითად, ზღვის დონიდან ერთ-ერთი ყველაზე მაღლა მდებარე სოფლიდან უახლოესი ოპტიკურბოჭკოვანი კაბელები განთავსებული იყო 7 კმ-ის დაშორებით. გაციფრულების ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის შეფასების საფუძველზე შესრულებული სამუშაოების დასრულებისთანავე, 9 სოციალურად დაუცველმა ოჯახმა მიიღო კომპიუტერი და კავშირი ინტერნეტთან. ბევრ ადგილობრივ მცხოვრებს, განსაკუთრებით მოხუცებს, ინტერნეტის გამოყენების გამოცდილება არ ჰქონდათ, მაგრამ ახლა ისინი სიამოვნებით სარგებლობენ „ახლად აღმოჩენილი კავშირით“ გარე სამყაროსთან.

ინტერნეტმა ასევე შესაძლებელი გახადა ჯანდაცვის საჭიროების მქონე ადამიანებისთვის ახალი სერვისების მიწოდება. მათ შორის აღსანიშნავია ელექტრონული ჯანდაცვა და ონლაინსამედიცინო კაბინეტი, რომელიც გულისხმობს ჯანმრთელობის შესახებ დისტანციურ კონსულტაციებს ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების სისტემაზე დაყრდნობით. ელექტრონულმა ჯანდაცვამ სოფლის 39 მცხოვრებელსა და 18 ოჯახს საშუალება მისცა, ჰქონოდათ

წვდომა სხვადასხვა სპეციალიზაციის ექიმთან დისტანციურ კონსულტაციაზე და გამოეყენებინათ მონიტორინგის სისტემა „Intellicare“, რომელიც ამოწმებს, მათ შორის, არტერიულ წნევასა და სისხლში შაქრის დონეს.

ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურისა და ქსელური დაფარვის არეალის გაფართოებამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი სოციალური საწარმოს ინიციატივის განხორციელება, რომელიც დაარსდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, რომელმაც, თავის მხრივ, დაინახა შესაძლებლობა, გაეფართოებინა საქმიანობა ინტელექტუალური სირთულეების მქონე პირებთან. სოციალური საწარმო იმთავითვე განსხვავებული მისიით შეიქმნა და ორიენტირებულია სოციალურ ლოგისტიკაზე. კომპანია ცდილობს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების გზით შეაჩეროს დეპოპულაცია ძნელად მისასვლელ სოფლებში მცხოვრებლებისთვის, განსაკუთრებით - მოხუცებისთვის, რომლებიც მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენენ.

ყოველწლიური დეპოპულაცია საცალო ვაჭრობის ბიზნესების შემოსავლებზე უარყოფით გავლენას ახდენდა, რაც თითქოს გარდაუვალი უკუსვლის წინაპირობა უნდა ყოფილიყო მათთვის. თუმცა, ამის ნაცვლად, რამდენიმე მცირე მეწარმე გაერთიანდა და შექმნეს სოციალური საწარმო. ახალი ინიციატივის მიზანი იყო გაეზარდათ შორეულ სოფლებში საცალო მომსახურების ხელმისაწვდომობა. პირველ რიგში, ჩაატარეს კვლევა, რათა განესაზღვრათ, იქნებოდა თუ არა საკმარისი მომხმარებელი ბიზნესის შესანარჩუნებლად. მას მერე, რაც დადგინდა, რომ მოთხოვნა საკმარისი იყო, დაიწყეს ფიქრი მიწოდების ახალ გზებზე. თავდაპირველად მათი გათვლა იყო ძირითად პროდუქტებზე - სურსათსა და წამლებზე.

რესურსების გაერთიანებით შეძლეს ის, რომ მომხმარებლებს დამატებით არ გადაეხადათ მიწოდების თანხა. ეს მომსახურება ზოგავს დროს და ამასთანავე კომფორტულიცაა, რადგან იგი გულისხმობს სახლში მიწოდების უფასო სერვისს. ამის შედეგად, რამდენიმე სასოფლო დასახლებაში 4,500 ოჯახს გაუჩნდა წვდომა ყოველკვირეულ მიწოდებაზე. ეს სოციალური და სამეწარმეო წამოწყება ნამდვილ წარმატებად იქცა და შეძლო სერვისების გაფართოებაც. დაარსდა სოციალური ცენტრი, რომელიც მოსახლეობას სთავაზობს ელექტრონულ მომსახურებას, ონლაინაფთიაქს, ბიბლიოთეკას, ასევე, სამრეცხაო და მშრალი დასუფთავების სერვისს, სანტექნიკოსის მომსახურებას, მებაღეობას, ორგანული პროდუქტებსა და ავეჯს.

სასარგებლო მომსახურებებს შორისაა მინისა და ალუმინის ქილების შეგროვების სერვისიც. ცენტრში 20-ზე მეტი მოხალისე მუშაობს. მის შენობაში განთავსებულია მაღაზია, რომელიც მოსახლეობას სთავაზობს რჩევებს, თუ როგორ უნდა შემცირდეს კომუნალური გადასახადები საყოფაცხოვრებო ენერგიის მოხმარებისას. ეს ცენტრი სოფლის ცხოვრებისა და თავშეყრის შეუცვლელი ნაწილი გახდა. აქ ადგილობრივი მოსახლეობა დადის საყიდლებზე ან უბრალოდ, მეგობრულ გარემოში ერთმანეთთან შესახვედრად. ცენტრში შეიძლება საცხობში დამზადებული ტკბილეულის ყიდვაც, ამიტომაც ცენტრს სოციალური ერთობის გაღრმავების „ტკბილი მაგალითის“ სახელი ეწოდა.

მ2-მ3.14 – ტესტის პრაქტიკა

მ2-მ3.15 – სოფლებსა და ქალაქებს შორის კავშირების მნიშვნელობა

ბოლო დრომდე სოფლისა და ქალაქის ეკონომიკური და ტერიტორიული განვითარება ცალკე საკითხებად განიხილებოდა როგორც კვლევის, ისე პოლიტიკის მიზნებისათვის. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, როდესაც სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაცია პოლიტიკის განმსაზღვრელებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, ურბანული სოფლის მეურნეობა კი, თანამედროვე მსოფლიოს ბევრი ქვეყნის სასურსათო სისტემების ნაწილი ხდება. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება გვხდება ურბანულ სივრცეში, დიდი თუ პატარა ქალაქების გარეუბნებში, მიმდებარე სოფლებსა და მუნიციპალიტეტებში, მათ შორის, მაღალსართულიანი შენობების ე.წ. მწვანე სახურავებზე. ამასთანავე, ინფრასტრუქტურისა და ციფრული ტექნოლოგიების განვითარება, ინოვაციები და კრეატიული მიდგომა სულ უფრო აახლოებს სოფელსა და ურბანულ ცენტრებს, იზრდება მათი ურთიერთკავშირი და ასევე ურბანული და სოფლის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებების სინერგიის საშუალება.

სასოფლო დასახლებების განვითარებისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნევა კავშირების წახალისება სოფლებსა და ქალაქებს შორის შემდეგი ხუთი კატეგორიის შესაბამისად:

- დემოგრაფიული კავშირები;
- ეკონომიკური ტრანზაქციები და ინოვაციური საქმიანობა;
- საჯარო სერვისების მიწოდება;
- გარემოსთან დაკავშირებული და კომუნალური სიკეთეების ურთიერთგაცვლა;
- მრავალდონიანი მმართველობის ურთიერთქმედება.

დემოგრაფიული კავშირები ასახავს მიგრაციის სტრუქტურას და სამუშაოდ რეგულარულ გადაადგილებას. აღნიშნული კატეგორია მნიშვნელოვანია სოფლად ეკონომიკის განვითარებისა და დივერსიფიკაციისათვის, რადგან სოფლად მცხოვრებთა ზრდა ახალ დინამიკას სძენს ადგილობრივ განვითარებას და ხელს უწყობს გარკვეულ პროდუქციასა და მომსახურებაზე მოთხოვნის მატებას.

ეკონომიკური ტრანზაქციებისა და ინოვაციური საქმიანობის მიმართულებით აღსანიშნავია ქალაქების მხრიდან სასოფლო დასახლებების სამეწარმეო სექტორისათვის მიწოდებული სერვისები, რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე არასასოფლო-სამეურნეო და სხვა სექტორების დინამიკური განვითარებისათვის.

შედარებით განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ბიზნესსა და სამეცნიერო-კვლევით სექტორებს შორის ინტენსიური კავშირები არსებობს, სოფლის საწარმოები და ქალაქების კვლევითი ცენტრები ახორციელებენ ერთობლივ კვლევით პროექტებს. სოფლად ეკონომიკის განვითარებისა და დივერსიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია ხელმისაწვდომობა ისეთ სერვისებზე, როგორიცაა განათლება, ჯანდაცვა, ტრანსპორტი, სოციალური მომსახურება, ნარჩენების მართვა და სხვ., რომელთა ძირითადი მიმწოდებელიც ურბანულ დასახლებებში განლაგებული შესაბამისი

დაწესებულებებია.
სასოფლო დასახლებები და ქალაქები ფლობენ ისეთ ურთიერთგანსხვავებულ რესურსებს, რომლებიც აუცილებელია მათი განვითარებისთვის. მაგალითად, ქალაქის მცხოვრებლებს იზიდავს სოფლის ეკოლოგიურად სუფთა და მშვიდი საცხოვრებელი გარემო, რომელიც სულ უფრო მეტ სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს ქალაქების გადატვირთვის, გარემოს დაბინძურებისა და კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე. სოფლად მცხოვრებლებისათვის კი მნიშვნელოვანია ქალაქში არსებულ სერვისებზე წვდომა, მათ შორის, როგორიცაა ეროვნული მასშტაბის კულტურული ღონისძიებები, დიდი სავაჭრო ცენტრები და სხვ.

სოფელსა და ქალაქს შორის ამ ურთიერთკავშირისა და თანამედროვე გამოწვევების კომპლექსური ბუნებიდან გამომდინარე, პოლიტიკის გადაწყვეტილებებს და შედეგებს სულ უფრო მეტი დაინტერესებული მხარე ჰყავს. ამით იზრდება ზეწოლა საჯარო მმართველობის ყველა დონეზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს საკითხთა ფართო სპექტრის გარშემო სექტორებს შორის თანამშრომლობა და ჩართულობა.

მ2-მ3.16 – ზრდის პოლუსები

სოფლის მეურნეობის წილი, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნების, ისე საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში, დაბალია (საქართველოში - 8%), ხოლო სოფლიდან ქალაქისკენ მიგრაციის პრევენცია კვლავ წინააღმდეგობრივი საკითხია. ერთი მხრივ, ადამიანებს აქვთ უფლება, იმუშაონ იქ, სადაც ცხოვრობენ, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადგილზე ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას ცხოვრების უკეთეს პირობებს შეუქმნის. სოფელს დიდი პოტენციალი აქვს და ის მრავალფეროვანია როგორც სასოფლო-სამეურნეო რესურსით, ისე კეთილდღეობისათვის მნიშვნელოვანი არასასოფლო-სამეურნეო ეკონომიკური შესაძლებლობებით.

არსებობს მოსაზრება, რომ ურბანულ ცენტრებთან სიახლოვე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სასოფლო დასახლებების უნარს, მოიზიდონ ახალი რეზიდენტები როგორც საცხოვრებლად, ისე ბიზნესის დასაწყებად. ამასობაში, ამ მახასიათებლების არმქონე სასოფლო დასახლებები მეტწილად უნდა დაეყრდნონ თავიანთ მოსახლეობას და კონკურენტუნარიან უპირატესობებს. როგორც წესი, ზრდის პოლუსებად მიიჩნევა ურბანული დასახლებები, მაგრამ თუ აგლომერაციისა და კონცენტრაციის ეკონომიკა ქალაქებში კარგად მუშაობს, რატომ ვერ უნდა იმუშაოს ამან უფრო მცირე მასშტაბით სასოფლო დასახლებებსა და პატარა ქალაქებში?

ზრდის პოლუსები ჰგავს ეკონომიკურ ზონებს, თუმცა იგივე არ არის. ეკონომიკური ზონები წარმოადგენს სივრცით განსაზღვრულ ტერიტორიებს, სადაც შეთავაზებულია საგადასახადო ან სხვა ტიპის ფინანსური შეღავათები.

სოფლის ეკონომიკის ანალიზმა შესაძლოა მიუთითოს ზრდის პოლუსების მიზანშეწონილობაზე. ერთ შემთხვევაში, ზრდის პოლუსის განვითარების პოტენციალზე შეიძლება იმოქმედოს ტურიზმზე კონცენტრირებამ, სხვა შემთხვევაში კი, ტრანზიტულ ვაჭრობასა და სამშენებლო წარმოებაზე ორიენტირებამ. საკვანძო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან სიახლოვემ

შესაძლოა გავლენა იქონიოს ზრდის პოლუსების გაჩენაზე. ზრდის პოლუსი, რომელიც ბუნებრივად ვითარდება და პასუხობს ბაზრის პირობებს, უფრო ძლიერია და დიდხანს გრძელდება.

სოფლის წინსვლისთვის ზრდის პოლუსების განვითარება განიხილება, როგორც ერთ-ერთი შესაძლო გზა. ზრდის პოლუსების განვითარება უმეტესად მოსალოდნელია შექმნილი დარგის ან წარმატებული საწარმოს გარშემო. ზრდის პოლუსი გულისხმობს ძირითადი დარგის გარშემო მასთან დაკავშირებული დარგების განვითარებას, რაც იზიდავს ინვესტიციას. ისინი ერთად დინამიკურად ვითარდებიან, იზიდავენ დამატებით ინვესტიციებს და დროთა განმავლობაში ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს, მოაქვთ ტექნოლოგიური პროგრესი და ინოვაცია.

მ2-გ3.17 – ტესტის პრაქტიკა

მ2-გ3.18 – ტესტის პრაქტიკა

მ2-გ3.19 – ტესტის პრაქტიკა

მ2-გ3.20 – შეჯამება

მოდული 3: გეზი „სოფლის მწვანე მომავლისაკენ“

მ3-გ3.1 – შესავალი

ადამიანი თავისი არსებობის პირველივე დღეებიდან უშუალო და აქტიურ კონტაქტშია ბუნებასთან, ცდილობს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს იგი და ამავე დროს დამოკიდებულია მასზე. დღევანდელ დღეს კლიმატის ცვლილება განსაკუთრებით საყურადღებოა, რასაც ადამიანის ინტენსიური საწარმოო საქმიანობა იწვევს.

კლიმატის ცვლილებებს სხვადასხვაგვარი გამოვლინება ახასიათებს. ზოგიერთი ნელა მიმდინარეობს, ზოგს კი სწრაფი და უეცარი ხასიათი აქვს. ამის მიხედვით განასხვავებენ ნელ პროცესებსა და ექსტრემალურ მოვლენებს. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ზღვის (მსოფლიო ოკეანის) დონის აწევა, მყინვარების, თოვლის საფარისა და ოკეანეში ყინულის ფენის დნობა, სეზონურობის ცვლილებები, ეკოსისტემების (მიწის, წყლის, ტყისა და სხვ.) დეგრადაცია და ბიომრავალფეროვნების შემცირება. მეორე ჯგუფში კი შედის ექსტრემალური ამინდი და მომატებული ბუნებრივი კატასტროფები.

კლიმატის ცვლილების გათვალისწინება უნდა მოხდეს არა მარტო გრძელვადიანი პოლიტიკის დაგეგმვის, ენერგეტიკული და საგზაო ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობისა და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების შერჩევისას, არამედ უკვე საცხოვრებელი ადგილის დაგეგმვის დროსაც.

კლიმატის ცვლილების მავნე ზემოქმედება აისახება ბიომრავალფეროვნების შემცირებაზე, რაც იწვევს სახეობების გაქრობა-გადაშენებას და მათი გავრცელების არეალის ცვლილებას.

ტყე ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი და ამავე დროს, კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შერბილებისათვის, უმნიშვნელოვანესი ეკოსისტემაა. უმოქმედობა ან დაგვიანებული რეაგირება ტყის დიდ ფართობებს კატასტროფული დეგრადაციის საფრთხეს უქმნის და იწვევს ტყის იმ რესურსებისა და სასარგებლო ფუნქციების მკვეთრ რაოდენობრივ და ხარისხობრივ შემცირებას, რომლებზეც ადამიანის კეთილდღეობაა დამოკიდებული.

დღეისათვის გლობალური მასშტაბით გარემოზე ადამიანის ზემოქმედების შედეგად წარმოშობილი სათბურის აირების ემისიების ძირითად წყაროებს წარმოადგენს ენერგეტიკის სექტორი, მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, ნარჩენების არასწორი მართვა, მიწათსარგებლობა და სატყეო მეურნეობა. ამიტომ ლოგიკურია, რომ შერბილების ღონისძიებები უმთავრესად ამ სექტორებში უნდა გატარდეს.

წყლის რესურსებზე, ნიადაგსა და ბიომრავალფეროვნებაზე კლიმატის ცვლილების ზემოქმედებიდან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, რომ სოფლის მეურნეობაზე მწვავედ აისახება კლიმატის ცვლილების ზეგავლენა. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, თუ რამდენად არის ეს დარგი დამოკიდებული თვით კლიმატსა და გარემო პირობებზე. შეიძლება ითქვას, რომ სოფლის მეურნეობა ყველაზე „კლასიკური“ დარგია კლიმატის ცვლილების ზეგავლენის თვალსაზრისით, ამიტომაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საადაპტაციო ღონისძიებების უმრავლესობა სწორედ ამ სფეროზე მოდის.

მ3-გ3.2 – მიზნები

ამ მოდულში განვიხილავთ:

- „მწვანე სოფლის“ მომავლის ხედვას, რომელშიც სასოფლო არეალები აკმაყოფილებს „ევროპის მწვანე შეთანხმების“ მიზნებს და იყენებს არსებულ შესაძლებლობებს დაბალნახშირბადიან, ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასასვლელად;
- საქართველოში ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს;
- ცირკულარული ეკონომიკისა და მდგრადი ლურჯი ეკონომიკის ცნებებს.

მ3-მ3.3 – „ევროპის მწვანე შეთანხმება“

2019 წლის დეკემბერში მიღებული „ევროპის მწვანე შეთანხმება“ არის ევროკომისიის პოლიტიკის ინიციატივების ერთობლიობა, რომლის მთავარი მიზანია 2050 წლისათვის ევროკავშირი (EU) გახდეს კლიმატნეიტრალური. ეს მიზანი გამყარდა კლიმატის კანონის მიღებით, რომელიც აწესებს შემდეგ სამიზნე მაჩვენებლებს: 1990 წელთან შედარებით, 2030 წლისთვის მინიმუმ 55 %-ით უნდა შემცირდეს სათბურის აირების გაფრქვევები და 2050 წლისთვის მიაღწიოს სათბურის აირების ნეტო გაფრქვევების ნულოვან დონეს (კლიმატნეიტრალურობა). ეს ასევე მიზნად ისახავს ევროკავშირის ბუნებრივი რესურსების დაცვას, შენარჩუნებასა და გაძლიერებას და მოქალაქეების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვას გარემოსთან დაკავშირებული რისკებისა და ზემოქმედებისგან. იმავდროულად, ეს გარდაქმნა უნდა იყოს სამართლიანი და ინკლუზიური. „მწვანე შეთანხმება“ ევროკავშირის ახალი მიდგომაა, რომლის ამოცანაა გაეროს 2030 წლის დღის წესრიგისა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა არა მარტო ევროკავშირის ტერიტორიაზე, არამედ მსოფლიო მასშტაბით. „მწვანე შეთანხმება“ მეზობელ რეგიონებთან ევროკავშირის საგარეო დახმარების ძირითადი კომპონენტია. მის ფარგლებში ევროკავშირი გააძლიერებს მხარდაჭერას კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებების გატარების მიმართულებით, მათ შორის, განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარების კუთხით. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გარემოსდაცვითი და კლიმატის გამოწვევები მოითხოვს ევროკავშირის წევრი და კანდიდატი ქვეყნების მხრიდან დაუყოვნებლივი მოქმედებების გატარებას.

„მწვანე შეთანხმების“ აღსრულება უმნიშვნელოვანესია ევროკავშირის სოფლის ტრანსფორმაციისა და მდგრადი მომავლისათვის. ამ შეთანხმებას შეუძლია ახალი დინამიკა შესძინოს სოფელს და გააჩინოს ახალი შესაძლებლობები უფრო მდგრადი მომავლისათვის.

მომავლის სოფლის ხედვა ითვალისწინებს, რომ 2040 წლისათვის ყველა ევროპელს ხელი მიუწვდებოდეს ჯანსაღ საკვებზე. ამისთვის, სოფლის მეურნეობა მზად უნდა იყოს, ფეხი აუწყოს თანამედროვე მოთხოვნებს გარემოს დაცვის გათვალისწინებით: მოვიხმაროთ და ვაწარმოოთ ნაკლები და უკეთესი ხორცი, ხარისხიანი სეზონური ხილი და ბოსტნეული. უმნიშვნელოვანესია იმის დაკავშირება, რასაც ვაწარმოებთ, იმასთან, რაც ჩვენ საკვებად გვჭირდება. აგროეკოლოგიური მიწის მართვა ძირითად ადგილს იკავებს ბიომრავალფეროვნების აღდგენა-განმტკიცებისა და დაბინძურების შემცირების პროცესში. მთელი ევროპის მასშტაბით დაწყებული სასურსათო სისტემების ტრანსფორმაციის შუაგულში ფერმერული მეურნეობები დგას.

მოკლე, ადგილობრივი მომარაგების ჯაჭვებს, ასევე კავშირს სოფელსა და ქალაქს შორის და სოფლის ეკონომიკურ მდგრადობას აძლიერებს როგორც სოციალური ინოვაცია წარმოებისა და დისტრიბუციის მოდელებში, ისე ინვესტიცია მცირე და საშუალო მასშტაბის ადგილობრივ გადამმუშავებელ დაწესებულებებში.

ამას სჭირდება ძირეული რეფორმები, გაუმჯობესებული მმართველობა და სექტორთაშორისი თანამშრომლობა, რათა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკა სრულად

შეესაბამებოდეს „ევროპის მწვანე შეთანხმებას“, ხოლო სახელმწიფო მხარდაჭერა გამოიყენებოდეს აგროეკოლოგიაზე გადასასვლელად. ეს ხედვა უკვე სინამდვილედ იქცა ევროპის დიდ ნაწილში. დღეს უკვე ასობით ფერმა, კოოპერატივი, ადგილობრივი ხელისუფლება და მოქალაქეთა ჯგუფები ადგილზე პოულობენ გამოსავალს იმ სირთულეებიდან, რომლებსაც სოფლები აწყდებიან.

მ3-გ3.4 – ტესტის პრაქტიკა

მ3-გ3.5 – „ევროპის მწვანე შეთანხმების“ მიზნები

„ევროპის მწვანე შეთანხმებას“ სამი ძირითადი მიზანი აქვს. პირველი - ის მიმართულია სათბურის აირების ნულოვანი ნეტო გაფრქვევების მიღწევისკენ და ისეთ კონკრეტულ სტრატეგიებს გვთავაზობს, რომლებიც ხელს შეუწყობს გაფრქვევების შემცირებას ყველა სფეროში, განსაკუთრებით - ენერგეტიკის სექტორში. ევროკავშირის სათბურის აირების ჯამური გაფრქვევების 75 %-ზე მეტს მოიცავს სწორედ ენერგეტიკის სექტორი. შეთანხმების მიზანია ენერგომოხმარებაში ენერგიის განახლებადი წყაროების წილის გაზრდა.

მეორე - ევროკავშირი ეკონომიკურ ზრდასთან ერთად გეგმავს რესურსების მოხმარების შემცირებას. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულში გაფრქვევები შემცირდა, ევროპა კვლავ რჩება მსოფლიოში რესურსების მთავარ მომხმარებლად. ამ მიზნის მიღწევა მოითხოვს არა მარტო ტექნოლოგიურ წინსვლას, არამედ ცხოვრების სტილის, თემებისა და საზოგადოებების საჭიროებების ახლიდან გააზრებას.

მესამე - ხელი უნდა შეეწყოს „მწვანე“ ტრანსფორმაციას ყველას თანამონაწილეობით. ეს უნდა განხორციელდეს სამართლიანი გარდაქმნის მექანიზმით, რომელიც უზრუნველყოფს 2021-2027 წლების განმავლობაში სოციალურ-ეკონომიკური უარყოფითი ზეგავლენების შემსუბუქებას. სამართლიანი გარდაქმნის მექანიზმი არის ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის სამართლიანობასა და ინკლუზიურობას. მექანიზმის მიზანია შექმნას ინვესტიციები იმ ადამიანების დასახმარებლად, რომლებიც, მაგალითად, ქვანახშირის ინდუსტრიაში არიან დასაქმებულები.

ევროკავშირის „მწვანე შეთანხმების“ განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, არსებობს „მწვანე“ დღის წესრიგის ხუთი მიმართულება:
კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული აქტივობა/დეკარბონიზაცია, რომელიც მოიცავს ენერგეტიკას, ტრანსპორტსა და სხვა სექტორებს;
ცირკულარული ეკონომიკა, რომელიც მოიცავს რესურსების ეფექტიანად გამოყენებას, მდგრად წარმოებასა და ნარჩენების გადამუშავებას;
ბიომრავალფეროვნება, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონის ბუნებრივი სიმდიდრისა და სახეობების დაცვასა და აღდგენას;
ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურებასთან ბრძოლა; და
მდგრადი სასურსათო სისტემები და სასოფლო დასახლებები.

ხუთივე მიმართულების გამაძლიერებელი ფაქტორია ციფრული განვითარება, რომელსაც ითვალისწინებს „მწვანე“ და ციფრული გარდაქმნის კონცეფცია. ამ მიმართულებების მიზნები უნდა განხორციელდეს კონკრეტული მოქმედებებით, მხარდაჭერილი მექანიზმებითა და ფინანსური ინსტრუმენტებით.
EGD რვა პოლიტიკის სფეროთი - ბიომრავალფეროვნება, მდგრადი სასურსათო სისტემები, მდგრადი სოფლის მეურნეობა, სუფთა ენერგია, მდგრადი ინდუსტრია, ენერგოეფექტიანი მშენებლობა, მდგრადი მობილობა, დაბინძურების აღმოფხვრა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული აქტივობები - წარმოადგენს უპრეცედენტო ძალისხმევას 50-ზე მეტი ევროპული დირექტივის, რეგულაციისა და საჯარო პოლიტიკების გადახედვით.

კომისიამ პირველი ევროპული „კლიმატის კანონი“ 2020 წელს წარმოადგინა. ეს კანონი უზრუნველყოფს, რომ ევროკავშირის ყველა პოლიტიკამ ხელი შეუწყოს ნულოვანი ნეტო გაფრქვევების მიზნის მიღწევას და ყველა სექტორმა თავისი როლი შეასრულოს ამ პროცესში.

მ3-გ3.6 – ტესტის პრაქტიკა

მ3-გ3.7 – „ევროპის მწვანე შეთანხმების“ მიზნები და ეროვნული დღის წესრიგი

„ევროპის მწვანე შეთანხმება“ გვთავაზობს მდგრად სოფლის განვითარებაზე გადასვლის შესაძლებლობას. თუმცა, იმისათვის, რომ წარმატებას მივაღწიოთ, უნდა დამყარდეს და გაძლიერდეს ურთიერთკავშირები ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ სისტემებთან. მომავლის ამ ხედვით შესაძლებელია ახალი სიცოცხლე შთავბეროთ სოფლებს და ღირსეული მემკვიდრეობა დავუტოვოთ მომავალ თაობებს.

აუცილებელია გავაძლიეროთ სოფლის თემები იმისათვის, რომ ისინი თავად განაგებდნენ ამ „მწვანე“ დღის წესრიგს და განსაზღვრავდნენ გამოსავლებს, რომლებიც მორგებული იქნება ყოველ კონკრეტულ ადგილზე. უნდა განვამტკიცოთ ნდობა და წავახალისოთ „მწვანე“ ინვესტიციები, უზრუნველვყოთ დაინტერესებული მხარეების საყოველთაო ინკლუზიურობა და დავამკვიდროთ ისეთი პასუხისმგებლიანი მმართველობა, რომელიც თავს მოუყრის სასოფლო ეკოსისტემების ხედვებსა და საჭიროებებს. ამის სინამდვილედ ქცევა იმის მაჩვენებელი იქნება, რომ მიდგომა ფუნქციონირებს და უზრუნველყოფს „მწვანე შეთანხმებას“ ევროპის სასოფლო რეგიონების მომავლისთვის. მტკიცე (მაგრამ მოქნილი) პოლიტიკის ჩარჩოებმა უნდა დასახოს მოძრაობის მიმართულება, განამტკიცოს ნდობა და წაახალისოს ინვესტიციები.

„მწვანე შეთანხმების“ მიზანია ევროკავშირი გარდაქმნას სამართლიან და განვითარებულ საზოგადოებად, რომელსაც ექნება თანამედროვე, რესურსეფექტიანი და კონკურენტუნარიანი ეკონომიკა, სადაც 2050 წლისთვის აღარ იარსებებს სათბურის აირების ნეტო გაფრქვევები და ეკონომიკური განვითარება აღარ იქნება დამოკიდებული რესურსების გამოყენებაზე. ის ასევე მიზნად ისახავს სოფლად ბუნებრივი კაპიტალის დაცვას, შენარჩუნებასა და გაძლიერებას და გარემოსთან დაკავშირებული რისკებისა და ზემოქმედებისგან მოქალაქეების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვას. ამავე დროს, ეს გადასვლა უნდა იყოს სამართლიანი და ინკლუზიური. გარდაქმნის პროცესში

უმთავრესი ყურადღება უნდა დაეთმოს ადამიანს და იმ რეგიონებსა და ფერმერებს, რომლებიც გამოწვევების წინაშე აღმოჩნდებიან.

ევროკომისიის კომუნიკაცია „მწვანე შეთანხმების“ შესახებ და საგზაო რუკა ითვალისწინებს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია სუფთა, ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლასა და კლიმატის ცვლილების შერბილებაზე, ასევე, ბიომრავალფეროვნების დაკარგვის შეჩერებასა და დაბინძურების აღმოფხვრაზე. მასში თავმოყრილია ინვესტიციები და ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც საჭიროა სამართლიანი და ინკლუზიური გარდაქმნისათვის.

კლიმატი - ევროკავშირის სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის ფარგლებში, წევრი ქვეყნების სოფლის განვითარების ეროვნული სტრატეგიული გეგმები ხელს უწყობს სათბურის აირების გაფრქვევისა და ნახშირბადის შემცირების ამოცანების შესრულებას. სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკით გათვალისწინებული სტანდარტები, წამახალისებელი მექანიზმები და გამკაცრებული მოთხოვნა, რომ სახნავ-სათესი მიწის არანაკლებ 3 %-ზე არასამეურნეო ზონები უნდა შენარჩუნდეს, გაზრდის ატმოსფეროდან ნახშირბადის ამოღების მაჩვენებელს ფერმის დონეზე.

ბუნებრივი რესურსები - ევროკავშირის წევრი ქვეყნების სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ეროვნული სტრატეგიული გეგმები ეხმარება ფერმერებს, დაიცვან ნიადაგი და აღადგინონ მისი ნაყოფიერება გაუმჯობესებული თესლბრუნვის პრაქტიკების მეშვეობით და პესტიციდების გამოყენებისა და მასთან დაკავშირებული რისკების შემცირებით. წყლის მედეგობასთან დაკავშირებით გეგმები ითვალისწინებს ისეთი ზომების მიღებას, როგორიცაა, მაგალითად, გვალვაგამძლე კულტურების მოყვანის ხელშეწყობა, ლანდშაფტის ისეთი მახასიათებლების შენარჩუნება და აღდგენა, როგორიცაა ტბები, ცოცხალი ღობეები, აგრომეტყევეობა, სარწყავი მოწყობილობებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

ბიომრავალფეროვნება - ევროკავშირის წევრი ქვეყნების სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ეროვნული სტრატეგიული გეგმები ითვალისწინებს იმ ფერმერების წახალისებას, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ქმნიან ბუნებრივ სივრცეებს და აუმჯობესებენ მათ შორის ეკოლოგიურ კავშირებს. დახმარება გავრცელდება იმ სასოფლო-სამეურნეო არეალებზე, რომლებშიც შენარჩუნებულია ლანდშაფტის უფრო მეტი მახასიათებელი და აღიარებულია სოფლის მეურნეობის წარმოების სისტემების განუყოფელ ნაწილად. ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ან აღდგენისაკენ მიმართული მოქმედებები, მათ შორის, ბუნებისადმი კეთილგანწყობილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკები, გავრცელდება ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის 31%-ზე.

პესტიციდებისა და სასუქების გამოყენების შემცირების ერთ-ერთ გზად ასევე მოიაზრება ორგანული წარმოების არეალის გაფართოება. 2027 წლისთვის თითქმის გაორმაგდება იმ ზონების ფართობი, რომლებზეც გავრცელდება სოფლის მეურნეობის ახალი საერთო პოლიტიკით გათვალისწინებული ორგანული წარმოების მხარდაჭერის კომპონენტი და მიაღწევს 10 %-ს (2020 წლისთვის დაფარვის

მაჩვენებელი 5.6 %-ს შეადგენდა). ეს ღონისძიება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ეროვნული ამოცანების მიღწევაში, რომლებიც ორგანული ზონების გაფართოებას შეეხება. ამ მიმართულებით წევრი ქვეყნების ამბიციები 2030 წლისთვის 5-30 %-ის ფარგლებში იმერყევებს.

ევროკავშირის ფარგლებში ორგანული ფერმერობა არსებით როლს ასრულებს მდგრად სასურსათო სისტემებში, რადგან ის ხელს უწყობს მაღალი ხარისხის სურსათის წარმოებას გარემოზე დაბალი ზემოქმედებით. „ევროპის მწვანე პაქტმა“ ამოცანად დაისახა 2030 წლისათვის ორგანული გახადოს მიწის 25 %-ის გამოყენება. ეს არის საკმაოდ ამბიციური მიზანი, რომელიც უნდა შესრულდეს „ორგანული სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში.

მდგრადი სასურსათო სისტემები -„ფერმიდან ჩანგლამდე“ სტრატეგია არის „ევროპის მწვანე შეთანხმების“ ცენტრალური ნაწილი, რომლის მიზანიცაა, გახადოს საკვები სისტემები სამართლიანი, ჯანსაღი და გარემოსადმი მეგობრული. სტრატეგიის მიხედვით, ევროკავშირის კვებითი ინდუსტრია უნდა იყოს გარემოსა და კლიმატის კუთხით ნაკლებად დამაზიანებელი, მდგრადი და უსაფრთხო.

მ3-გ3.8 – მაგალითი (4)

ახალგაზრდა ფერმერმა ქალმა საკუთარი ოჯახისათვის გამოიყენა სოფლის მეურნეობის დახმარება და ორგანული წარმოების სერტიფიკატი მოიპოვა, რამაც ბიძგი მისცა სრული დატვირთვით წამოეწყო ფერმერის კარიერა.

ელიზა ახალგაზრდა ფერმერი ქალია, რომელიც ცხოვრობს იტალიის ცენტრში, ცნობილ ისტორიულ ქალაქ მოდენიდან ხუთიოდე კილომეტრის მოშორებით. მისი ფერმის ურბანულ ცენტრთან სიახლოვე მას შესაძლებლობას უქმნის, ახალდაკრეფილი ხილი და ბოსტნეული გაყიდოს დიდ ბაზარზე.

ელიზას მამა მსხლის მოყვანის სპეციალისტია. ის დაინტერესებული იყო ორგანული ფერმის პრინციპებით, მაგრამ არ ჰქონდა ორგანული ფერმის სერტიფიკატი. ელიზამ გადაწყვიტა გაემრავალფეროვნებინა ის, რასაც მამამისის ფერმა აწარმოებდა. მან მოაშენა სხვადასხვა სახეობის ხილი - ბალი, ვაშლი, ხენდრო და ასევე ბოსტნეული სათბურებში, რომელსაც 4000 მ2 ფართობი უკავია. ამასთან ერთად, მან წამოიწყო ცოცხალი ხილის წვენების ჩამოსხმა და ადგილობრივი წითელი და თეთრი ღვინის წარმოება.

2016 წელს ელიზამ გადაწყვიტა ფერმა დაერეგისტრირებინა როგორც „ორგანული“, რითაც მამის ოცნება კიდევ ერთი ნაბიჯით წასწია წინ. მას სურდა დარწმუნებულიყო, რომ მათი მიწა ისევ მდგრადად განვითარდებოდა და მომხმარებელი დააფასებდა წარმოებული პროდუქციის რეპუტაციას ეკოლოგიური კუთხით.

ელიზამ განაცხადი შეიტანა ორგანული ფერმერობის დაფინანსებაზე. ეს მხარდაჭერა დაეხმარა მას გამხდარიყო სრულად დასაქმებული ფერმერი და დაეფარა მისი ფერმის ეკოლოგიური სერტიფიცირების ყველა ხარჯი როგორც ნედლი, ისე გადამუშავებული პროდუქციისთვის.

ორგანული სტანდარტები არ იძლევა სინთეტიკური ქიმიკატების გამოყენების უფლებას და მოითხოვს ყურადღება გამახვილდეს ნიადაგის ბუნებრივი სასუქების მოხმარებასა და წყლის რესურსების მართვაზე მაქსიმალურად დამზოგავი ხერხებით.

გასაყიდად გამიზნულ ფერმის ხილსა და ბოსტნეულს ელიზა რეგულარულად აწვდის ოთხ სხვადასხვა სამომხმარებლო ჯგუფს და აგრეთვე ყიდის საკუთარ ფერმაშიც. დამატებით მას პროდუქცია გააქვს სამ სხვადასხვა საკვირაო ფერმერთა ბაზრობაზე ქალაქ მოდენასა და ბოლონიაში. ფერმამ ძალიან კარგი ეკონომიკური მოგება ნახა. მისი შემოსავლები გაიზარდა დაახლოებით 30 %-ით.

ელიზამ დაიწყო ფერმის ბიზნესის გაფართოება. მან განაცხადმა დაფინანსებაზე - ინვესტიცია ფიზიკურ აქტივებში -წარმატება მოიპოვა, რამაც საშუალება მისცა, შეეძინა სპეციალიზებული აღჭურვილობა პარაზიტებთან საბრძოლველად და სათბურებში ჰაერის გასაგრილებლად.

ელიზა აღიარებს, რომ მამის რჩევა და გამოცდილება მნიშვნელოვანი იყო ორგანული ფერმის მართვაში. მას უყვარს ეს მიწა და სურს თავის ქალიშვილს ის საუკეთესო მდგომარეობაში გადაულოცოს.

მ3-გ3.9 – „ევროპის მწვანე შეთანხმების“ მიზნები და ეროვნული დღის წესრიგი (გაგრძ.)

ეროვნულ დონეზე „ევროპის მწვანე შეთანხმებასთან“ დაკავშირებული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება და განხორციელება დადებითად აისახება საქართველოს სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებაზე. ევროკომისიის „მწვანე“ პოლიტიკის ამ ინიციატივებთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოში მოიცავს არაერთ პოლიტიკის დოკუმენტსა და კანონს, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმეს განვიხილავთ.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021–2027 წლების სტრატეგია მიზნად ისახავს მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, სოფლად ეკონომიკური შესაძლებლობების დივერსიფიკაციას/განვითარებას და სოციალური მდგომარეობისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების კონსერვაცია და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია. ეკოლოგიურად სუფთა, კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკისა და ბიო/ორგანული წარმოების განვითარების ხელშეწყობა ასევე ამ მიზნის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად სტრატეგიული ამოცანებია:

- გარემოსთან ადაპტირებული, კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავრცელება;
- და ბიო/ორგანული წარმოების განვითარების ხელშეწყობა;
- ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
- ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება;
- ენერგოეფექტიანი და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა;
- აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

საქართველომ 2021 წლის 5 მაისს წარადგინა განახლებული, ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC), რითაც აიღო უპირობო ვალდებულება, 2030 წლისთვის შეამციროს სათბურის აირების გაფრქვევები 35 %-ით 1990 წელთან შედარებით. ასევე, საერთაშორისო მხარდაჭერის შემთხვევაში, მან უნდა გაზარდოს სამიზნე მაჩვენებელი 50-57 %-მდე. საქართველოს განახლებული NDC განსაზღვრავს შემდეგ სამიზნე მაჩვენებლებს:

- საქართველო იღებს უპირობო ვალდებულებას, რომ 2030 წლისთვის ეროვნულ დონეზე სათბურის აირების ემისიების ჯამური მაჩვენებელი 1990 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელთან შედარებით 35%-ით შემცირდება;

- იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა მიიღებს საერთაშორისო მხარდაჭერას, გაფრქვევებს შეამცირებს 50 %-ით, თუ მსოფლიო გაჰყვება გლობალური საშუალო ტემპერატურის 2°C-იანი ზრდის სცენარს;

- ხოლო ტემპერატურის 1.5°C-მდე ზრდის სცენარის შემთხვევაში, ქვეყანა სათბურის აირების ემისიებს 57 %-ით შეამცირებს 1990 წლის დონესთან შედარებით.

NDC-ის მიზანია მხარი დაუჭიროს ქვეყნის მდგრად და დაბალანსებულ განვითარებას კლიმატის ცვლილების, გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების გათვალისწინებით. კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია საქართველოს კლიმატის პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია განსაზღვრავს სამიზნე მაჩვენებლებსა თუ პოლიტიკის მიზნებს სხვადასხვა სექტორისათვის. მათ შორისაა, დაბალი ემისიის მიდგომების ხელშეწყობა სამშენებლო, სოფლის მეურნეობისა და ნარჩენების სექტორში.

საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა მოიცავს ბიომრავალფეროვნების შემდეგ მიმართულებებს: სახეობები და ჰაბიტატები, დაცული ტერიტორიები, ტყის ეკოსისტემები, სასოფლო-სამეურნეო ბიომრავალფეროვნება და ბუნებრივი მდელოები, შიდა წყლის ეკოსისტემები და შავი ზღვა. სტრატეგია ადგენს მიზანს, ეროვნულ სამიზნე მაჩვენებლებს და აქტივობებს თითოეული მიმართულებით.

2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა (NEAP 4) მიზნად ისახავს ქვეყნის დაბალანსებულ და მდგრად განვითარებას, რომლითაც თანაბრად იქნება გათვალისწინებული გარემოსდაცვითი თუ სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები. პროგრამა შემუშავდა „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და ქვეყნის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე.

2021-2030 წლების საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა (NECPS) არის ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების მიმართულებით არსებული პოლიტიკების ერთიანი ეროვნული

გეგმა, რომელიც შესამუშავებლად სავალდებულოა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ენერგეტიკული გაერთიანების წევრი ქვეყნებისათვის. გეგმა მოიცავს სამიზნე მაჩვენებლებსა და სამოქმედო გეგმას ენერგოუსაფრთხოების გაძლიერების, ენერგობაზრების გაუმჯობესების, ენერგოეფექტიანობის გაზრდისა და ეკონომიკის დეკარბონიზაციის, კვლევებისა და ინოვაციების ხელშეწყობის კუთხით.

საქართველოს მიღებული აქვს, მათ შორის, კანონი **განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ,** რომლის მიზანია შექმნას განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის ხელშეწყობის, წახალისებისა და გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები; აგრეთვე, დაადგინოს ენერგიის მთლიან საბოლოო მოხმარებასა და ენერგიის ტრანსპორტის მიერ მოხმარებაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის საერთო წილის სავალდებულო ეროვნული სამიზნე მაჩვენებლები.

ენერგოეფექტურობის შესახებ
კანონის მთავარი მიზანია ქვეყანაში ენერგოეფექტურობის დანერგვის საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება, ქვეყნის ენერგოეფექტურობის სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრის პროცედურის შემუშავება და ამ კუთხით არსებული პოლიტიკის კოორდინაცია, კონტროლი, ზედამხედველობა და მონიტორინგი.

მ3-გ3.10 – ტესტის პრაქტიკა

მ3-გ3.11 – ცირკულარული ეკონომიკა
- ცირკულარული მეურნეობის პრინციპები, რომლის ამოსავალი წერტილიც ენერგოეფექტიანობაა, სოფლად ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ქალაქში. სხვა მიმართულებებთან ერთად, როგორიცაა კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია, ნარჩენების მდგრადი მართვა, სუფთა ენერგია და მდგრადი მობილობა, მისი მიზანია დეკარბონიზაციის ხელშეწყობა და „მწვანე შეთანხმების“ მიზნების მიღწევაში დახმარება.

ცირკულარული ეკონომიკა და ნარჩენების ინტეგრირებული მართვა – ეს ის ცნებებია, რომლებიც ბოლო დროს ხშირად გვხვდება ეკოლოგიური კეთილდღეობისა თუ კლიმატის ცვლილებების შედეგების გამკლავებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მექანიზმი თანამედროვე ეპოქაში წარმოადგენს ახლებურ ხედვას, რომელმაც უკვე არაერთ ქვეყანაში მოიკიდა ფეხი. თავად ცირკულარული ეკონომიკა გულისხმობს პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების ახლებურ, თანამედროვე ხედვას, რომლის მიზანია ნარჩენების მინიმიზაცია და რესურსების მაქსიმალურად გამოყენება. ამ ახლებურ ხედვაში შეგვიძლია გამოვყოთ ე.წ. 3R პრინციპი, რომელიც გულისხმობს სამ მოწოდებას – reduce (მაქსიმალურად შემცირდეს პროდუქციის არამიზნობრივად გამოყენება და მისი ნარჩენებად ქცევა), reuse (მაქსიმალურად ვცადოთ და ნებისმიერი პროდუქტის ღირებული/ფუნქციური შემადგენელი ნაწილი ბოლომდე გამოვიყენოთ), recycle (თავად ნარჩენებიც არ გავანადგუროთ და ვიპოვოთ მათი

გადამუშავებისა და ხელახალი გამოყენების ოპტიმალური გზა). ამრიგად, ცირკულარული ეკონომიკის პრინციპი თავისი არსით გულისხმობს რესურსების გამოყენების არა წრფივ, არამედ წრიულ მიდგომას. ნარჩენების გადამუშავების პრინციპი კი ითვალისწინებს მათ ხელახალ გამოყენებას მეორადი ნედლეულის სახით. ეს ზოგავს რესურსს და თავიდან გვარიდებს გარემოზე მავნე ზემოქმედების უარყოფით შედეგებს. იგი ჰარმონიულად ერწყმის ცირკულარული ეკონომიკის პრინციპს.

ევროკავშირის ცირკულარული ეკონომიკის სამოქმედო გეგმა მოიცავს მომავალზე ორიენტირებულ დღის წესრიგს, რომლის მიზანია სუფთა ენერგიასა და კონკურენტუნარიან ეკონომიკაზე დამყარებული ევროპის კავშირის შექმნა. ამ მიზნის მიღწევა გულისხმობს მოქალაქეების, ბიზნესების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სხვა ეკონომიკური აქტორების მონაწილეობას. სამოქმედო გეგმის მიზანია „მწვანე გარდაქმნის“ ხელშეწყობა.

ცირკულარული ეკონომიკა ამცირებს წნეხს ბუნებრივ რესურსებზე და არის კლიმატნეიტრალურობის მიღწევის ბაზისი. გეგმა ქმნის წინაპირობას, რომ კვლევების, ინოვაციისა და დიგიტალიზაციის გამოყენებით 2050 წლისთვის მიღწეული იყოს კლიმატნეიტრალურობის სამიზნე მაჩვენებელი.

გარემოზე დადებით ზემოქმედებასთან ერთად, ნარჩენების გადამუშავების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობაა შრომის ბაზრის განვითარების პერსპექტივა. ამ მხრივ გასათვალისწინებელია როგორც ნარჩენების შეგროვების, ისე გადამუშავებისა და ხელმეორედ გამოყენების ეტაპებთან დაკავშირებული საქმიანობები, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს სამუშაო ადგილების რაოდენობა.

სასოფლო არეალები თავისთავად არის კეთილდღეობის მომტანი იმის გამო, რომ მდიდარია ადგილობრივი რესურსებით და სასოფლო-სამეურნეო და ტყის პროდუქტებით, რაც მოიცავს ბიომასას. სოფლად მცხოვრები „მწვანე აზროვნების“ მქონე ახალგაზრდა მეწარმეებისთვის იქმნება კარგი შესაძლებლობა, რათა თავიანთი კრეატიული იდეებისთვის გააცოცხლონ ტრადიციები ან გახდნენ ინოვატორები.

საქართველო გეგმავს ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო შეიმუშავებს სამიზნე ინდიკატორებს. „ნარჩენების მართვის შესახებ“ კოდექსი პირველი ნაბიჯია ამ მიმართულებით. კოდექსის შემუშავებასთან ერთად, სამინისტრომ ასევე ჩამოაყალიბა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ახალი პრინციპები და მიიღო რამდენიმე რეგლამენტი ნარჩენების ცირკულარულობის ხელშეწყობის მიზნით.

ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების სტრატეგია შემუშავებულია ნარჩენების მართვის კოდექსისა და ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივების მოთხოვნათა შესაბამისად. სტრატეგიის მიზანია საქართველოში ნარჩენების მართვის განვითარების პროცესის ჰარმონიზება ევროპის ნარჩენების მართვის პოლიტიკასთან. სტრატეგია მოიცავს ყველა სახის მყარი ნარჩენების მართვას რადიოაქტიური ნარჩენებისა და მოძველებული მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების (POPs) გარდა.

მ3-გ3.12 – მდგრადი „ლურჯი ეკონომიკა“

ეს არის სისტემური ხედვა, რომელიც ემსახურება ოკეანეებთან დაკავშირებული პოლიტიკების ინტეგრირებას ევროკავშირის ეკონომიკურ პოლიტიკაში. მდგრადი „ლურჯი ეკონომიკის“ შესახებ შემუშავებული დოკუმენტი:

- მოუწოდებს ყველა საზღვაო მოთამაშეს, საქმიანობა დააფუძნონ ბუნებრივი რესურსების პასუხისმგებლიან გამოყენებაზე, დეკარბონიზაციასა და ცირკულარული ეკონომიკის კონცეფციებზე;
- ადგენს „ლურჯი ეკონომიკის“ „გამწვანების“ დეტალურ დღის წესრიგს, რომელსაც ემყარება ოკეანეების საერთაშორისო მართვა;
- ხელს უწყობს ეკონომიკური საქმიანობის თანაარსებობას და სინერგიას საზღვაო სივრცეში საზღვაო სივრცითი დაგეგმარების გზით გარემოს დაზიანების გარეშე;
- გვთავაზობს მთელ რიგ ღონისძიებებს აღნიშნული მიმართულებით კვლევებისა და ინოვაციის გასაზრდელად და ფინანსური სახსრების მოსაძიებლად.

ინოვაციური „ლურჯი ეკონომიკისა“ და ჯანსაღი საზღვაო ეკოსისტემების პრინციპებზე მორგებული სოფლის ეკონომიკური საქმიანობა ეფუძნება ახალ აზროვნებას, ახალ მიდგომებსა და ეკოინოვაციურ ტექნოლოგიებს. ეს გულისხმობს ბუნებრივი გარემოს დაუზიანებლად ბუნებიდან იმის მიღებას, რაც მას აქვს. ამასთან, უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროდუქციისა და მომსახურების მრავალფეროვნება იმ პირობით, რომ სრულყოფილად იყოს გამოყენებული რესურსები და შემცირდეს ენერგოდანახარჯები. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ეკოლოგიურად უსაფრთხო და ეკონომიკურად განვითარებული სოფლის ჩამოყალიბებას.

საქართველოს განახლებული, ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC) კლიმატის ცვლილების უარყოფით შედეგებთან ადაპტაციის თვალსაზრისით, ყველაზე მოწყვლად ეკონომიკის სექტორებს, ეკოსისტემებსა და სხვა ბუნებრივ რესურსებს შორის განიხილავს შავი ზღვის სანაპირო ზონას. აქცენტის გაკეთება „ლურჯ ეკონომიკაზე“, როგორც კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის მამოძრავებელ ძალაზე, ეხმარება NDC-ს სამიზნე მაჩვენებლების შესრულებაში, რომლებიც დაკავშირებულია სანაპირო ზოლის დაცვასთან.

მ3-მ3.13 – მაგალითი (5)

ანამარიას, რომელიც ყოველთვის დაინტერესებული იყო მოდით, დაებადა აზრი, ბიოტექნოლოგიის გამოყენებით, ხისა და სოფლის მეურნეობის ბიოლოგიური მასალებისგან ეწარმოებინა მოდური აქსესუარები. ეკოლოგიის პრობლემატიკის გაცნობიერება სულ უფრო იზიდავს მომხმარებელს მაღალი ხარისხის უსაფრთხო და მოდური ნაწარმისაკენ.

ანამარიამ პირველი პრაქტიკული გამოცდილება სამზარეულოს ავეჯის დამამზადებელ ადგილობრივ საწარმოში მუშაობისას შეიძინა. მან აითვისა ხეზე მუშაობის, მისი გაპრიალება-მოპირკეთებისა და ნატურალური პროდუქტებით (ჭარხლის ფესვის, სტაფილოს, მოცვისა თუ ალუბლის წვენის, ნედლი კაკლის ნაჭუჭის, ხახვის ფუჩეჩისა და ბალახეულის გამოყენებით) ბუნებრივი ხის შეღებვის ტექნიკა და მეთოდები. ის ასევე ესწრებოდა ბაზრობებს, რათა შეესწავლა იმ დანადგარებისა და აღჭურვილობის გამოყენება, რომლებიც მის ბრენდულ კომპანიას დასჭირდებოდა.

სახელმწიფო ადგილობრივი მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მან შეძლო საჭირო მანქანა-დანადგარების შეძენა, რომლებითაც ხისგან, კორპის ხისა და ჩალისგან მოდურ ნაწარმს დაამზადებდა. პროექტი ასევე ითვალისწინებდა კომპანიის ვებგვერდისა და ონლაინმაღაზიის შექმნას. ანამარიამ გამოიყენა საკუთარი ფინანსები და ადგილობრივი ფერმებისგან შეიძინა ნედლი მასალა. მან ასევე იქირავა სამუშაო სივრცე, სადაც სახელოსნო მოაწყო.

ანამარიას ბიზნესმიდგომა მიზნად ისახავს მოდური ნივთებისა და სამკაულების დამზადებას, რომლებიც გამოირჩევა უნიკალური დიზაინითა და მაღალი ხარისხით. ეს ნიშური პროდუქტები ისეთ მომხმარებლებს იზიდავს, ვისთვისაც ისინი ჯანმრთელობასა და ეკომეგობრულ ცხოვრების წესთან ასოცირდება.

ანამარია პროაქტიულია თავისი ბიზნესის რეკლამირების საქმეშიც, მისი ნაწარმის მიზნობრივი რეკლამირებისთვის ის ამყარებს კონტაქტებს მოდის ბლოგერებთან და ჟურნალებისა და მაღაზიების სპეციალისტებთან. ანამარიამ გამოიკვლია, რა იწვევდა ინტერესს ეკოლოგიურ მოდასთან დაკავშირებით, რა იყო არსებული და მომავალი ტრენდები. მან ჩაატარა ადგილობრივი მარკეტინგული დაკვირვება, ასევე დაამყარა კავშირები ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო მეწარმეებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მათ შორის, კოოპერატივებთან, ვისგანაც შეძლებდა საჭირო მასალების შეძენას. მისი კომპანია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით აწარმოებს პეპელა-ჰალსტუხებს, საკინძებს, ქალის ხელჩანთებსა და მაღალი ხარისხის ბიოდეგრადირებად სამკაულებს ხისა და ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისგან. ანამარიას ბიზნესი იზრდება და სრული დატვირთვით მუშაობს.

ანამარია აგრძელებს სწავლას, ქმნის და აძლიერებს საკუთარ ბიზნესს. ის გეგმავს თავისი კომპანიის მყარ და სანდო ბრენდად ჩამოყალიბებას, რომლისთვისაც ფასეულია ბუნება, ხარისხი, ეკოლოგია და ტრადიციები. მისი ბიზნესი აფართოებს „მწვანე“ პორტფოლიოს ისეთი აქტივობებით, როგორიცაა ტურისტული, სარეკრეაციო და ეკოლოგიის დაცვის მიმართულებები, ასევე ატარებს სამუშაო შეხვედრებს ბავშვებისათვის მათი ცნობიერების ასამაღლებლად, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბუნებრივი მასალების გამოყენება.

მ3-გ3.14 – ტესტის პრაქტიკა

მ3-გ3.15 – ტესტის პრაქტიკა

მ3-გ3.16 – ტესტის პრაქტიკა

მოდული 4: სამართლიანი და ინკლუზიური მომავლის სოფელი

მ4-გ3.1 – შესავალი

სასოფლო დასახლებებში არა ერთხელ მომხდარა ეკონომიკური, სოციალური თუ ეკოლოგიური რყევები. კოვიდ-19-ის კრიზისის გეოგრაფიული მასშტაბი არათანაბარი იყო, ამის გამო, ევროპის ბევრ ქვეყანაში პანდემიის ზემოქმედება სასოფლო დასახლებებზე არასაკმარისად გაშუქდა. მკვეთრი და უეცარი კრიზისების დროს, ისეთი პრობლემები, როგორიცაა დეპოპულაცია, მიგრაცია, დაბერება, მომსახურებებისა და ინფრასტრუქტურის შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ნეგატიურად აისახება სასოფლო დასახლებების ადაპტაციის უნარებზე. მიუხედავად იმისა, რომ სოფელს ბუნებრივი უპირატესობა აქვს, მისი მოსახლეობა სოციალურად და ეკონომიკურად ნაკლებად მედეგია ასეთი მასშტაბის ეგზოგენური შოკების მიმართ.

სამუშაო ბაზრის მოწყვლადობის ელემენტები დაკავშირებულია სოფლის კონტექსტისა და სოფლის მეურნეობის სექტორის ზოგიერთ თავისებურებასთან. პირველ რიგში, ეს არის ის, რომ უმეტესი სამუშაოების შესრულება შეუძლებელია დისტანციურად. ზოგიერთი სახის ინდუსტრიაზე განსაკუთრებული გავლენა აქვს მობილობის შეზღუდვას, ასეთია, მაგალითად, ბუნებაში დასვენება და ტურიზმი. ასევე მნიშვნელოვანია გენდერული კომპონენტიც. კოვიდ-19-ის ზემოქმედებამ აშკარა გახადა, რომ ყველაზე მეტად დაზარალდა მომსახურების სექტორი, რომელშიც ბევრად მეტი ქალია დასაქმებული, ვიდრე კაცი. სკოლებისა და ბაგა-ბაღების დახურვის გამო, ბავშვის მოვლის პასუხისმგებლობის ტვირთი, ტრადიციულად, უფრო მეტ ქალს დააწვა. ისინი იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ ანაზღაურებად სამსახურებზე. ეს პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით გამოიკვეთა სოფლად, სადაც ქალების დასაქმების მაჩვენებელი პანდემიამდეც უფრო დაბალი იყო, ვიდრე ქალაქებში.

მეორე მხრივ, მუდმივად მზარდი ურბანული კონცენტრაციისა და ჭარბი პოპულაციით გამოწვეული შედეგების გათვალისწინებით, კოვიდ-19-ის კრიზისმა ერთგვარი შესაძლებლობათა ფანჯარა გახსნა სოფლებისთვის. სავსებით შესაძლებელია, ისინი დროებითი თუ მუდმივი ადგილმონაცვლეობის მიზიდულობის არეალებად გარდაიქმნან და მომავალში კონკურენციაც კი გაუწიონ ურბანულ გარემოს.

დღესდღეობით ყველაზე მნიშვნელოვანია ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა: საავადმყოფოების სიახლოვე, ასევე ხარისხიანი და დროული სამედიცინო დახმარება ყოველთვის გადამწყვეტია, ხოლო იმ ეპოქაში, როდესაც ეპიდემიების საფრთხე შეიძლება კიდევ უფრო გახშირდეს, ეს საკითხი განსაკუთრებით საყურადღებო ხდება. გარდა ამისა, პროფესიონალებს, რომლებიც ირჩევენ სოფლად ახალი ცხოვრების დაწყებას და დისტანციურად მუშაობას, დააინტერესებთ ადგილობრივი განათლების ხარისხი. იმ პირობებში, როდესაც სულ უფრო იზრდება დისტანციურად სწავლების საჭიროება, სასკოლო სისტემა უნდა გაძლიერდეს და განახლდეს გაციფრულებისა და ტექნოლოგიური მხარდაჭერის მიმართულებით. ამ საშუალებით ისარგებლებენ როგორც სოფლად მცხოვრები ბავშვები, ისე პოტენციურად საცხოვრებლად ახალგადასული მოქალაქეები.

სოფლად შეიძლება ახალი პერსპექტივები გაჩნდეს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ არსად წასულა ის ფაქტორები, რომლებმაც ევროპის დიდ ნაწილში სოფლის ასეთი მზარდი დეპოპულაცია გამოიწვია. პანდემიის საფრთხის პირობებში სოფლებს უფრო მოწყვლადს ხდის ათწლეულობით დაგროვილი პრობლემები. ესენია: საბაზისო მომსახურებების თვისებრივი და რაოდენობრივი გაუარესება, კერძოდ, ჯანდაცვისა და განათლების მხრივ, ასევე, ინტერნეტის შეზღუდული ხელმისაწვდომობა. ამასთან, მზარდია დიდ ქალაქურ კვანძებზე დამოკიდებულება, სადაც ეს საბაზისო მომსახურებები უფრო მეტად ხელმისაწვდომია. აქედან გამომდინარე, კოვიდ-19-თან დაკავშირებული პრობლემები ემატება სასოფლო დასახლებების ისედაც არსებულ ძველ პრობლემებს. ამდენად, ამ გრძელვადიანი გამოწვევების აღმოფხვრა სოფლის მდგრადობის განმტკიცების მნიშვნელოვანი შემადგენელი უნდა გახდეს.

M4-G3.2 – მიზნები

ამ მოდულში განვიხილავთ:

- თუ როგორ ეხმარება სოციალური ეკონომიკა სასოფლო დასახლებებს, ფეხი აუწყოს და თავად იკისროს წამყვანი როლი ინოვაციური გამოსავლების მოძიებაში;
- სოციალური ეკონომიკის მთავარ მახასიათებლებს, საკვანძო ცნებას, მათ თავისებურებებსა და შესაბამისობას სოფლის განვითარების პოლიტიკის მიზნებთან;
- მომავლის სოფელს, სადაც „ქვემოდან ზემოთ“ მიდგომით მიღებული გადაწყვეტილებები ხელს უწყობს თანაბარი შესაძლებლობების გაჩენასა და დამკვიდრებას და აერთიანებს მომავლის სოფლის გრძელვადიანი ხედვის ძირითად ელემენტებს ინკლუზიური, ურთიერთდაკავშირებული, მდგრადი და მედეგი სოფლის მომავლისთვის;
- პარალელებს სოციალური ეკონომიკის ძირითად პრინციპებსა და LEADER მიდგომის შვიდ პრინციპთან.

მ4-გ3.3 – სოფლის სოციალური ეკონომიკა

სოფლად მცხოვრები ადამიანების ერთობა, სულისკვეთება, ღირებულებები, ცოდნა და ტრადიცია, რაც მათი უდავოდ ძლიერი მხარეა, ბევრი შთამაგონებელი მაგალითის წყარო გამხდარა. დღეს ჩვენ ვერაფერს ვიტყვით, კოვიდ-19-ით თავსმოხვეული განწყობები რამდენად გახდება სამომავლოდ სტრუქტურული და მდგრადი გრძელვადიანი მოთხოვნა. ერთი რამის თქმა კი დანამდვილებით შეგვიძლია - სასოფლო დასახლებები საკუთარ ბუნებრივ სიძლიერეს (უკეთესი ჰაერი, ლანდშაფტი, უფრო იაფი საბინაო პირობები) უხამებენ ადეკვატურ მომსახურებებს, ბიზნესშესაძლებლობებსა და ინკლუზიურ საზოგადოებებს და ქმნიან ისეთ გარემოს, რომელშიც ადამიანებს კეთილდღეობაში ცხოვრება შეუძლიათ.

სოფლის განვითარებას სჭირდება კონკრეტულად მასზე მორგებული ყოვლისმომცველი პოლიტიკა და მისი მუდმივი გაუმჯობესება. ამისთვის აუცილებელია მონაცემებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნა. მომავლის სოფლის ხედვის სიღრმისეული გააზრება გვკარნახობს, რომ სოფლის მედეგობა და ადგილზე მორგებული ეკოლოგიურად მგრძნობიარე სტრატეგიები მოითხოვს ადამიანებისა და ეკონომიკური აქტივობების მრავალფეროვნებას. ინკლუზიურობა, ეკონომიკის დივერსიფიკაცია და ფართო მონაწილეობა პოლიტიკის დღის წესრიგის შემუშავებასა და სოფლის გაძლიერებაში კი, სოფლის ძლიერი მხარეების განვითარებისთვის ფუნდამენტური ელემენტებია.

ევროკავშირი ბევრი თვალსაზრისით სამაგალითოა - იგი ნაკისრი ვალდებულებით უზრუნველყოფს სამართლიანი და ინკლუზიური სოფლის მომავალს. სოციალურ გარიყულობასთან ბრძოლის ვალდებულება 1990-იანი წლებიდან არსებობს და ასახულია „მაასტრიხტის ხელშეკრულებასა“ და „ევროპის სტრუქტურულ და საინვესტიციო ფონდებში“. სოციალური გარიყულობა გულისხმობს ხელმისაწვდომობის არქონას მთელ რიგ საბაზისო უფლებებზე. ესენია როგორც ადეკვატური ჯანდაცვისა და განათლების, ისე ეკონომიკური აქტივობებისას სოციალური ინტეგრაციისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა რეალური და ეფექტიანი მონაწილეობის უფლების შეზღუდული შესაძლებლობა. სულ უფრო იზრდება ევროკავშირის გავლენა, რომელიც ეხება სოფლის სოციალური ინკლუზიის საკითხის ეროვნულ დონეზე წინ წამოწევას. ევროკომისიამ 2021 წლის დეკემბერში „ევროპის სოციალური ეკონომიკის სამოქმედო გეგმა“ მიიღო. აღნიშნული ინიციატივის მიმართ ევროკავშირის მხარდაჭერა ვრცელდება პოლიტიკის ყველა სფეროში, მათ შორის, ევროკავშირის „სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკაზეც“. „დასაქმების, სოციალურ საქმეთა და ინკლუზიის საკითხთა“ ევროკომისიის გენერალურ დირექტორატს აქვს ამ მიმართულებით ზედამხედველობის მთავარი პასუხისმგებლობა.

სოციალური ეკონომიკა არის ინოვაციის, ეკოლოგიური გარდაქმნისა და მდგრადი ზრდის მამოძრავებელი ძალა. ევროპის სოფლებში სოციალურ ეკონომიკას შეუძლია გადამწყვეტი როლი შეასრულოს სოციალური ინოვაციის სფეროებში, გააუმჯობესოს საბაზისო მომსახურებების ხელმისაწვდომობა, გააჩინოს სამუშაოს პერსპექტივები, წაახალისოს სოციალური ინტეგრაცია და ამავე დროს, ხელი შეუწყოს უფრო „მწვანე“, უფრო ციფრული და მდგრადი ევროპის სოფლის განვითარებას.

ინკლუზიური სასოფლო საზოგადოებების შექმნითა და იმ უნარით, რომ მოახდინოს მოქალაქეთა მობილიზება, სოციალური ეკონომიკა რეაგირებს სოფლად არსებულ მთელ რიგ გამოწვევებზე. მისთვის მთავარია, რომ სოფლად ცხოვრება და მუშაობა უფრო მიმზიდველი გახდეს. სხვა ეკონომიკურ სტრუქტურებთან შედარებით, სოციალურ ეკონომიკას უფრო ფართო ხედვა აქვს და მოქმედებს ადამიანისა და სოციალური მიზნების უზენაესობის პრინციპით - ის ადამიანსა და პლანეტას კაპიტალზე მაღლა აყენებს. ამ პრინციპმა, რომელიც დაფუძნებულია სოლიდარობაზე, თანამშრომლობაზე, დემოკრატიასა და აქტიურ მოქალაქეობაზე, ფესვი გაიდგა ევროპის სასოფლო დასახლებებში.

M4-B3.4 – სოფლის სოციალურ ეკონომიკასთან დაკავშირებული ცნებები

სოციალური ეკონომიკა და სოციალური მეწარმეობა ხშირად ერთნაირი მნიშვნელობით გამოიყენება და მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ ტერმინს განსხვავებული შინაარსი აქვს, ნაწილობრივ მაინც ემთხვევა ერთმანეთს. სოციალური ეკონომიკის ინიციატივები ხასიათდება ძირითადად მათი მიზნებითა და მეთოდებით, იმით, თუ როგორ წარმართავენ ბიზნესს, რომელიც აერთიანებს ზოგად თუ საზოგადოებრივ ინტერესს, ეკონომიკურ ეფექტიანობასა და დემოკრატიულ მმართველობას. არსებითად, სოციალური ეკონომიკის ინიციატივები ავითარებს ძირითადად მათი წევრების ინტერესებს (როგორც ტრადიციული კოოპერატივები იქცევიან) და, შესაბამისად, ისინი ხშირად ირიბად ზემოქმედებენ მთლიანად საზოგადოებაზე. და პირიქით, სოციალურ საწარმოებს აქვთ მკაფიო მიზანი, რაც საზოგადოების საერთო ინტერესებს ითვალისწინებს (საერთო მნიშვნელობის მომსახურებებისა თუ სოციალურად დაუცველ პირთათვის შრომითი ინტეგრაციის ხელშეწყობით).

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, სადაც ფერმერები აგროვებენ რესურსებს იმისათვის, რომ გაზარდონ საკუთარი წარმადობა და შეძლონ უკეთესი მომსახურება, არის სოციალური ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა. მიუხედავად ამისა, ის ვერ მიიჩნევა სოციალურ საწარმოდ, რადგან მას არ გააჩნია სოციალური მიზანი. კოოპერატივები მიჰყვებიან ძალიან სპეციფიკურ და კარგად განსაზღვრულ ბიზნესმოდელს, რომელიც ეყრდნობა შვიდ პრინციპს: მოხალისეობრივ და ღია წევრობას; დემოკრატიულ კონტროლს;

წევრების ეკონომიკურ ჩართულობას; ავტონომიასა და დამოუკიდებლობას; განათლებას, სწავლებას და ინფორმაციას; თანამშრომლობას; და თემზე ზრუნვას. კოოპერატივი მონაწილეობს ადგილობრივი თემის ცხოვრებაში, მათ ამოძრავებთ ისეთი მიზნები, რომლებიც ხელს უწყობს და აფართოებს სამუშაოს, აგრეთვე ადამიანურ და ბუნებრივ კაპიტალს. მათი მოგების მნიშვნელოვანი ნაწილის რეინვესტირება ხორციელდება თავად ამ კოოპერატივსა და თემში.

სოციალური მეწარმეობა - ტერმინი სოციალური მეწარმეობა სულ უფრო ხშირად გამოიყენება და ამდენად, ზოგჯერ შეცდომითაც განიხილავენ „სოციალური საწარმოს“ სინონიმად, მაშინ, როცა სინამდვილეში ის გულისხმობს გაცილებით ფართო მასშტაბის ინიციატივებს, რომელთა მიზანია პოზიტიური სოციალური ცვლილების მოხდენა. მაგალითისთვის, აქ იგულისხმება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა კომპანიებისა თუ ინოვაციური და ინდივიდუალური მეწარმეების მხრიდან. არ არის აუცილებელი სოციალური მეწარმეობა გულისხმობდეს სოციალური საწარმოს დაარსებას.

სოციალური საწარმო - სოციალური ეკონომიკის სფეროს გამოცდილებამ წვლილი შეიტანა და გზა გაუკვალა სოციალური საწარმოების შექმნას. სოციალურ საწარმოს განასხვავებს სოციალური მიზნის მიღწევის უპირატესი ინტერესი. 2011 წელს ევროკომისიის „სოციალური ბიზნესის ინიციატივამ“ ჩამოაყალიბა სოციალური საწარმოს ვრცელი განმარტება, რომელიც ევროკავშირის დონეზე ყველაზე აღიარებულად არის მიჩნეული: „სოციალური საწარმო არის საწარმო სოციალურ ეკონომიკაში, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს სოციალური ზემოქმედება და არა ფულადი მოგება მისი მესაკუთრეებისა და/ან დაინტერესებული მხარეებისთვის“.

სოციალური საწარმო კომერციული საქმიანობით მიღებული მოგების ძირითადი ნაწილის ინვესტირებას ახორციელებს სოციალური ან გარემოსდაცვითი მიზნებისათვის. მისი მართვის მოდელი შეესაბამება მის სოციალურ მიზნებს, არის დემოკრატიული და ინკლუზიური ხასიათის და უზრუნველყოფს სოციალურ საწარმოში დასაქმებულების, მომხმარებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების პროცესში ჩართვას. სოციალური საწარმოს ცნება კანონმდებლობაში სხვადასხვა ფორმით ასახა და გაითვალისწინა ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობამ. მისი სოციალური და გარემოსდაცვითი მიზნების ხასიათი და ჩამონათვალი განისაზღვრება კონკრეტული ქვეყნის ფარგლებში შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე. სოციალური ეკონომიკისა და სოციალური საწარმოების გაძლიერებისკენ მიმართული ბევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა და პოლიტიკის დოკუმენტები ამ სფეროს ფინანსურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერასთან ერთად მიზნად ისახავს სექტორის პოპულარიზაციასაც.

სოციალური ეკონომიკა შედგება საწარმოებისა და ორგანიზაციების მრავალფეროვნებისგან, რომლებიც მოგების ნაწილის რეინვესტირებას ახდენენ მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად. სოციალურ ეკონომიკაში ფერმები საკუთარი საქმიანობის დივერსიფიკაციას შეიძლება ახდენდნენ სოციალური, ჯანდაცვისა თუ გარემოს დაცვითი აქტივობებისთვის. ასევე აძლიერებენ ფერმერთა კოოპერატივებს და დასაქმების შესაძლებლობებს მქონე იმ ადამიანებს, რომლებიც სოციალური გარიყვის საფრთხის წინაშე დგანან. ეროვნულმა სტრატეგიულმა გეგმებმა და სოფლის განვითარების მხარდამჭერმა ღონისძიებებმა, სადაც LEADER მიდგომა ხშირ შემთხვევაში, ყველაზე უფრო მოქნილ ინსტრუმენტად გვევლინება, შესაძლებელი გახადეს პროექტებისა და ინიციატივების მრავალფეროვნების გაჩენა სოციალური ეკონომიკის ფასეულობებზე დაყრდნობით.

მ4-მ3.5 – მაგალითი (6)

LEADER მიდგომის პროექტის ფარგლებში, სოფლის განვითარების მხარდაჭერის წყალობით, ყოფილმა სპორტსმენმა შექმნა ახალი ბიზნესმოდელი, რომელიც აერთიანებს ეკოლოგიურ და სოციალურ პასუხისმგებლობას.

კატია ყოფილი პროფესიონალი ათლეტია. მას შემდეგ, რაც მრავალი წლის განმავლობაში იმოგზაურა მსოფლიოს გარშემო, მან აღმოაჩინა, რომ სოფელი ყველაზე საინტერესო შესაძლებლობებს სთავაზობს ადამიანს. აქ შეიძლება გქონდეს მრავალფეროვანი და ხარისხიანი ცხოვრება და შეიქმნა სამუშაო გარემო ბუნებასთან მეგობრული მიდგომითა და ჯანსაღი კვებით. ანთროპოსოფია გახდა მისი ფილოსოფიური არჩევანი და ქვაკუთხედი უკეთესი ცხოვრების წესისა და შრომისათვის. მან გადაწყვიტა წამოეწყო ბიოდინამიკური სოფლის მეურნეობა, როგორც ბიზნესი და პიროვნული განვითარების ექსპერიმენტი.

კატიამ შეიძინა ხუთი ჰექტარი მიტოვებული ფერმა, შეუერთდა ახალგაზრდა ფერმერებს, გამოიყენა კოოპერატივებისა და ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების რჩევები და მიიღო დაფინანსება. ფინანსური მხარდაჭერით შეიძინა წაბლის ხეები (1.4 ჰექტარზე), მცენარეები (2.1 ჰექტარი), საბაღე ხეები (0.7 ჰექტარი) და აგრეთვე მანქანა-დანადგარები მცენარეების დასამუშავებლად და შესაფუთად.

კატიას ფერმა მომხმარებელს სთავაზობს ექსკურსიებს მცენარეთა ბაღებში, ბავშვებისთვის შემეცნებით გაკვეთილებს ბუნებაზე და აგრეთვე ლექციებსა და სემინარებს მცენარეების, ბიოდინამიკის, ცხოვრების ჯანსაღი წესისა და კვების თემებზე. ფერმა ატარებს ღონისძიებებს დაუცველი ჯგუფებისათვისაც; თანამშრომლობს დაწყებით სკოლასა და პროფესიულ სასწავლებელთან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. კატიას ფერმა ასევე არის განმახორციელებელი პარტნიორი იმ პროექტისა, რომელიც მუშაობს დიდი ხნის დაუსაქმებელი ადამიანების ინკლუზიურ ჩართულობაზე.

კატიას ფერმა გახდა, „საერთაშორისო ახალგაზრდული ფერმების გაცვლის“ (IFYE) პროექტის მონაწილე, რომელიც ორგანიზებას უწევს სოფლის ახალგაზრდების გაცვლას. ყოველ ზაფხულს ახალგაზრდები ავსტრიიდან, ესტონეთიდან, ფინეთიდან, გერმანიიდან, შვეიცარიასა და აშშ-იდან 7-კვირიანი პროგრამის

ფარგლებში 1-3 კვირამდე დროს კატიას ფერმაში ატარებენ.

სასუქებსა და სხვა ქიმიკატებზე უარის თქმამ შეამცირა ფერმის ხარჯები და ამავე დროს ხელი შეუწყო ბიომრავალფეროვნების გაძლიერებას. კატიამ მოიპოვა ორგანული ფერმერობის აღიარება ტრადიციულ ფერმერულ გარემოში როგორც ადგილობრივად, ისე მეზობელ სასოფლო დასახლებებს შორის.

სპორტში კატიას ხანგრძლივი გამოცდილების წყალობით, მას სჯერა, რომ ადამიანური პოტენციალის აღიარებასა და პატივისცემაზე დამყარებულ ურთიერთობებს შეუძლია წარმატების მოტანა სოფლად, ადგილობრივ თემსა და მის გარეთაც. ადგილობრივი თემის დასაქმება კატიასთვის თავიდანვე უპირველესი საფიქრალი იყო, ხოლო გარემოზე ზრუნვა დღესაც უმთავრეს პრიორიტეტად რჩება. კატია მრავალი გამორჩეული ჯილდოს მფლობელია. ეს წარმატება მან დაიმსახურა ფერმის საქმიანობით და ადამიანების, ცხოველებისა და მცენარეების მიმართ მისი დამოკიდებულებით.

მ4-მ3.6 – ტესტის პრაქტიკა

მ4-მ3.8 – ტესტის პრაქტიკა

მ4-მ3.9 – LEADER მიდგომა

LEADER (Liaison Entre Actions de Développement de l'Économique Rural) მიდგომა ნიშნავს „სოფლის ეკონომიკის განვითარების ღონისძიებებს შორის კავშირს". ეს გულისხმობს, სოფლის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ადგილობრივ საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორებს შორის პარტნიორობის ჩამოყალიბებას და მათი ძალისხმევის გაერთიანებას საერთო მიზნებისა და ხედვის გარშემო. ამ კონცეფციის ქვაკუთხედს წარმოადგენს სოფლის განვითარების „ქვემოდან ზემოთ" მიმართული თანამონაწილეობრივი მიდგომა.

LEADER მიდგომა თავდაპირველად დაინერგა 1991-1993 წლებში ევროკავშირის პოლიტიკის სპეციალური ფინანსური ინსტრუმენტის დახმარებით, რაც მიზნად ისახავდა სოფელსა და ქალაქს შორის უთანასწორობის შემცირებასა და არახელსაყრელ ბუნებრივ პირობებში მყოფი დასახლებების მხარდაჭერას. ექსპერიმენტული ფაზის შემდეგ, 1994-1999 წლებში, LEADER მიდგომის გამოყენების არეალი გაფართოვდა. 2000-2006 წლებში მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, მეთოდმა მოიცვა ყველა ტიპის სასოფლო დასახლება. 2007-2013 წლებში ის იქცა სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის განუყოფელ და სავალდებულო კომპონენტად ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში.

არსებული რესურსით, ცოდნითა და ენერგიით სოფლად მცხოვრებ საზოგადოებას ყველაზე კარგად შეუძლია საკუთარი ტერიტორიის განვითარების გზის განსაზღვრაში ჩართვა არა მარტო როგორც ბენეფიციარს, არამედ განვითარების პროცესის წარმმართველსა და აქტიურ მონაწილეს. ამ მიდგომის დამატებითი ღირებულება უკავშირდება შემდეგ ფაქტორებს: ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერებას და სოფლად ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინოვაციების ხელშეწყობას; სოფლის განვითარების პროცესში მონაწილეობის მისაღებად ადგილობრივი თემის წევრების წახალისებას; მრავალსექტორული მიდგომით ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავებას; და საერთო პრობლემების დასაძლევად თანამშრომლობის გაძლიერებას საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორებს შორის.

სოფლის განვითარების პოლიტიკის მხარდამჭერი ღონისძიებების (პროგრამების) ფარგლებში, LEADER მიდგომის განხორციელების მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი. ის იღებს გადაწყვეტილებებს არსებული სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და გარემოსდაცვითი ფაქტორების გათვალისწინებით, სტრატეგიის შემუშავების, რესურსების განაწილებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის პრიორიტეტული პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით.

2014-2020 წლებში LEADER მიდგომის გამოყენებამ მოიცვა სხვა ევროპული სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდებიც. სოფლებში, ქალაქებსა და მეთევზეობაში უფრო ფართო გამოყენებისთვის ახლა იხმარება ტერმინი „თემზე დაფუძნებული (თემის მიერ მართული) ადგილობრივი განვითარება“ – Community-Led Local Development (CLLD). CLLD, როგორც LEADER მიდგომა, თავისი მკაფიოდ გამოხატული აქცენტით, რომელიც სასოფლო ტერიტორიებს გულისხმობს, კვლავაც გამოიყენება სოფლის განვითარებისთვის ევროპული სოფლის მეურნეობის ფონდის (EAFRD) ფარგლებში.

ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფებს შეუძლიათ შეიმუშაონ და განახორციელონ ინტეგრირებული სტრატეგიები. მათ შეუძლიათ მიიღონ ფინანსური მხარდაჭერა ევროკავშირის ერთდროულად რამდენიმე ფონდიდან, კერძოდ, ევროპის საზღვაო და მეთევზეობის ფონდის (EMFF), ევროპის სოციალური ფონდისა (ESF) და ევროპის რეგიონული განვითარების ფონდის (ERDF) ფარგლებში. ეს იძლევა განვითარების უკეთესი კოორდინაციისა და სოფელს, ქალაქსა და მეთევზეობას შორის გაძლიერებული კავშირების შესაძლებლობას.



მ4-მ3.10 – LEADER მიდგომის ძირითადი მახასიათებლები

LEADER მიდგომა ან მეთოდი ეფუძნება შვიდ მახასიათებელს და მისი წარმატება დამოკიდებულია ყველა მათგანის არსებობასა და ერთობლიობაში გამოყენებაზე. ეს შვიდი მახასიათებელი განსაზღვრავს LEADER მიდგომას, როგორც მეთოდოლოგიას, და განასხვავებს მას სხვა პროგრამული ღონისძიებებისგან, ესენია:

„ქვემოდან ზემოთ“ მიდგომა: ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფს შეუძლია მიიღოს ავტონომიური გადაწყვეტილებები ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავებისა და მისი განხორციელების პროცესში ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ადგილობრივი პროექტების მხარდაჭერა, მათი შერჩევა, დაფინანსება, მონიტორინგი და შეფასება. LEADER მიდგომის „ქვემოდან ზემოთ“ გადაწყვეტილებების მიღება ასახულია ევროკავშირის საერთო დებულებების რეგულაციაში 1303/2013;

ინტეგრირებული და მრავალსექტორული სტრატეგია: როგორც ამაზე LEADER მიდგომის აკრონიმი მიგვითითებს, მისი მიზანია, შექმნას კავშირები სოფლის ეკონომიკასა და განვითარებაზე ორიენტირებულ მოქმედებებს შორის. ევროკავშირის საერთო დებულებების რეგულაციის (1303/2013) მიხედვით, CLLD/LEADER მიდგომა ხორციელდება ინტეგრირებული და მრავალ სექტორზე დაფუძნებული ადგილობრივი განვითარების სტრატეგიებით. ამ გზით ხდება ტერიტორიაზე არსებული საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესწავლა და მოგვარება იმისათვის, რომ დადგეს სასურველი საერთო შედეგი. ეს არის ის, რაც განასხვავებს მას სოფლის მეურნეობის დარგობრივი პოლიტიკის ტრადიციული „ზემოდან ქვემოთ“ მიდგომისაგან;

ადგილობრივი პარტნიორობა: LEADER მიდგომა ეფუძნება საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მრავალმხრივი თანამშრომლობის პრინციპს, რომლის მიხედვითაც არც ერთი ინტერესთა ჯგუფი არ ფლობს ხმათა გადამწყვეტ უმრავლესობას. ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფები და მათი ადგილობრივი ინტეგრირებული განვითარების სტრატეგიები კაპიტალიზაციას ახდენენ სხვადასხვა სექტორთან კავშირებით და მიზნად ისახავენ ადგილობრივი რესურსისა და პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას;

ტერიტორიაზე დაფუძნებული მიდგომა: ტერიტორიაზე დაფუძნებული მიდგომა დამყარებულია საქმის კეთების განსხვავებულ გზაზე, რომელიც ერთი მიდგომის ფარგლებში აკავშირებს სამ ელემენტს - ადგილობრივ ტერიტორიას, პარტნიორობასა და განვითარების სტრატეგიას. „ტერიტორიაზე დაფუძნებული მიდგომის“ ფარგლებში, პროგრამის დაფინანსება მიზნად ისახავს მთლიანი ტერიტორიის პრიორიტეტების გათვალისწინებას. აქედან გამომდინარე, ის განსხვავდება „პროექტზე დაფუძნებული მიდგომისგან“;

ინოვაცია: ტექნიკურ ინოვაციებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალური ინოვაციების წახალისებას, რაც სოფლებისათვის რჩება LEADER მიდგომის ერთ-ერთ ყველაზე მგრძნობიარე და იმავდროულად გამომწვევ ნაწილად. ადგილობრივი პრობლემების ახალი და ინოვაციური გადაწყვეტილებების ძიება და ხელშეწყობა ან არსებული შესაძლებლობების გამოყენება თავიდანვე იყო LEADER მიდგომის

ძირითადი მახასიათებელი. ინოვაცია გულისხმობს იმას, რაც კეთდება - მხარდაჭერილ მოქმედებებს, პროდუქტებს, სერვისებს და სხვ. თითოეული ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის მიზანი უნდა იყოს ახალი ელემენტების შემოტანა თავისი ტერიტორიის განვითარებაში. რა თქმა უნდა, ყველა ინოვაციური იდეა ვერ იქნება წარმატებული, ამიტომ გადაწყვეტილებებში რისკის დასაშვები დონე გათვალისწინებული უნდა იყოს. ახალი იდეების წახალისებით მათ შეუძლიათ შექმნან არსებითი და მდგრადი ცვლილებები LEADER მიდგომის რეალური დამატებითი ღირებულების მისაღწევად;

ქსელი: მეტად მნიშვნელოვანია ადგილობრივი და ეროვნული ქსელების როლი სოფლის მოსახლეობის, ტერიტორიებისა და მოქმედებების დაკავშირების საქმეში. ქსელის მეშვეობით ხდება პროცესში ჩართულ სუბიექტებს შორის ცოდნის, გამოცდილების, ინოვაციური იდეებისა და ინფორმაციის გაზიარება, თანამოაზრეთა მხარდაჭერის გაზრდა, იზოლაციის გარღვევა და უნარების ამაღლება. ქსელურობა დიდ როლს თამაშობს თანამშრომლობის დაწყებასა და ურთიერთმხარდაჭერაში. ეროვნული სოფლის ქსელები ფუნქციონირებს ყველა წევრ ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ მათი მიზანი გაცილებით ფართო სპექტრის აუდიტორიას მოიცავს, მათი უფლებამოსილება კონკრეტულად გულისხმობს LEADER მიდგომისა და ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების მხარდაჭერას. სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის ევროპული ქსელი (CAP Network) დახმარებას უწევს როგორც ეროვნულ ქსელებს, ისე ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფებს. ევროპის LEADER ასოციაცია სოფლის განვითარებისათვის (ELARD) არის წევრობაზე დაფუძნებული საერთაშორისო ორგანიზაცია და თანამშრომლობის ფორუმი. ELARD-ი აერთიანებს ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების დიდ რაოდენობას და ბევრ ეროვნულ და რეგიონულ LEADER ასოციაციას;

თანამშრომლობა: როგორც ტერიტორიებს შორის, ისე საერთაშორისო თანამშრომლობა უფრო ფართო განზომილებას ქმნის სოფლად ადგილობრივი განვითარებისთვის. თანამშრომლობა სცდება მხოლოდ ადგილობრივ საზღვრებს და მოიცავს როგორც ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების ერთობლივი პროექტების განხორციელებას, ისე სხვა LEADER ჯგუფებთან თანამშრომლობას სხვადასხვა რეგიონში, ევროკავშირის წევრ თუ არაწევრ ქვეყნებში ევროპული სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდის (ESI) ფარგლებში. ასეთი თანამშრომლობა ადგილობრივი მოსახლეობისთვის შეიძლება გახდეს ინოვაციებისა და ცოდნის გაზიარების შესანიშნავი საშუალება. ის შესაძლებლობას აძლევს სოფლებს, ისარგებლონ არსებული მრავალფეროვნებით, გადმოიღონ და დანერგონ წარმატებული გამოცდილება და გაცვალონ წარმატებული მიდგომები და საუკეთესო პრაქტიკა.

მ4-მ3.11 – LEADER მიდგომა საქართველოში

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებას ევროკავშირი ხელს უწყობს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის ENPARD-ის დახმარებით. პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან. 2015 წლიდან დახმარება მოიცავდა საქართველოში ევროკავშირის LEADER მოდელის დანერგვას სოფლის განვითარების „ქვემოდან ზემოთ“ მიმართული თანამონაწილეობრივი მიდგომით. ამ მიზნით, საპილოტე პროექტები განხორციელდა ლაგოდეხში, ბორჯომსა და ყაზბეგში. 2016 წლიდან არეალი გაფართოვდა და მოიცვა ახალქალაქი, დედოფლისწყარო, თეთრიწყარო, ქედა და ხულო. 2019 წელს LEADER მიდგომის დანერგვა დაიწყო ასევე წალკაში, წყალტუბოში, ახმეტასა და მესტიაში. ENPARD-ის მეოთხე ფაზა ამჟამად ხორციელდება კახეთში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთსა და გურიაში. წლების განმავლობაში საქართველოსთვის გაწეული დახმარება ხელს უწყობს საქართველოს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას და სოფლად ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას.

დღეს საქართველოში უკვე 20-მდე ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფია. 2019 წელს, „სოფლის განვითარებისთვის ევროპის LEADER ასოციაციის“ (ELARD) ყოველწლიურ შეხვედრაზე, საქართველო გახდა ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების ასოციაცია (GALAG) ELARD-ის წევრი.

2023 წლის 28 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა თემზე დაფუძნებული ადგილობრივი მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა. ევროკავშირის CLLD/LEADER მიდგომის შესაბამისად და ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების ჩართულობით, პროგრამა ითვალისწინებს: სოფლად სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობების ხელშეწყობას; კლიმატის ცვლილების შერბილების, ადაპტაციისა და გარემოსდაცვითი საქმიანობების მხარდაჭერას; და აგრეთვე, ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით, პროგრამის ბენეფიციართა ფინანსურ დახმარებას, რაც ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების მიერ შემუშავებული „LEADER ადგილობრივი განვითარების სტრატეგიებზე“ დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ხორციელდება.

პროგრამის ამოცანებია:

- ადგილობრივი მეწარმეობის განვითარების სტიმულირება, მათ შორის, სოციალური ინოვაციის გზით, რომელიც ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას, ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებასა და მეწარმეობას სოფლად;

- სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია და ახალი, გრძელვადიანი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა, მათ შორის, ციფრული ტექნოლოგიებისა და სერვისების გამოყენებით;

- გარემოს დაცვა და „მწვანე განახლება“ სოფლად და კლიმატის ცვლილების შერბილების ღონისძიებების ხელშეწყობა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამის განხორციელებას კოორდინაციას უწევს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. პროგრამის განმახორციელებლები არიან ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო და ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფები. პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალია საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტი, გარდა თვითმმართველი ქალაქებისა და თვითმმართველი ერთეულების ადმინისტრაციული ცენტრებისა. აქ შექმნილია ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფები, რომლებსაც სამინისტრომ, მთავრობის №527 დადგენილების მე-9 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, მიანიჭა ავტორიზაცია.

M4-G3.12 – სოციალური ეკონომიკა, LEADER მიდგომა და თაობათა განახლება

სოციალური ეკონომიკა და სოციალური საწარმოები ხშირად აერთიანებენ პრინციპებს, რომლებიც ძალიან ჰგავს LEADER მიდგომის შვიდ მახასიათებელს. ადგილობრივი პარტნიორობა, ქსელი და თანამშრომლობა ის მახასიათებლებია, რომელთა საფუძველზეც მუშაობს სოციალური ეკონომიკა და სოციალური საწარმოები. ისინი ხშირად არიან დაკავშირებული ინოვაციასთან, მათ შორის, სოციალურ ინოვაციასთან. სოციალური ეკონომიკის ბევრ აქტორს შეაქვს თავისი წვლილი ინოვაციური სერვისებით უზრუნველყოფაში ან ორგანიზაციულ ინოვაციებში. ტერიტორიაზე დაფუძნებული განვითარება, LEADER მიდგომის მსგავსად, გულისხმობს სოციალური ეკონომიკის აქტორებს შორის პარტნიორობის ჩამოყალიბებას, მათი ძალისხმევის კოორდინაციას და, ხშირ შემთხვევაში, გაერთიანებას საერთო მიზნებისა და შედეგების მისაღწევად. სოციალური ეკონომიკა დაფუძნებულია „ქვემოდან ზემოთ“ ინტეგრირებულ მიდგომაზე. LEADER მიდგომის მსგავსად, ინტეგრირებული მიდგომა არ გულისხმობს ყველას და ყველაფრის მიმართ ერთდროულად მოქმედებებს. ის ითვალისწინებს პრიორიტეტების დადგენასა და კონკრეტულ ასპექტებზე რეაგირებას, მაგალითად, როგორიცაა სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება, თვითდასაქმების წახალისება, ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის გზების მოძიება, პროფესიული განვითარება თუ მოტივაციის გაზრდა.

არსებობს კონკრეტული სახის სირთულეები, რასაც უფრო ხშირად სოფლად მცხოვრები ქალები აწყდებიან. ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილი სოფლის მეურნეობაში და იშვიათად ხდებიან მიწის მემკვიდრეები. მათ ასევე იშვიათად აქვთ წვდომა ფინანსურ რესურსებთან. იმისათვის, რომ უფრო სამართლიანი და ინკლუზიური გავხადოთ სოფლად მცხოვრები ქალების მომავალი, საჭიროა ბევრი მიმართულებით ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც გამოიკვლევს განწყობებსა და კულტურულ ზღუდეებს, ასევე ადგილობრივ ინიციატივებს ქალების როლის მხარდასაჭერად. ეს დაეხმარება ქალებს, თამამად იკისრონ გადაწყვეტილების მიმღების როლი.

მნიშვნელოვანია ასევე მიგრანტების ინტეგრაციის ისეთი სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებაც, როგორიცაა სტრუქტურული ინტეგრაცია (შრომის ბაზარზე, განათლებასა და ჯანდაცვაზე წვდომა), სოციალური და კულტურული ინტეგრაცია, იმიგრანტთა ინტეგრაციის საზომი ინდიკატორები და სხვ. მიგრანტები ხშირად დამქირავებლების მხრიდან უსამართლო მოპყრობის მსხვერპლი

ხდებიან ან მათ არ იღებენ სოფლის თემები. უფრო სამართლიანი და ინკლუზიური სოფლის მომავლისთვის საჭიროა შემუშავდეს სტრატეგიები და კანონები, რომლებიც დაიცავს სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების უფლებებს მათი რეინტეგრაციის მხარდასაჭერად. სოფლის მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის წასახალისებლად აუცილებელია ასევე სხვა ქმედითი ინიციატივები.

არსებითად, სოციალური ინოვაცია დაკავშირებულია ახალი იდეების შემუშავებასა და განხორციელებასთან. მას აქვს უნარი ახალი მუხტი შესძინოს სასოფლო დასახლებების გაუხსნელ პოტენციალს. საბოლოო მიზანი კი, სოციალური ფასეულობაა, რომელიც ყველასათვის ცხოვრების ხარისხის, სოციალური ინტეგრაციის, სოლიდარობის, მოქალაქეთა ჩართულობის, გარემოზე ზრუნვის, ჯანდაცვისა და განათლების მიმართულებებს მოიცავს. სოფლის სოციალურ ეკონომიკაში ინოვაციური და კონსტრუქციული ღონისძიებები ხშირად დიდ სირთულეებს აწყდება დაფინანსების მოპოვების თვალსაზრისით. ეს ხდება ადამიანური რესურსებისა და ექსპერტული ცოდნის არქონის გამო. აღნიშნული ინიციატივების დაფინანსებაზე წვდომის ხელშესაწყობად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უფრო დეცენტრალიზებული მხარდაჭერა CLLD/LEADER მიდგომის გამოყენებით და ინვესტირება პოტენციალის გაძლიერებაში.

სოფლებსა და მოშორებულ დასახლებებში ყველაზე დაბალი წილი მოდის 50 წლის ქვემოთ ასაკობრივ მოსახლეობაზე. თაობათა განახლება უაღრესად მნიშვნელოვანია სიცოცხლით სავსე, აყვავებული და მდგრადი სასოფლო არეალებისათვის. მთელი ევროპის მასშტაბით სასოფლო დასახლებებში მხარდაჭერას იყენებენ ისეთი ინიციატივების დასაფინანსებლად, რომლებიც ხელს უწყობს თაობათა განახლებას სოფლის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სხვადასხვა სექტორში, მათ შორის, აგრარული და ტურიზმის სექტორების ჩათვლით.

სოფლის განვითარების პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები ხელს უწყობს თაობების განახლებას სოფლის მეურნეობაში, აძლიერებს სოფლის ახალგაზრდობას და ეხმარება მათ, აღმოაჩინონ და განავითარონ საკუთარი უნარები ადგილობრივ თემში კუთვნილი ადგილის დასამკვიდრებლად. ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფები LEADER მიდგომით დაფინანსების მთავარ პრიორიტეტად ხშირად ასახელებენ ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერას როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე ეკონომიკური საქმიანობის გამრავალფეროვნების თვალსაზრისით. სოფლის ტურიზმს შეუძლია შესაძლებლობების დივერსიფიკაცია, ეს კი ის სექტორია, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თაობათა განახლებას.

მ4-გ3.13 – მაგალითი (7)

ასოციაციამ, რომელიც LEADER მიდგომის პროექტის ფარგლებში დაფინანსდა, მუშაობა დაიწყო თემის მცხოვრებთა უნარების გაუმჯობესების, სოციალური ინტეგრაციის, კულტურათაშორისი განათლების, მდგრადი ტერიტორიული განვითარებისა და სოციალური კავშირების გაძლიერების მიმართულებებით. ასოციაცია ჩამოყალიბდა იმისთვის, რომ ემოქმედა ადგილობრივი საჭიროებებიდან გამომდინარე. ეს გამოიწვია ახალმოსახლეების ორმა ნაკადმა - იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩამოსვლამ და ახალგაზრდა შრომითი მიგრანტი ქალების სამშობლოში დაბრუნებამ. ასოციაციის საქმიანობა მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა არაფორმალური განათლება, სოციალური ინოვაციების კვლევა, იურიდიული დახმარება და სოციალური ინკუბატორი/„ლაბორატორია“ სოციალური ინოვაციისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის.

ასოციაცია მიზნად ისახავს სასოფლო დასახლებების სოციალურ საწარმოთა განვითარებას, რაც გულისხმობს მათ უზრუნველყოფას ციფრული სასწავლო მასალებით, პროფესიული სწავლებითა და კავშირებით. პროექტი აერთიანებს ექსპერტულ ცოდნას ხუთი ქვეყნის მაგალითზე (ესტონეთი, ფინეთი, გერმანია, რუმინეთი და შოტლანდია). პროექტის სამიზნე არიან ის ადამიანები, რომლებსაც უნდათ წამოიწყონ ეს საქმიანობა ან უკვე მუშაობენ სოციალურ მეწარმეობაში.

ასოციაცია წარმოადგენს წარმატებული გამოცდილების ურთიერთგაცვლის პლატფორმას, რომელიც კონსულტაციას უწევს ყველა დაინტერესებულ პირს. ის თანამშრომლობს კოოპერატივებთან, მუშაობს სოფლის მეურნეობის მიმართულებით სოციალურად ინოვაციური გამოსავლების მიგნებებზე, მათ შორის, აგროსასურსათო სექტორში მიწის რესურსების მართვის სრულყოფაზე და საერთო მართვის სქემებისა და სხვა ახალი მექანიზმების შემუშავებაზე.

მ4-გ3.14 – მაგალითი (8)

ადგილობრივმა სამოქმედო ჯგუფმა გადაწყვიტა დაეფინანსებინა პროექტი, რომელიც სასტუმროების სექტორში მემკვიდრეობითობის ხელშეწყობას ითვალისწინებდა. ეს თანადაფინანსებული ინიციატივა უზრუნველყოფს სასტუმროების კონსულტაციასა და მხარდაჭერას, რათა მათ შეძლონ ბიზნესის მემკვიდრეობითობის კომპლექსური პროცესის ეფექტიანად წარმართვა და უზრუნველყონ ახალი სამუშაო შესაძლებლობების გაჩენა ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის.

დემოგრაფიულ ცვლილებას შეუძლია ძლიერი ზემოქმედების მოხდენა სასტუმრო სექტორზე. სასტუმროებისა და რესტორნების მფლობელები ხშირ შემთხვევაში გვიან, უშუალოდ პენსიაზე გასვლის წინ იწყებენ მემკვიდრეების ძებნას. როგორც წესი, მათ უკვირთ, რამდენი დრო და ძალისხმევა სჭირდება ამ კომპლექსურ საქმეს. ხშირ შემთხვევაში, მფლობელების შვილები სხვაგან ცხოვრობენ და არ კისრულობენ მშობლების ბიზნესის გაძღოლას. ამასობაში ამ ბიზნესს „თაობათა განახლება“ და მომხმარებლების მზარდ მოთხოვნებზე ფეხის აყოლა სჭირდება. ამან შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბიზნესს და მასთან დაკავშირებულ საქმიანობებს.

რამდენიმე მცირე სასტუმროს ბიზნესის მფლობელმა შექმნა პარტნიორობა და ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფს განაცხადით

მიმართა LEADER მიდგომით დაფინანსებისთვის. ადგილობრივი განვითარების სააგენტოსთან ერთად ჯგუფმა უფრო ფართო სტრატეგიული მიდგომა შეიმუშავა ტურიზმის სექტორში ახალგაზრდების დასასაქმებლად. პროექტის სამიზნე იყო სასტუმროები, საოჯახო სასტუმროები, რესტორნები და ადგილობრივი მაღაზიები.

პროექტის ფარგლებში განისაზღვრა ის კომპანიები, რომლებშიც მოსალოდნელი იყო მემკვიდრეობითი ცვლილება. ისინი დაუკავშირდნენ მფლობელებს და შესთავაზეს კონსულტაცია და დახმარება ამ საკითხებში. ამასთან, საგანგებოდ შეიქმნა სახელმძღვანელო, რომელიც გამოიყენება ადგილზე შეხვედრების დროს ვითარების შესაფასებლად. დაიწყო მუშაობა პოტენციურ მემკვიდრეებთან დასაკავშირებლად, მათი უნარების გასაძლიერებლად და კომპანიის გადაცემის გრაფიკის შესადგენად. ამით მემკვიდრეობითი გადაცემის ეს რთული პროცესი უფრო ნაყოფიერი და კანონის თვალსაზრისით მეტად საიმედო გახადა. პროექტის ვებგვერდზე ჩამოთვლილია ის ბიზნესები, რომლებსაც სჭირდებათ ინვესტორები და ოპერატორები. ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორების მოსაზიდად, პროექტის ფარგლებში გამოიცა ბროშურა, რომელშიც ასახულია სამიზნე არეალში არსებული სასოფლო დასახლებების მომხიბვლელობა სასტუმრო და ტურისტული თვალსაზრისით.

ამ პროექტის ფარგლებში გაიმართა „ბიზნესის მემკვიდრეობითობის დღეები“, რითაც მიიზიდეს 120 ბიზნესის მფლობელი და პოტენციური მემკვიდრე/ინვესტორი. მონაწილეები გაეცნენ მთავარ ასპექტებს კომპანიის გადაცემის პროცესში, მათ შორის, ისეთი ადგილობრივი სპეციფიკური საკითხების ჩათვლით, როგორიცაა ბუნების დაცვა ტურიზმისა და გასტრონომიული ინდუსტრიის ფარგლებში. 30-ზე მეტმა კომპანიამ უკვე გამოიყენა კონსულტაციის მომსახურება, რომელიც შემუშავდა პროექტითა და 20 მეწარმის მონაწილეობით, აგრეთვე იმ ახალგაზრდების ჩართულობით, რომლებმაც ბიზნესის დაუფლების ინტერესი გამოხატეს. 2017-2019 წლებში განხორციელდა ათი წარმატებული ბიზნესის მემკვიდრეობითი გადაცემა.

პროექტი ასევე დაეხმარა „ძველი ყაიდის“ ბიზნესებს, რომლებმაც გამოიყენეს აღნიშნული საკონსულტაციო მომსახურება და პროექტის მასალა თავიანთი ბიზნესის მოდერნიზებისა და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესებისთვის. ამგვარი საკონსულტაციო სერვისების მიმართ დიდი მოთხოვნის გამო, ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა საკუთარი სახსრებით გაეგრძელებინა ეს პროექტი. მიუხედავად კოვიდ-19-ის პანდემიისა და ამ რეგიონის ზოგიერთ ნაწილში მომხდარი ძლიერი წყალდიდობებისა, 2021 წელს ეს პროექტი ისევ აღდგა და ბევრი აქტივობაც დაიგეგმა. მოსალოდნელია, რომ ის მომავალ წლებშიც გააგრძელებს დახმარებას. გარდა იმისა, რომ ეს პროექტი ბიზნესების განგრძობითობის გარანტიას იძლევა და ინარჩუნებს ბიზნესთან მიბმულ სამუშაო ადგილებს, პროექტი აგრეთვე ქმნის პრაქტიკული გადამზადების შესაძლებლობებს ტურისტულ სექტორში. ეს სექტორი, თავის მხრივ, აერთიანებს ყველა სხვა ინიციატივას ახალგაზრდების დასაქმების გასაუმჯობესებლად და სოფლად მათ შესანარჩუნებლად.

მ4-გ3.15 – ტესტის პრაქტიკა

მ4-გ3.16 – ტესტის პრაქტიკა

საგამოცდო ტესტის სიმულაცია

კურსის ბოლოს მსმენელები იღებენ კურსის გავლის დამადასტურებელ სერტიფიკატს.

საბოლოო ტესტის სიმულატორი შესაძლებლობას გაძლევთ, გამოცადოთ, რამდენად მზად ხართ საბოლოო ტესტისთვის. ტესტი შედგება 65 მრავალჯერადი არჩევანის კითხვისგან. პასუხების გასაცემად გამოყოფილია 60 წუთი. 65 კითხვიდან 5 კითხვა ექსპერიმენტულია და საბოლოო შედეგზე გავლენას არ მოახდენს.

ტესტში არ არის მითითებული, რომელი კითხვაა ექსპერიმენტული. ტესტის წარმატებით გასავლელად სწორად უნდა უპასუხოთ 60-იდან 30 ან მეტ კითხვას, ანუ საგამოცდო ტესტის შეკითხვების 50 %-ს.

სერტიფიკატი ავტომატურად ხელმისაწვდომი იქნება მათთვის, ვინც სწორად უპასუხებს საგამოცდო ტესტის შეკითხვების 50 %-ს.

გისურვებთ წარმატებას!

სასწავლო კურსზე მუშაობის პროცესში გამოყენებული დამხმარე მასალები:

- EU Rural Review №31: Rural Social Economy - https://enrd.ec.europa.eu.
- EU Rural Review №30: Climate Action in Rural Areas - https://enrd.ec.europa.eu.
- EU Rural Review №32: Long Term Vision of Rural Areas - https://enrd.ec.europa.eu.
- Common Agricultural Policy for 2023-2027. Strategic Plans - https://enrd.ec.europa.eu.
- EAFRD Rural Youth as Leaders of Change, Projects Brochure - https://enrd.ec.europa.eu.
- „საქართველოს მზაობის შეფასება ევროპის მწვანე შეთანხმების მიმართ“, ანალიტიკური ცენტრი - WEG funded by EU. UNDP/Project: EU4Climate. 2022 - https://www.undp.org/georgia/publications/eu-green-deal.
- „სოფლის მეურნეობა საქართველოში“, ოქტომბერი, 2023, Galt & Taggart -
- https://api.galtandtaggart.com/sites/default/files/2023-11/report/agriculture-in-georgia_oct-23_0.pdf.
- „ჭკვიანი სოფლის შესაძლებლობები საქართველოსთვის“, Funded by EU. UNDP/Project: IRDG. 2021 - https://www.undp.org/georgia/publications/eu-green-deal.
- „სოფლის მეურნეობის, მიწისა და წყლის მართვის პოლიტიკა საქართველოში“, 2022. World Bank - https://documents.banquemondiale.org/en/publication.
- „სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაცია საქართველოში“, „პი ემ სი კვლევითი ცენტრი“, 2019 - https://www.pmcresearch.org/policy/5
- „სოფლის ზრდის პოლუსები საქართველოში“, Funded by the EU. UNDP/Project: IRDG. 2021 - https://www.undp.org/georgia/publications/rural-growth-poles-georgia.
- CLLD/LEADER-toolkit - https://ec.europa.eu/enrd/leader-clld/leader-toolkit/leader-clld-explained_en.html

Funded by
the European Union